# საერთო გაზეთი

№33 (345) • 28 ოქტომბერი, 2015 წელი • გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## ლადო ბედუკაძე:



მართლა ვერ გავიგე, ელისო კილაძე ფოფხაძის ხმაც არის, „ნაცების“ ხმაც არის, „ქართული ოცნების“ ხმაც არის?

ქალია თუ სიმფონიური ორკესტრი?

## ლუკა კურტანიძე:



კოაბიტაცია დამთავრდა! ფსიქიურად ავადმყოფები ფსიქიატრიულში! კრიმინალები - ციხეში!

## ლაშა გვასალია:



სამეგრელომ დიდი ხანია განაჩენი გამოუტანა „ნაცმოძრაობას“

## შოთა აფხაიძე:



სააკაშვილი საქართველოში ომის გაჩაღებას ისლამისტი ტერორისტების დახმარებით აპირებს

# გიორგი მარგველაშვილი – „სააკაშვილი-2“-ი, რომელიც „ნაციონალი თალიბების“ მხარეზე დადგა, საქართველოს პრეზიდენტობიდან უნდა გადადგეს!

### ღია წერილი საქართველოს მოსახლეობას, საქართველოს პარლამენტს, საქართველოში აკრედიტებულ დიპკორპუსს

ჩვენ, მწერალთა და ხელოვანთა ერთი ჯგუფი, აღშფოთებას გამოვთქვამთ და ვიწუნებთ, ანუ არ ვიწონებთ პრეზიდენტ მარგველაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებებს, როგორც პოლიტიკურ შეცდომათა კასკადს, არასწორს და, სწორედ, სამთავრობო და სახელისუფლო დაპირისპირების მაპროვოცირებელს.

ჩვენ ვიწონებთ და მხარს ვუჭერთ სხვადასხვა სახელმწიფოების წარმომადგენელთა მიერ დაწუნებულ პრემიერ-მინისტრის განცხადებას და ვიწუნებთ ამ სახელმწიფოთა ელჩების უხეშ ჩარევას საქართველოს მთავრობის საქმეებში... მათ უტიფარ მოწოდებას პრემიერის გადადგომაზე...



ჩვენ არ ვიწონებთ პრეზიდენტ მარგველაშვილის ეიფორიას საკონსტიტუციო ხიფათის თაობაზე და მის მიერ არასამთავრობო, არასაპარლამენტო თუ საპარლამენტო ოპოზიციისგან კოალიციის ჩამოყალიბების მცდელობას, მიმართულს სახელმწიფოსა და ერის ინტერესების საზიანოდ!

ჩვენ მოვუწოდებთ საზოგადოებას, ქართველ ხალხს, მხედველობიდან არ გაუშვან ჩვენი ანომალიური პრეზიდენტის ქმედებები და მისი ალიანსი სოროსულ-ლიბერასტულ არასამთავრობო კლანებთან, მისი სრული „კოაბიტაცია“ სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმის ნარჩენებთან და „რუსთავი-2“-ის ჯაშუშებთან.

მიუხედავად იმისა, რომ ხალვაში ქონებაზე ედავება სააკაშვილს და „რუსთავი-2“-ს, ეს პროცესი, როგორც ნაცებს, ასევე ამერიკის ელჩს და მათ სააგენტოებს პოლიტიკურ ჭრილში გადაჰყავთ და განუწყვეტელ ზეწოლას ახდენენ მოსამართლეზე (სასამართლოზე), ქართველთა მთავრობაზე (და ღარიბაშვილზე...)!

რა ჰქნას „რუსთავი-2“-ის დემაგოგიითა და ნაციონალების ძალადობით გაძარცვულმა, დასჯილმა საზოგადოებამ — არ აღიდგინოს სამართალი? არ მოითხოვოს წართმეულის დაბრუნება — აქაოდა, ევრო-ამერიკელმა სენატორებმა, მაკკეინებმა და მისთანებმა პოლიტიკური სარჩული არ დაგვიდონო!..

განა არ ახსოვს მარგველაშვილს, როგორ არბევდნენ „ნაციონალი თალიბები“ ქიბარ ხალვაშის (და არა ოდენ ქიბარ ხალვაშის) საწარმოებს, ოფისებს და როგორ გაჰქონდათ ქონება. როგორ აფეთქებდა სააკაშვილი კულტურის მონუმენტებს ქუთაისში და სხვაგან, გადააადგილებდა ძეგლებს და ქანდაკებებს ავტორთა დაუკითხავად და ბევრ მათგანს უკუღმა დგამდა (!!!). ნაცები იქცეოდნენ ისე, როგორც თალიბები და „ხალიაფატები“ სირიასა თუ ავღანეთში...

სამწუხაროდ, ქართველთა პრეზიდენტი ახლა „ნაციონალური თალიბების“ მხარეზე დადგა.

მარგველაშვილის „უსაგნო ფათიფუთი“ (როგორც ილია იტყოდა) და პრემიერის წინააღმდეგ მიმართული განცხადებები, მისივე სამხილია, ვიღაც-ვიღაცები ამაოდ ცდილობენ მის „რაიმედ“ ქცევას, არაფრიდან არაფერი იშვება და ხალხი მას მიიღებს, როგორც მოღალატეს, რომელმაც უღალატა კაცს, რომელმაც პრეზიდენტად აქცია.

სამაგიეროდ, მარგველაშვილს რევერანსებს უძღვნიან და ესალმებიან, როგორც ერთადერთ პოლიტიკოსს, გვარამიები, ლიბერასტ-დემოკრატები, ნაცები, არასამთავრობოები და მათ შორის ძალიან უშნოდ გაფუყებული ალასანია-პეტრიაშვილ-ჩიქოვანები... და სხვები, ვინც განუწყვეტლად ქმნიან ნაცისტების დანაშაულთა შერბილების და მათი შემობრუნების შესაძლებლობის ილუზიას და ამავე დროს ამჟღავნებენ გაუგონარ უმადურობას და უტიფრობას ადამიანის მიმართ, ვინც ისინი პირდაპირ „ამოთხარა“ სააკაშვილის მორგიდან და პარლამენტში დასხა... ეს სამარცხვინო „დემოკრატები“ პირდაპირ „ჩამოშალიკო-პალიკოვდნენ“ და იმათზე უარესნი გახდნენ!

საზოგადოებას კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ სიფხიზლისკენ! იწყება: ქვეყნის და მთავრობის წინააღმდეგ „დიფუზიური“ შეთქმულება და ამ შეთქმულებას იგივე სააკაშვილი №2 კურირებს... როგორც სააკაშვილი იქცეოდა, ობსტრუქციას უწყობდა და ბლოკავდა ახალ ხელისუფლებას და პარლამენტს, თავისი „იმპიჩმენტებით“ და ა.შ. ასევე იქცევა ეს „ყვერბეულივით ნაცარში“ გამომცხვარი კაცი...

ჩვენ არ ვიწონებთ და კატეგორიულად ვგმობთ უცხო ქვეყნების, პრესის და საელჩოების განუწყვეტელ ჩარევას ქართველთა შიდა პრობლემებში, რასაც, გარკვეულწილად, „რუსთავი-2“ აპიარებს და აჟიტირებული სახით აჟღერებს.

## შეთქმული პრეზიდენტი — ერის ზნეობრივი სირცხვილი!

არ შეიძლება ტელევიზია ასე იქცეოდეს იმ ქვეყანაში, სადაც ის არის — აშანტაჟებდეს ხელისუფლებას, სასამართლოს, ადამიანებს მიაწერდეს („სწამებდეს“), რასაც უნდა და როგორც უნდა...

ასეთი რამ არ უნდა ეპატიოს არც ამ არხს და არც მის უზნეო ქომაგებს.

საკითხავია, რატომ არ იცავს მოსამართლის ღირსებას და ხელშეუხებლობას სასამართლოს თავმჯდომარე ქალბატონი გვენეტაძე, როდესაც მას პირდაპირ ატერორებენ პრეზიდენტი და ნაცების „ზონდერები“?!.

**ამერიკის ელჩს გვინდა ვკითხოთ:** შეიძლება ქვეყნიდან გაქცეულ, მკვლელობებში მონაწილე ნაპრეზიდენტალს ჰქონდეს საკუთარი ტელევიზია და შიგნით ანგრევდეს და აზომბირებდეს იმ ქვეყანას, საიდანაც გაიქცა და გააძევეს და სახელმწიფო გადატრიალების შეთქმულებას უმზადებდეს?!.

**ბატონო ელჩო,** იქნებ მოისმინოთ გერმანელი ადვოკატის გამოსვლა (ქართველის თუ არ გჯერათ), რომ სასამართლოზე სახელმწიფო ჩარევის ნიშნები არ ჩანს — სამაგიეროდ, ნათლად ჩანს სააკაშვილის მომხრეთა ძალადობა...

თქვენ უნდა იცოდეთ, **ბატონო ელჩო** და ყველამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოში სააკაშვილს ვერც მაკკეინი დააბრუნებს და ვერც „რუსთავი-2“...

ქართველმა ერმა უნდა დაიცვას და დაიცავს მას, ვინც „სააკაშვილის მორგიდან“ ამოიყვანა ერი, ქვეყანა და არსებობის პერსპექტივა გაუჩინა!

ჩვენ, მწერალთა და ხელოვანთა საინიციატივო ჯგუფი, ვფიქრობთ, რომ აუცილებელია დაიწყოს ხელმოწერების შეგროვება პრეზიდენტ მარგველაშვილის დაუყოვნებლივ გადადგომის მოთხოვნით, რადგან მიგვაჩნია, რომ მისი გაუაზრებელი, პატივმოყვარეობასა და ამბიციებზე აგებული ქმედებები სერიოზულ პრობლემებს უქმნის ქვეყნის უსაფრთხოებას და ნოყიერ ნიადაგს ამზადებს ქაოსისა და დესტაბილიზაციისთვის.

**მწერალთა და ხელოვანთა საინიციატივო ჯგუფის სახელით:**

**გულო კობიაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, კობა არაბული, ზაურ კალანდია. ზურაბ თორია, თემურ ჩალაბაშვილი, ვაჟა ხორნაული, ირაკლი ვაშაყმაძე, ჯუმბერ გოგრიჭიანი, როსტომ მიგრიაული, ოთარ ფალიანი, ვახტანგ ხარჩილავა**

# „პოლიტიკური ფურუნკული“ გასკდა!



„მარგველაშვილო! — „ვიცოდი ფურუნკული რომ იყავი, მაგრამ როდის გასკდებოდი, ის არ ვიცოდი“ და აი, პრეზიდენტობის ორი წლის თავზე, მარგველაშვილი, როგორც პოლიტიკური ფურუნკული — „გასკდა“ — გავრცელდა პოლიტოლოგ ჯუმბერ კირვალიძის სიტყვები.

აქამდე თუ ერთგვარად კიდევ რაღაცას ქანაობდა სასწორის მოშლილი ისარივით, ახლა საბოლოოდ მოიდღლიზა პლასტელინის ნიღაბი „კარალევა მარგოდ“ სახელდებულმა გიორგი მარგველაშვილმა და ფაქტობრივად, ღიად დაუპირისპირდა ხალხს, პრემიერს, სასამართლოს და იყვირა, დიახ, მე ვიწყებ კონსულტაციებს მათთან, ვინც თქვენ ქვეყნის მტრად მიგაჩნიათ და აწი მიყურეთ, როგორ ავაყროლო აქაურობა შინ და გარეთო; აბა, რა გეგონა ბიძინაჩემო, სოროსის ძუძუნაწოვი „ნაცი“ ვარ, ნაციო... მართლა პლასტელინი კი არ ვარ, ბიჭი ვარ, კლაპიტონისაო...

რა ჩასჩურჩულა ასეთი ამ ქალმა, ჩიხრია ფიქრაძემ (ან პირუკუ) ორიოდე დღეში რომ ასე წამოახტუნა და აასისინა ხუთოსანი მალხაზი ბიჭუნასავით მოტიტინე „მარგველა“?

დიახ, სწორედ რომ საფუძვლიანი ეჭვი გაუჩნდათ პოლიტგანცხადებებზე თვალმიდევნებულ საქართველოს მოქალაქეებს პრეზიდენტის განცხადებაზე, რომ მისი პირით სხვა სისინებდა: — „ქვეყნის კონსტიტუციის დაცვა ყველას მოვალეობაა და პირველ რიგში საქართველოს ხელისუფლების. სამწუხაროდ, მთავრობის მეთაურის დღევანდელმა გამოსვლამ სიტუაციის განმუხტვის ნაცვლად მეტი დაძაბულობა შეიტანა ისედაც რთულ ვითარებაში. მოვუწოდებ ყველას! თავი შეიკავოს მძაფრი ნაბიჯებისგან და მოთოკოს ემოციები; გაუფრთხილდით სამოქალაქო მშვიდობას; მოვუწოდებ მოსამართლეს არ მიიღოს ნაჩქარევი და ხისტი გადაწყვეტილება, რაც კიდევ უფრო დაძაბავს სიტუაციას!“ — თქვა და გაშპა.

ვიცით, რომ საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტი „ვეტოდებიაა“; ისიც ვიცით, რომ სულაც არ ეპრეზიდენტებოდა, ყველაზე კარგ სიზმარშიც კი არ დასიზმრებია პრეზიდენტობა, „ერთი კაცის“ ხათრით ძალით ჩადეს პრეზიდენტის სავარძელში; მისი წარსულიც ვიცით და მისი „იდეებიც“, გატაცებებიცა და ჰობიც. ჰოდა, ამდენი რამ თუ ვიცით, ისიც ვიცით და ფაქტებით გვინახავს, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მაშინაც კი, თუ პირადად მას ეხებოდნენ, მაინც დაყვავებით მოსაუბრე, ფრთხილი, მოზომილი და კანონის ფარგლებში გაწონასწორებული იყო, ახლა კი რა შუბი აძგერა ვიღაცამ, ლამის შარვალ-კოსტუმიდან რომ ამოხტა? ვინ ურჩია ასე მკაცრად, ვინ აიძულა, შენი „ორპირა გადამგდები“ ჭკუაც ვატირეთ, ნიღაბი შენით მოიძრე დროზე, სანამ ჩვენებურად ავმოქმედებულვართო? — სხვას ვერაფერს იფიქრებს კაცი...

პირველი ჭირდასავით, თორემ ახლა უკვე პრეზიდენტად წოდებული მარგველაშვილიც წარმატებით გააგრძელებს იმ უკანონობას (მავნებლობაც შეიძლება ეწოდოს) რასაც მისი წინამორბედებიც წარბშეუხრელად ეწეოდნენ — პირდაპირი ეთერით ზეწოლა სასამართლოზე!

მუხლი 8. სასამართლოს საქმიანობაში ჩარევის დაუშვებლობა

1.სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, დაწესებულებას, საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ გაერთიანებას, თანამდებობის პირს, იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს ეკრძალებათ სასამართლოს დამოუკიდებლობის შელახვა.

2.მოსამართლეზე რაიმე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით.



საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 84

მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს; რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე, ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია კანონით.

სხვა მუხლები, შეიძლება, ზედმიწევნით ვერ გაიგოს ფილოსოფოსმა პრეზიდენტმა, მაგრამ ამ მუხლებში გარკვევით წერია, რომ სასამართლოს საქმიანობაში არანაირად არ უნდა ჩაერიოს არავინ, მითუმეტეს, პრეზიდენტი კაცი; მითუფრო, მოსამართლეს არ უნდა მიუთითოს პრეზიდენტმა, როგორი გადაწყვეტილება მიიღოს, „ხისტი და ნაჩქარევი“ თუ „მოლუნული და წვეტიანი“...

მოკლედ რომ ვთქვათ, პრეზიდენტი ისეთი „რაზგონით“ იყო გამოვარდნილი საკუთარ მრჩეველთა (და სხვათა) უცნაური გარემოცვიდან, შესაბამისად აგრესიული „დირექტივებით“ ტვინგავარვარებული, რომ რას არეხვებდა, თვითონ არ აინტერესებდა. საკუთარ „მატორზე“ რომ ყოფილიყო, როგორც ბუნებრივადაა, ახლაც ტაფლაკვერა ხმითა და ინტონაციით მოუწოდებდა სასამართლოს რომ მიეღო მხოლოდ და მხოლოდ სამართლიანი გადაწყვეტილება. გაიაზრებდა, რომ კანონისმიერად — არ შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილება იყოს „ხისტი და ნაჩქარევი“, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება იყოს მხოლოდ დასაბუთებული და სამართლიანი, ხოლო თუ გადაწყვეტილების სისწორეში ეჭვის შეტანის საფუძველი ექნება ვინმეს, მას შეუძლია გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება. რა პრეზიდენტის მოწოდება უნდა ერთ კონკრეტულ მოსამართლეს?! სახეზე იყო პრეზიდენტის მხრიდან დამოუკიდებელი სასამართლოს საქმიანობაში ჩარევა!

პრეზიდენტს, ჯერ რა ესაქმება სასამართლოსთან, შემდეგ, კერძო დავებთან და ბოლოს, თუ მაინცდამაინც ფეხის გამოყოფა უნდოდა კუსავით, სასამართლოსთვის შეუვალი დამოუკიდებლობა მოეწოდებინა, ეთქვა, რომ ის დადგებოდა მოსამართლის გარანტად მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიღების საკითხში...

ერთია, ქვეყნის პრეზიდენტი რომ ცამდის მართალ პრემიერს უდგას მუდმივად კრიჭაში და აკრიტიკებს; მეორეა, კონკრეტულ მოსამართლეს რომ ფაქტობრივად, მითითებას აძლევს ირიბად; უმთავრესი კი ის არის, რომ მისი ამომრჩეველი ხალხის (ერთი კაცის ხათრით, მაგრამ მაინც — ეს ხშირად უნდა შეახსენოს ვინმემ!) შეძახილს მურვან ყრუსავით ყურსმილმა ატარებს... ასეთი პრეზიდენტი ერთი მცირე ჯგუფის გარდა, ვის მხარესაც წარმოადგენს, უნდა ვინმეს?

პრეზიდენტის კარში ისეა გალაჯული ვინმე კოჟორიძე, ფეხს ვის შეადგმევინებს თუ „მათიანი“ არ არის, თორემ კი ჰკითხავდა კაცი: ბატონო პრეზიდენტო, სხვის სანეხვეზე ორნი ბეღურა რომ დაობენ, შენ სადღა ეტენები და რა მისიით, სადავო ნეხვი უფრო რომ გაგექო და უარესად აამყრალო? (ისე კი, მართლაც საინტერესოა, ერთ მხარეს ქონებაწართმეული კონკრეტული პირი დგას, მეორე მხარეს კი დაქირავებული პირი. სადავო ქონების მფლობელი, ყარამანაშვილები არიან თუ ჯეირანაშვილები, არ ჩანს და თავს იკლავს პარტია „ნაციონალური მოძრაობა“ და მასზე ახორხლილი ჭია-ღუა ბალასატი. ვისია ეს უპატრონო ტელევიზია რის გამოც ყველანაირ ბინძურ თამაშებზე მიდის ისედაც თავფეხიანად სიბინძურეში ჩაფლული ადამიანთა გაერთიანება?)

პრეზიდენტი რაში ეფლობა ნელ-ნელა, გვიანი რომ იქნება, მაშინ თვითონვე (როდესმე) მიხვდება და შემოირტყამს ხელს, რა მატარტარებინებდა ენას, როგორ დავდექი იმ მხარეს, რომელმაც განაცხადა, რომ კონსტიტუციური წესრიგიდან გადიოდაო და მეორე, რატომ ენა არ გამიშეშდა, როცა მოსამართლეს ჩავეჭერი საქმიანობაშიო. კაცმა რომ თქვას, ჩვენ რა ვიცით, თორემ იქნებ ტვინგაგრილებულზე

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

უკვე ფიქრობს კიდეც, მითუმეტეს, რომ მოსამართლემ, რომლისკენაც ხელთათმანი გადააგდო, ღია „ბარათი აახლა“, ხელისუფლების წარმომადგენლებმა თავი შეიკავონ არაადექვატური განცხადებებისა და ყველა ისეთი კომენტარის გაკეთებისგან, რომელიც სასამართლოზე ზეწოლად აღიქმებაო... კანონმა თითი დაუქნია პრეზიდენტს — არ თქვას მერე ვინმემ, არ ვიცოდითო...

ვიღაცას რომ ჰგონია, პრეზიდენტს მხოლოდ ყურში უჩურჩულებენო, ასე არ ყოფილა საქმე, თურმე ენაზეც ექაჩებიან — აგერ ახლა თქვა „დიდმა“ კოჟორიძემ, „ამ საქმეში უკვე არის შექმნილი გარემოებების ერთობლიობა, რომელიც აჩენს კითხვის ნიშანს იმასთან დაკავშირებით, რამდენად არის მოსამართლე სამართლიანობის იდეის ერთგული. ეს არის კითხვა, რომელიც მე მაქვს და ეს არის კითხვა, რომელიც გააჩნია პირადად პრეზიდენტსაც“. სიტყვების რა უაზრო კორიანტელია, ცალკე გადავდოთ, ჯერ მხოლოდ ის ვთქვათ, რომ არავის, მათ შორის არც ქვეყნის პრეზიდენტს, არ აქვს უფლება, საქმის განმხილველ მოსამართლეს რიტორიკული საუბარი გაუმართოს და კითხვები დაუსვას სამართლიანობის იდეასთან დაკავშირებით, მითუმე-



კახა კოჟორიძე

ტეს, კონკრეტული მოწოდებებით მიმართოს წარმოებაში არსებული საქმის შესახებ.

შემდეგ, საინტერესო ისაა, რაც ერთი შეხედვით უმნიშვნელოდ დარჩა — „დიდ“ კოჟორიძეს თვალში ეპატარავება მასზე ყოველმხრივ „დიდი“ პრეზიდენტი, ჯერ საკუთარი პერსონა ახსენა, როგორც მთავარი ფიგურანტი და შემდეგ პრეზიდენტი „ც“ ნაწილაკის დართვით, როგორც მასზე მიბმული სუბიექტი. ანუ, პრეზიდენტი გამოჩიხრიავებულფიქრიავებულთან ერთად ნამდვილად არის გამოკოჟორიავებულიც, ხოლო თავის მხრივ „დიდი“ კოჟორიძე ვინ არის? — გამოსაიაებული, ანუ გამოუსუფებული და გამოთინხიდაშელებული.

„დიდი“ კოჟორიძის იდეური მოძღვარი, ქალბატონი თინა იმ „ჯარის მინისტრია“ რომლის „მხედართმთავარიც“ გამოფიქრიავჩიხრაივებული ბატონი პრეზიდენტია, მაგრამ დახეთ, როგორ აღშფოთდა „დეიდა თინა“ პრეზიდენტის განცხადებაზე, სულ „უპასუხისმგებლო“ უძახა განცხადებას თუ განმცხადებელს, — ქვეყნის პრეზიდენტი ასე არ უნდა საუბრობდეს. სანამ ვინმეს მიუთითებ, რომ ვინმე რამეს ძაბავს, სწორედ მისი მხრიდან ამ ტიპის განცხადების გაკეთება არის ვითარების დაძაბვაო.

ტაში, თინას! — მაგრამ...

საგარეჯოდან მესიჯი მოვიდა: — „ხალხო, ეს რა ხდება?! იქნებ ვინმემ გამცეს პასუხი?! თოხლიაურში თავდაცვის სამინისტროს „ჯიპები“ დადიან და მოსახლეობას მოუწოდებენ „რუსთავი-2-ის“ მხარდასაჭერად წასვლას თბილისში, აქციაზე!!! ასევე, თოხლიაურის ტაქსის მძღოლებს ავალებენ, რომ მოსახლეობა ჩაიყვანონ თბილისში „რუსთავი-2-ის“ მხარდასაჭერად!

ამ ყველაფრის უკან, გარდა თავდაცვის სამინისტროსი, დგას გარემოს დაცვის მინისტრის აგულაშვილის ნათესავები, რომლებიც სოფელ ბადიაურიდან სპეციალურად არიან ჩასულები თოხლიაურში რათა მოსახლეობას მობილიზაცია გაუკეთონ და თბილისში ჩაიყვანონ.

იქნებ გაგვარკვიოთ საგარეჯოელები, რა ხდება საერთოდ?“

საგარეჯოელებს კი არა, ადგილზე ვერ გაგვირკვევია „ვისი ვიოლინო ვის როიალშია“, საგარეჯოში რა ელვა-დეპეშა უნდა აფრინოს ვინმემ...

მართლაცდა, რა ხდება? — მოსამართლეს არ აცდიან გადაწყვეტილების მიღებას, პარალელურად კი ცდილობენ აიცილონ, სავარაუდოდ, ეგებ, იმ თავიანთი „ჯიბის მოსამართლეებიდან“ რომელიმეს გამოსდონ ჩანგალი, იმნაირს, ვითომ ძებნილები (ადეიშვილი და სააკაშვილი) რომ საუნაში საუბრობდნენ...

დგას ახლა გვარამია და ნამდვილი სახელმწიფო მოღვაწის ისტორიულ და მნიშვნელოვან განაცხადად აფასებს მარგველაშვილის აპილპილებას.

**რეალურად, საქართველოს პრეზიდენტმა გადააბიჯა იმ სახიფათო წითელ ხაზს, რასაც ხალხთან და სახელმწიფოსთან ყოფნა ჰქვია და იქცა მხარედ, ამ შემთხვევაში „ნაცმოძრაობის“ და მასთან სამათხოვროდ მიკედლებული უსახური პარტიების პრეზიდენტად. ქვეყნის პრეზიდენტმა ლეგიტიმაცია მისცა „ნაცების“ პროვოკაციებს და ფაქტობრივად, მწვანე შუქი აუნთო საქართველოს მტრების მიერ კულისებში დაწერილი სამოქალაქო ომის სცენარის გათამაშების დაწყებას!...**

გაუგონარი ამბავია! — სასამართლოში ჩვეულებრივი დავა განიხილება უძრავი ქონების კანონიერ მფლობელობაზე და პრე-



გიგა ბოკერია და გიორგი მარგველაშვილი

ზიდენტი თავითაა გადაშვებული კერძო დავაში. მხოლოდ თვითონ კი არა, ვიღაცებთან კონსულტაციებსაც მართავს, თავისივე საქციელს და ნათქვამს „აპრავებს“ — პრეზიდენტის ადმინისტრაციაში არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები შეიკრიბნენ, შექმნილ ვითარებაზე, პოლიტიკური და სამოქალაქო დაპირისპირების გაღრმავების თავიდან აცილების შესახებ ისაუბრეს თურმე — „ახალი მემარჯვენეები“, „ედპ“, „თავისუფალი საქართველო“, „ევროპელი დემოკრატები“, „თავისუფლება“, „სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისთვის“, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ და მსგავსი პოლიტიკური ხარახურა — დიდი ვირთხის, „ნაცმოძრაობის“ ცურცლი...

„ბუდეს მიაკითხეს პოლიტბოზებმაო“ — დადო დასკვნა ხალხმა, იმ ხალხმა, რომელსაც არაფერად აგდებს პრეზიდენტი; იმ ხალხმა, რომელმაც პრეზიდენტად თავზე წამოისვა ერის მაგინებელი კაცი; იმ ხალხმა, რომელსაც პრეზიდენტისგან ხელნაკრავს უკვე ყველაფრის უფლება აქვს უწოდოს შეურაცხმყოფელს...

პირადი ინიციატივით პრეზიდენტი მარგველაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებსაც შეხვდა, გიგა ბოკერიას, ირმა ნადირაშვილს, ხათუნა გოგორიშვილსა და სერგო რატიანს;

პრეზიდენტი ქართული მედიის წარმომადგენლებსაც შეხვდა, „უმუშევარ“ ინგა გრიგოლიას („ნაცრუპორს“), „უმუშევარ“ ეკა მიშველაძეს („თავისუფალი დემოკრატების“ რძალს) და ნინო ჯანგირაშვილს („აქუს“ მეუღლესა და უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე თეონა აქუბარდიას დედას, ქალს, რომელმაც საკუთარ ტელევიზიაში, პირდაპირ ეთერში დააჭერინა ახალგაზრდები სააკაშვილის სადისტ ხელისუფლებას).

რა საინტერესოა, ასე ნაწილ-

ნაწილ რატომ შეხვდა პრეზიდენტი თავის ერთ მთლიან გუნდს, მერე რა, რომ სხვადასხვა განხრით მავნებლობენ, იდეა, არსი და მიზანი ხომ ერთი აქვთ, საიდანაც იკვებებიან, ის გობიც კი...

(„კვებაზე“ 2003 წელი გაახსენდება ადამიანს... „რუსთავი-2-ის“ დაკარგვის შემთხვევაში „ნაცმოძრაობას“ ხელიდან ეცლება საეჭვო წარმომავლობისა და დანიშნულების დიდი ფულადი მასის კონტროლის საშუალება. ასე ხდებოდა 2003 წელს, როცა „უბრალო მოქალაქეების“ ანგარიშებზე მოულოდნელად ჯდებოდა ათეულობით ათასი დოლარი. სხვათაშორის, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე პირველი რაც გააკეთეს „ნაცებმა“ ამ არხების ამოკეტვა და კონტროლსდაქვემდებარება იყო — ახსოვს ხალხს )

რიგში ჩადგა წინა ხელისუფლების პრივატიზებული დიპკორპუსი, შემდეგ, ალბათ, მათ მოჰყვებიან ცალკეული, ასევე პრივატიზებული პოლიტიკოსები სხვადასხვა ქვეყნიდან და ფინალში გამოიყვანენ ისე, რომ სამოქალაქო დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად აუცილებელი და საჩქაროა გადადგეს მთავრობა.



ფიქრია ჩიხრაძე

ასეთ შემთხვევაში, რაგინდ თავდაპირველად ხელ-ფეხი ასავსავოს ხელისუფლებამ, ჩათრევას ჩაყოლას ამჯობინებს და აი, მერე, მართლა მტრისას!

ზემოთნახსენებ ყველა სუბიექტსა თუ პირთა ჯგუფს, შეიძლება, უნიათო ჰგონია ხელისუფლება, მაგრამ ხალხი? თუ ისინიც ისევე ფიქრობენ მთელ ერზე, როგორც მათი პრეზიდენტი?

პრეზიდენტ მარგველაშვილს არც არასდროს დაუმალავს, რომ დიაგნოზი დაუსვა საკუთარ ერს „გონებრივად სუსტი, მსუბუქი დებილობის ფორმით, ანუ, ფაქტიურად, მდგომარეობა, როდესაც ადამიანის ფსიქიკური განვითარება ჩერდება გარკვეულ ადრეულ ეტაპზე და არ აღწევს ზრდასრულ ფორმამდე. ზრდასრული ადამიანის ტანი და სუსტი, ადრეული ასაკისთვის შესაფერისი აზროვნება — აი, საქართველოს მოსახლეობის, ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა.“

უკაცრავად, მაგრამ ხალხს გაუჩნდა შთაბეჭდილება, რომ ამ სიტყვების ავტორი სარკეში იხედებოდა და ისე წერდა ამ სიტყვებს... ვიღაც იმასაც ამბობს, ასეთი პრობლემების მქონე ადამიანს რა პასუხი მოეთხოვებაო, მაგრამ ზრდადაუსრულებელი პირის პრეზიდენტად დასმა თუ შეიძლება, პასუხი რატომ არ უნდა მოეთხოვოს პრეზიდენტისდარად?...

სხვათაშორის, გვარამიას სიტყვებია, რომ დიახაც, მოახდენენ სასამართლოზე ზეწოლას; რომ დიახაც, ყველანაირი, მათ შორის ძალისმიერი მეთოდით არ დაემორჩილებიან სასამართლო გადაწყვეტილებას, ის „ძალიან არასამთავრობო ორგანიზაციები“ კი, რომლებიც ხალხის მიერ ეჭვმიტანილები არიან ქვეყნისა და ხალხის საწინაამდეგო საქმიანობაში, დუმილის უფლებას იყენებენ, მიუცუცქდებიან პრეზიდენტს ავლაბრის სიმყუდროვეში (ალბათ, საიდუმლო რიტუალს ასრულებენ ჩუმი შეძახილებით: ბოკერია სკაზალ, ბოგ სკაზალ! გვარამია სკაზალ, ტოჟე ბოგ სკაზალ! მარგველაშვილი სკაზალ... ნუ ხუი სნიმ, ტოჟე ბოგ სკაზალ! და ა.შ) და გატრუნულან...

რაც შეეხება პრეზიდენტს, ხალხი ამბობს, პატიოსანი (თუნდაც ზრდადაუსრულებელი) კაცი გამოაცხადებდა თვითლიკვიდაციას, სათავეში ჩაუდგებოდა იმ ხალხს, ვისთან ერთადაც მიედმოედება ავლაბრის რეზიდენციაში და სალაპარაკოც აღარ იქნებოდა არაფერი, აბა, ეს რა წესია, კაპიტანი გიგაური ამბობს და პრეზიდენტი დუბლირებას ახდენს; ბოკერია ამბობს — პრეზიდენტი ახმოვანებს და ა.შ

ამ პოლიტ-პროვოკაციულ ჟრიამულში უჩინარი კაცივით დაიგველება „რესპუბლიკური პარტია“, რომლის ერთ-ერთი ლიდერი „ნაციონალურ პარტიაზე“ ქირქილებს, 13%-იანი პარტიის გამარჯვება ვის გაუგონიაო და არავინ ეუბნება, შენ რომ 0,2%-იანი რეიტინგის მქონე პარტიის წევრი ხარ, ვერ გაჯგიმულხარ მანდ და გადმოგიგდია ენა ვარანივითო?

ისე, კაცმა რომ თქვას, „რესპუბლიკური პარტია“ აკლია (ღიად) დანარჩენ ხლამს და სრული სურათი დაიდება რამდენნი არიან ისინი და რამდენნი ხალხი...

უსაქმური კაცი მახათით ერთობაო — მიეცით პრეზიდენტს დროულად მახათი თორემ აყროლდა ბიოცისტერნა!

**გიორგი ჩხეიძე**

## ლადო ბედუკაძე:

# მართლა ვერ გავიგე, ელისო კილაძე ფოფხაძის ხმაც არის, „ნაცმოძრაობის“ ხმაც არის, „ქართული ოცნების“ ხმაც არის? ქალია თუ სიმფონიური ორკესტრი?

***კვირას, 26 ოქტომბერს, „რუსთავი-2“-ზე ეკა კვესიტაძის საავტორო გადაცემის „განსხვავებული აქცენტები“ გასვლის შემდეგ გლდანის მე-8 საპყრობილის ყოფილი თანამშრომელი ლადო ბედუკაძე დაგვიკავშირდა და ინტერვიუს ჩაწერის სურვილი გამოთქვა, ოღონდ ერთი პირობით — მისი საუბარი სრულად და უცვლელად მიგვეწოდებინა „საერთო გაზეთის“ მკითხველებისთვის. რესპონდენტის მოთხოვნა გაზეთისთვის სრულიად ლეგიტიმურად ჩავთვალეთ და ლადო ბედუკაძესთან ინტერვიუს უცვლელი სახით გთავაზობთ.***

— უნდა გითხრათ, ამ სამი წლის მანძილზე ათასნაირ პროვოკატორ, ე.წ. ჟურნალისტს და მათ მსგავს არსებას გადავაწყდი, მაგრამ ესენი, კვესიტაძე-კილაძე, უზნეობის და უტიფრობის ნამდვილი განსახიერებანი არიან.

რაც შეეხება კადრებს, ცოტა არ იყოს, მეწყინა, რომ კადრებში არსად ვჩანვარ, როგორც „ობიექტური“ წამყვანი ე.წ. ჟურნალისტი ლაპარაკობს. არც ის ჩანდა, როგორ ვურტყამ, ვაწამებ და ვაუპატიურებ პატიმრებს. ისმის მხოლოდ ჩემს ხმას მიმსგავსებული ხმა.

თანამედროვე ტექნიკის პირობებში ამის გაკეთება იოლი საქმეა — შეგიძლია ნებისმიერ ადამიანს „ათქმევინო“ ის, რაც მას არასდროს უთქვამს და უფიქრია.

მე თუ სწორედ ისეთი ვარ, როგორადაც მსახავენ - მანიაკი, მკვლელი და ა.შ. დარწმუნებული იყავით, „ნაცმოძრაობას“ დღემდე პატივში ვეყოლებოდი. გავაგრძელებდი მწამებლურ საქმიანობას და ვაწამებდი „ქართული ოცნების“ აქტივს, რომელთათვისაც ნაცები 4000-კაციან ციხეს ამზადებდნენ ლაითურში.

ნაცებს და მისი ჯიბის ჟურნალისტებს ის აცოფებთ, რომ ვერ მომერივნენ და ვერ მომინელეს.

ვერც მომინელებენ!

დამთავრდა, ბატონებო, „ნაციონალური მოძრაობის“ ეპოქა. დამთავრდა მსგავსი რამ, რაც წლების მანძილზე ხდებოდა ქართულ ციხეებში და ამაში მოკრძალებული წვლილი მეც მაქვს შეტანილი.

ვერ მპატიობენ და ამის გამო სურთ ჩემზე შურისძიება.

„კვესიტაძე-კილაძე პროდაქშენის“ ერთობლივ შოუში რამდენიმე მიმართულება ჩანდა: 1. ბედუკაძე, როგორც მწამებელი, მაზოხისტი (გაყალბებული ვიდეო), 2. ივანიშვილი, როგორც დამკვეთი - არარსებული მიმოწერის, 3. რუსული კვალი — ბედუკაძის დაჯილდოება, 4. ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობა.

სუსტია მეტად.

დიდი ალბათობით, კვესიტაძისთვის ეს „უტყუარი ინფორმაციები“ მისი სულიერი მეგობრის ელისო კილაძის მიწოდებულია.

მეტსაც ველოდი. მაგალითად, 2012 წლის 19 სექტემბერს გლდანის მე–8 საპყრობილის პატიმრების ერთობლივი სკანდირების ვიდეოს: ბიძინაა, ბიძინაა! ლადოო, ლადოო!..

ის მონაკვეთი სად „გაქრა“, ცხონებულ კეკუას რომ „ვკლავ“ ციხეში?



კადრების გადაფარვის უნიჭო მცდელობა.

**— როგორ ფიქრობთ, ვის მოუვიდა აზრად თქვენზე ასეთი ვერსიების შეთხზვა? იმ ჯგუფს ხომ არა, რომლებიც, როგორც ერთხელ თქვით, ჯერ კიდევ თქვენი საზღვარგარეთ ყოფნის დროს დაგიკავშირდნენ და დახმარება ალგითქვეს?**

— კი, რა თქმა უნდა, ეს ერთი გუნდია, რომელიც დღემდე თავს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერად და გულშემატკივრად ასაღებს, სინამდვილეში კი „ნაცმოძრაობას“ ემსახურება. ჩემი აზრით, ეს არის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივლაჭავას მიერ დაფინანსებულ გაზეთში.

ჩემი დისკრედიტაციის მცდელობასთან ელისო კილაძე რომ იყო დაკავშირებული, ამას ადრეც ვამბობდი, მაგრამ ბევრი არ მიჯერებდა. ამჯერად თვითონვე ღიად გამოვიდა ჩემს წინააღმდეგ და არა მარტო ჩემს, არამედ ხელისუფლების წინააღმდეგაც. კერძოდ, მან განაცხადა, რომ ციხის კადრები იყო დადგმული და ასეთი რამ, ფაქტობრივად, არ არსებულა. ისე, როგორც არ არსებობს ჩემი და ჯღარკავას მიმოწერაც.

ამის შემდეგ კიდევ ვინმეს ეპარება ეჭვი იმაში, რომ „ქრონიკა+“-ის რედაქტორი ელისო კილაძე „ნაცმოძრაობის“ მოკავშირე და რუპორია?

მეტი მტკიცებულება რა გინდათ — ყოველ კვირა „რუსთავი-2“-ში ზის და ნაციონალებს ათეთრებს. პარალელურად ხან ივანიშვილს აგინებს, ხან — ღარიბაშვილს, ხანდახან ორივეს ერთად, ხან გაზეთის ორ-სამ გვერდს უთმობს მამალ ნაციონალებს აგიტაცია-პროპაგანდისთვის.

მოკლედ, ეს ქალბატონი მთელ საქართველოს თვალში ნაცარს აყრის და თავის ჭკუაზე ცდილობს აბურთაოს საზოგადოება.

ის ამის გაკეთებას მარტო ვერ შეძლებდა, რომ არა მისი გამოცდილი შეფი და მთავარი კოორდინატორი.

გახსოვთ, ერთ-ერთი ინტერვიუს დროს მე თქვენ მოგასმენინეთ ჩემი და კილაძის საუბარი სკაიპით, სადაც კილაძე ახსენებს ვინმე „მოხუცს“, რომელსაც დიდი გავლენები აქვს. დიახ, ეს გავლენიანი, ელისო კილაძის სიტყვებით, „კომუნისტი მილიონერი მოხუცი“, ნუგზარ ფოფხაძე გახლავთ, რომელსაც შემახვედრეს საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ. მას დახმარებისთვის მადლობაც გადავუხადე, თუმცა, უკაცრავად თქვენთან და, ასეთი დახმარების დედაც...

ამ ადამიანს, ელისო კილაძეს, აკონტროლებს სწორედ ნუგზარ ფოფხაძე. ამის მოწმეც არსებობს.

**— თქვენი რა ინტერესი ჰქონდათ?**

— ჩემი ინტერესი ნაკლებად ჰქონდათ. საკუთარი ჯიბის ინტერესები ამოძრავებდათ. ვაჭრობა ხელისუფლებასთან გავლენის სფეროებისთვის. ჩემი ინფორმაციით, ბატონი ფოფხაძე დღემდე აკონტროლებს ქართული მედიის მნიშვნელოვან ნაწილს.

**— მერე? იშოვეს ფული და მოიპოვეს გავლენები?**

— ამ ვაჭრუკანობით იშოვეს საკმაოდ დიდი ფული, თავიდან ქალბატონი კილაძე გაზეთის დაარსებას და მის დაფინანსებას — ოფისის ქირას, 2 ავტომაქანას, 20 კომპიუტერს, ხელფასებს, ჰონორარებს, სხვადასხვა ხარჯებს, რაც, დამეთანხმებით, სერიოზული თანხაა, ბატონ ფოფხაძეს მიაწერდა. ნუგზარ ფოფხაძემ ჩემთან საუბარში ეს ქალბატონ ლაჭავას მიაწერა - პირველი ოთხი თვე ის აფინასებდაო...

თავდაპირველად „ქრონიკა+“-მა შექმნა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ორგანოს იმიჯი და მერე იცოცხლეთ... აცხო და აცხო დეზინფორმაციები და სისულელები ხელისუფლების წინააღმდეგ...

მე ბევრჯერ განვაცხადე და არა მარტო მე, ბატონმა ბიძინამაც სწორედ ასე ბრძანა: ელისო კილაძე პროვოკატორიაო. ეს ქალბატონი წაღმაუკუღმა ცვლის ჩვენებებს, დღეს მოყვარეა, ხვალ — მტერი...



ქალბატონი კილაძის ათასგვარი ბინძური პროვოკაციებისგან თავმობეზრებულმა ერთხელ ნუგზარ ფოფხაძეს შევხვდი კიდევ ერთი ადამიანის თანდასწრებით და ვუთხარი: რა უნდა, თავი დამანებოს ელისო კილაძემ–მეთქი. ფოფხაძემ მიპასუხა: კილაძეს შეეშვი. კილაძე მე ვარო!

მართლა ვერ გავიგე, ეს კილაძე ფოფხაძის ხმაც არის, „ნაცმოძრაობის“ ხმაც არის, „ქართული ოცნების“ ხმაც არის?! ქალია თუ სიმფონიური ორკესტრი?

ჩემთვის კვესიტაძე და კილაძე „ნაციონალური მოძრაობის“ რუპორები არიან... თუმცა, ადრე ქალბატონი კილაძე გაჰკიოდა - ბიძინას ხმა ვარო..

**— „განსხვავებულ აქცენტებში“ კილაძემ განაცხადა, რომ ციხეში ცემა-წამების ფაქტები მოგონილი და დადგმულიაო. ამ განცხადებით ეს ადამიანი ნაცების წისქვილზე ასხამს წყალს და თან ამბობს, „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთვის ბევრი რამ გავაკეთეო...**

**— თქვენ არ დაგიკავშირდნენ კომენტარისთვის?**

— ვინ უნდა დამკავშირებოდა ე.წ. თავისუფალი მედია და „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“ „რუსთავი-2“, მონების ტელევიზია, უფრო სწორად, სააკაშვილის სპეცსამსახურების ტელევიზია? ესენი ჩემი აზრის გამოთქმის საშუალებას მომცემდნენ?

**— ლადო, რას ფიქრობთ, რატომ დასჭირდათ ასეთი რამის გაკეთება „რუსთავი-2“-ს და „ნაცმოძრაობას“. კვლავ თქვენი სახელის დისკრედიტაციისთვის თუ ბიძინა ივანიშვილის საწინააღმდეგოდ?**

— რა თქმა უნდა, პირადული ფაქტორიცაა, შურისძიება ჩემს მიმართ და მთავარი, როგორმე ჩემი მიბმა ბიძინა ივანიშვილთან.

მათივე მამამთავრის — სააკაშვილის სიტყვებით ვიტყვი: ვერ ელირსებიან!

ესაა ოდესის გუბერნატორის „უკრაინული“ სცენარი და უკრაინიდანვე ატვირთული წამების



ნის, ქართული მედიის რუხი კარდინალის - ნუგზარ ფოფხაძის დაჯგუფება ელისო კილაძის და მისი სულიერი დების თამადობით.

**— ვინ არიან ეს „დები“?**

— რა შეკითხვა უნდა? ესენი არიან: ნანული ჟორჟოლიანი, ეკატერინე კვესიტაძე, თამარ ჩერგოლეიშვილი და სხვანი, მათი მსგავსნი.

ეს ის დროა, როცა ბელგიაში ვარ, კადრები უკვე გავრცელებულია და შანტაჟის და მუქარის გამო ვიცვლი საცხოვრებელ ადგილებს. ვინც ევროპაშია ნაცხოვრები, იცის, ყოველივე რა დიდ მატერიალურ რესურსებთანაა დაკავშირებული. თბილისიდან ბევრი ჟურნალისტი ცდილობდა მაშინ დამკავშირებოდა და ჩაეწერა ინტერვიუ. თქვენც ხომ მაშინ დამიკავშირდით? იმ პერიოდში შემოაგზავნეს ეს ქალბატონიც — ელისო კილაძეც. შემიძლია მიმოწერაც განახოთ. მიმტკიცებდა, რომ ის ინაშვილთან იყო დაპირისპირებული. გმირი ხარო, მეუბნებოდა. იცოდა ჩემი და ინაშვილის უთანხმოების შესახებ. ისიც უწყოდა, რა ფინანსურ კრიზისს განვიცდიდი. მაშინ მწერდა, ერთ მდიდარ ადამიანს უნდა შენი დახმარება. ეს ადამიანია ნუგზარ ფოფხაძეო. მაშინ გადმომირიცხეს თანხა - 1000 ევრო.

მაგრამ რის ფასად? როგორც აღმოჩნდა, ჩემი შემდგომი პოლიტიკური სპეკულაციებისთვის.

**— გაუგებარია.**

— თბილისში ჩამოსვლისას ეს ქალბატონი ათასგვარი ხრიკით და პროვოკაციებით, ცდილობდა დავპირისპირებოდი „ქართულ ოცნებას“ და კერძოდ, ირაკლი ღარიბაშვილს. ცდილობდა ჩემს დაყოლიებას. რომ არაფერი გამოუვიდა, მოხდა ის, რაც მოხდა — დაიწყო სტატიების გამოცხობა ჩემზე გაზეთ „ქრონიკა+“-ში. როგორც ჩემთან საუბარში ნუგზარ ფოფხაძემ თქვა, ლაურა

6 gv.



# „ნაცმოძრაობის" სხვადასხვა ჯგუფებს შორის კომპრომატების ომი დაიწყო

## „ნაცმოძრაობის" შიგნით არიან ადამიანები, რომლებსაც „ნაცმოძრაობის" ხელისუფლებაში მობრუნება ყველაზე მეტად არ აწყობთ, რადგან იციან, თუ ეს მოხდება, ყოფილი თანაპარტიელები მათ დაუყონებლივ გაანადგურებენ ფიზიკურად

უკრაინულ ინტერნეტსაიტზე გამოქვეყნებულ წამებისა და სექსუალური ძალადობის ამსახველ ვიდეოკადრებს, რომელიც სავარაუდოდ სამეგრელოს საცავებიდანაა ამოღებული, დიდი ვნებათაღელვა მოყვა. ნაციონალები ამ კადრების გავრცელებაში მოქმედ ხელისუფლებას სდებენ ბრალს, ხოლო ხელისუფლება და საზოგადოების ნაწილი, ამ ყველაფერში ნაციონალების ინტერესს ხედავს, რათა „რუსთვი-2"-თან დაკავშირებით შექმნილი ისედაც დაძაბული ფონი კიდევ უფრო გაამწვავონ, ვითარება სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიიყვანონ და საერთაშორისო საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შესაყრელად „წამებულის მანტია" მოირგონ.

როგორც „საერთო გაზეთს" კარგად ინფორმირებულმა, სანდო წყარომ განუცხადა, რომლის ვინაობის გამხელისგანაც გასაგები მიზეზების გამო თავს შევიკავებთ, ეს მასალები სავარაუდოდ ნაცმოძრაობის გარკვეულმა ფრთამ, იმ ჯგუფმა გაავრცელა, რომლისთვისაც ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენენ ახლა უკვე ყოფილი თანაგუნდელები. იგულისხმება ვანო მერაბიშვილის ე.წ. გუნდი, რომელსაც წყაროს თქმით, გარკვეული წვლილი მიუძღვის „ქართული ოცნების" გამარჯვებასა და ხელისუფლების უსისხლოდ გადაბარებაში. ხსენებულ გუნდში მოიაზრებიან შს მინისტრის ყოფილი მოადგილე ამირან მესხელი, კუდის ყოფილი მაღალჩინოსანი ვაჟა ლელუაშვილი. წყაროს ინფორმაციით, სააკაშვილის კარზე რამდენიმე ჯგუფი არსებობდა, ცალკე



იყო ახალაიების გუნდი, რომელიც მჭიდრო ურთიერთობაში იყო სააკაშვილთან, ცალკე იყო გიგა ბოკერიას გუნდი და სააკაშვილის პირადი გუნდი, რომლის მთავარი ფიგურები იყვნენ დავით საყვარელიძე, რომელიც სააკაშვილმა შემდგომ უკრაინაში წაიყვანა და სოდის ყოფილი შეფი ერეკლე კოდუა. რაც შეეხება შს მინისტრის ყოფილ მოადგილე (აწ უკრაინის შს მინისტრის მოადგილე) ეკა ზღულაძეს, ის უშუალოდ ამერიკის კადრი ბრძანებულა, რომელიც პოლიტიკაში გამოჩენამდე დიდხანს სწავლობდა ამ ქვეყანაში", იქაურმა სპეცსამსახურებმა კარგად გაწვრთნეს, რის შემდეგაც ჯერ საქართველოში მოავლინეს, ხოლო შემდეგ უკრაინაში „გადააპორტირეს".

დავუბრუნდეთ მერაბიშვილის გუნდის თემას, რომელმაც წყაროს განცხადებით, ნაცმოძრაობა „ჩაძირა" და ხელისუფლების გადაბარებაში გარკვეული როლი მიუძღვის და რაც ე.წ. შუამავლის გარეშე არ მომხდარა, ამ შემთხვევაში „ქართულ ოცნებასა" და ხსენებულ გუნდს შორის შუამავალი შემდგომში შს მინისტრის მოადგილე გელა ხვედელიძე ყოფილა (რომელიც მოგვიანებით პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების გავრცელებასთან დაკავშირებულ სკანდალში გაეხვა და თანამდებობის დატოვება მოუწია, თუმცა უმუშევარი არ დაუტოვებიათ, ერთ-ერთ მარეგულირებელ კომისიაშია დასაქმებულიო). იგი ამ ფუნქციას თავის დროზე თურმე გაერთიანებულ ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორისაც ასრულებდა. წყაროს ინფორმაციით, გელა ხვედელიძე ნაცხელისუფლების შს მინისტრის მოადგილის გიორგი ლორთქიფანიძის უახლოეს მეგობრად ითვლებოდა. ხვედელიძე ვაჟა ლელუაშვილთანაც დაახლოებული იყო და ეს ურთიერთობა დღესაც გრძელდებაო. რაც შეეხება თავად ლორთქიფანიძეს, ის ერთი პერიოდი, ანუ იმ დროს, როცა ხვედელიძე „გამტარის" ფუნქციას ასრულებდა, მერაბიშვილის გუნდის წევრად მოიაზრებოდა, მაგრამ როგორც ჩანს „პოზიციები" შეიცვალა, რადგან მიხეილ სააკაშვილმა ისიც უკრაინას მიავლინა. წყაროს განცხადებით, მერაბიშვილისა და ახალაიების გუნდები ისედაც დაპირისპირებული იყვნენ, მაგრამ ვითარება კიდევ უფრო გამწვავდა, ეს უკანასკნელნი ამირან მესხელს, რომელიც კარგა ხანია უცხოეთშია გადახვეწილი, ემუქრებიან, რადგან მას პირდაპირ სდებენ ბრალს ციხის სკანდალური კადრების გავრცელებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ახალაიებსა და ბოკერიას მაინც და მაინც თბილი ურთიერთობა არ ჰქონდათ ერთმანეთთან (ერთი წლის წინ ცალ-ცალკე იყვნენ), ამჯერად გაერთიანდნენ. ნაცმოძრაობა, რომ იტყვიან კუთხეშია მიმწყვდეული, მათ მხოლოდ ორი გზა აქვთ დარჩენილი, ერთი, მოახდინოს შიდა დაპირისპირება, გაამწვავოს ვითარება იგივე „რუსთავი-2" -თან დაკავშირებით, რაშიც წყაროს აზრით, გარკვეულწილად დღევანდელი ხელისუფლებაც უწყობს ხელს, რადგან პროკურატურას აქამდე თავისუფლად შეეძლო გამოეძიებინა ტელეკომპანიის წილებთან დაკავშირებული საკითხი, რადგან ქიბარ ხალვაშმა ჯერ კიდევ 2012 წლის მიწურულს, ხელისუფლების შეცვლისთანავე მიმართა საგამოძიებო ორგანოებს. მეორე გზაა „თვითგანწმენდა", ამ „გასუფთავებას" თავიანთი ყოფილი თანაგუნდელების ხარჯზე შეეცდებიან. ნაცმოძრაობამ საზოგადოებას უნდა აჩვენოს, რომ ის საშინელებები, რაც გავრცელებულ კადრებშია ასახული, ამ პოლიტიკურ ძალას კი არ გაუკეთებია, არამედ გააკეთა, ძველმა ჯგუფმა, რომელმაც თვითონვე გამოამზეურა. ადამიანების ცემა-წამება, სექსუალური ძალადობა, ფარული ჩანაწერები თუნდაც პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით, ძალოვანმა სტრუქტურებმა განახორციელეს ხომ? ე.ი. მერაბიშვილმა, მესხელმა, ლელუაშვილმა და რა თქმა უნდა ახალაიებმა, ასე რომ, ვიღაც უნდა გაიწიროს, ნაცმოძრაობა ახალაიებს არ წირავს, ე.ი. მერაბიშვილის გუნდი უნდა გაიწიროს, რომელიც „ღალატშია შემჩნეული". მათი მხრიდან წავა სერიოზული პიარი, რომ გაუპატიურებები, წამება, ფარული ჩანაწერები ამირან მესხელის დავალებით კეთდებოდა, შეიძლება მესხელტომ მიუსაჯეს მერაბიშვილს მხოლოდ ოთხწლიანი პატიმრობა, (როცა 20 წლით მაინც უნდა იჯდეს ციხეშიო) ხოლო ვაჟა ლელუაშვილი გირაოთი გაათავისუფლეს, რაც ჩვენს რესპოდენტში კითხვებს ბადებს.

წყაროს განცხადებით, ნაცმოძრაობას არც მიხეილ სააკაშვილისა და გიგა ბოკერიას შეხვედრის შესახებ ინფორმაციის გავრცელება აწყობდა და აქაც ისევ მერაბიშვილის გუნდის ინტერესებს ხედავს, რომელსაც ხელისუფლებაზე და შესაბამისადსა და მერაბიშვილს (არც მას დაინდობენ) ლელუაშვილიც მიაყოლონ, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელის ძალიან ეშინიათ, რადგან ის ყველასა და ყველაფერზე ფლობს ინფორმაციას, მაგრამ სხვა გზა არ აქვთ. სამოქალაქო დაპირისპირების გამოწვევას ხალხი სჭირდება, ამიტომაც საეჭვოა ნაცმოძრაობას, ანუ სააკაშვილი-ბოკერია, ახალაიების „ნაკრებს" ხსენებული კადრები თავად გაევრცელებინათ, რითაც ცხადია, მოსახლეობა მათ წინააღმდეგ განეწყობოდა. ამიტომ რჩება მერაბიშვილის გუნდი კადრების გავრცელების სავარაუდო „შემოქმედად", რომელიც დღემდე ნაცმოძრაობასთან ასოცირდება, მაგრამ ყველაზე მეტი საფრთხე მათგან ემუქრებათ და გარკვეული თავდაცვის მექანიზმი ჭირდებათ, ნაცმოძრაობისგან გარიყულ ამ ჯგუფს ყველაზე მეტად ჭირდება „მშობლიური პარტიის" ჩაძირვა, რომლისგან მომავალი საფრთხეც რეალურად ეჩვენება ჩვენს ანონიმ რესპოდენტს, მაშინ რატომ არ ჩამოდის საქართველოში ამირან მესხელი, რომელზეც სს-ის საქმეც კი არ არის აღძრულიო. რატომ არ მისცეს პასუხისგებაში მესხელი, რამოსახლეობის უმეტეს ნაწილზე მეტად ეშინია ნაცმოძრაობის მობრუნების. ნაცმოძრაობისთვის იმხელა დარტყმა იყო თავის დროზე ციხის კადრების გავრცელება და ხელისუფლებიდან ჩამოცილება, რომ ღალატში ეჭვმიტანილ რამდენიმე ადამიანს ისინი არ აცოცხლებენ. მერაბიშვილს ურჩევნია რამდენიმე ხანი ციხეში იჯდეს, მას ჰქონდა იმის ბერკეტი, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ქვეყნიდან გასულიყო, მაგრამ არ გამოიყენა და ციხეში ჩაჯდა, რადგან იქ უსაფრთხოდ გრძნობს თავს. ის საშიშროებას უფრო თავისი თანაპარტიელებისგან ხედავდა, იცოდა რომ აღარ ჭირდებოდათ და მის მოსაშორებლად უკან არ დაიხევდნენ. აქ გასათვალისწინებელია ის ძალზე საგულისხმო გარემოება, რომ საქართველოს კი არა, მსოფლიო მასშტაბის მაფია მოქმედებს, თუ საზღვარგარეთ წავა ადამიანი, ანუ არ იქნება საზოგადოებისა და მედიის მუდმივი ყურადღების ქვეშ, მას ისევე შეიძლება გაუსწორდნენ, როგორც ბადრი პატარკაციშვილის შემთხვევაში მოხდა. მესხე-

6 gv.



# მართლა ვერ გავიგე, ელისო კილაძე ფოფხაძის ხმაც არის, „ნაცმოძრაობის“ ხმაც არის, „ქართული ოცნების“ ხმაც არის? ქალია თუ სიმფონიური ორკესტრი?

4 gv.

— ეს ადამიანები არიან „ნაციონალური მოძრაობის“ ავანგარდში. მაგრამ ერთი რამ ავიწყდებათ, რაც არ უნდა იჭაჭონ, რაც არ უნდა სულელური კომპრომატები ავრცელონ ჩემზე, სიმართლე ერთია და მართალ ადამიანს არაფრის არ ეშინია... ვერაფერს ვერ დამაკლებენ, საცოდავები არიან.

„ნაციონალური მოძრაობის“ „ანკარა“ წყაროსთვის ჩემი და ქალბატონი ჯღარკავას „მიმოწერა“ კარდინალურად განსხვავდება უკრაინული „ვიკილქსისგან“ და უკიდურესად სარწმუნოდ გამოიყურება.

მერაბიშვილის მარჯვენა ხელის, შოთა უტიაშვილის მეუღლის კვესიტაძის დასკვნით, თურმე ლადო ბედუკაძე გახლდათ ყველა ამ დადგმის ორგანიზატორი და შემსრულებელი. ეს საზიზღარი ბედუკაძე მონაწილობდა პატიმრების ცემაში, წამებაში და უტეხდა სახელს „უმანკო“ „ნაციონალურ ერთობას“.

ახალი არაფერი უთქვამთ, ეს იგივეა რაც ექს-პრეზიდენტ სააკაშვილის 2012 წლის „დასკვნა“ ე.წ. „ციხის კადრების“ შესახებ - ბედუკაძე თვითონაა რეჟისორი, დამდგმელი ოპერატორი და შემსრულებელიცო. თავად მე-9 არხიც კი „ბედუკაძის ბინძური ფილმის“ გასაშვებად შექმნილა.

მოძრაობისა“ და მისი ლაქია ჟურნალისტებისგან განვიცდი ამ სამი წლის განმავლობაში, ალბათ, ბევრი ვერ გაუძლებდა.

ძალიან ბევრ ინფორმაციას ვფლობ ე.წ. მედია კლანებზე, რომლებიც ცდილობენ ქვეყანაში არეულობის მოწყობას და დესტაბილიზაციას, ესენი არიან ქვეყნის მუწუკები, საკუთარი ქვეყნის მტრები. თუ ბატონი ბიძინა გამოთქვამდა სურვილს თუნდაც ამ თემაზე სასაუბროდ, დიდი სიამოვნებით შევხვდებოდი.

როგორც ამბობენ, ყველაფერი თუ ასეა, ჩემი აზრით, უბრალოდ, სირცხვილია, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 25 წლის შემდეგაც ქართული საინფორმაციო საშუალებების დიდ ნაწილს კომპარტიის ცეკას მდივანი იდეოლოგიის დარგში ნუგზარ ფოფხაძე აკონტროლებდეს.

ვფიქრობ, იმ ინტრიგების, პროვოკაციების, შანტაჟის უმრავლესობა, რომლებიც ხან ერთი გაზეთის ფურცლებზე გამოჩნდება და ხან — მეორისაზე, სწორედ ნუგზარ ფოფხაძის დაგეგმილი ხრიკებია.

ჩემი ინფორმაციით, ის რამდენიმე საინფორმაციო საშუალებას ფლობს, კარგად მანიპულირებს ამ საინფორმაციო საშუალებებით და ერთით — ვითომ ხელისუფლებას უჭერს მხარს, მეორეთი სამარეს უთხრის, მესამით — ნაციონალებს უგორებს კოჭს.

თითქმის დარწმუნებული ვარ, მისი დაგეგმილია ყველაფერი.



ქალბატონმა კვესიტაძემ, მრავალ სხვათა და სხვათა, ჟურნალისტიკას მიტმასნილ ბიომასასთან ერთად, ბევრი იშრომა, იწვალა, ჭრა, კერა და აწება ფირები ერთმანეთს, თუმცა, როგორც დავინახეთ, ამაოდ...

პროკურატურამ რვათვიანი გამოძიების შედეგად დაამუშავა მთელი ის მასალა, რაც შეეხებოდა ე.წ. ციხის თემატიკას და ე.წ. ციხის კადრების საქმეს.

მინდა გაგაწბილოთ, ჩემო კარგებო, ტყუილად გაისარჯეთ. დარმუნებული არ ხართ, პროკურატურის მიუკერძოებლობაში, მაგრამ მთავარი ხომ ბრალდებაა, ეს წმინდა წყლის კომუნისტური მეთოდია - დააბრალე და მერე იმან თავი იმართლოს...

**— მართლა თქვით ივანიშვილზე ის სიტყვები?**

— ბატონ ბიძინაზე ნამდვილად არ მითქვამს მსგავსი რამ, მაგრამ „რუსთავი–2“–ზე კი ვიტყოდი იგივეს...

**— ლადო, ბიძინა ივანიშვილს თუ შეხვედრიხართ?**

— უკვე მეტისმეტია. ერთი ადამიანისთვის მეტისმეტია. ის რაც ჩემს თავს ხდება, ამ ფსიქოლოგიურ ზეწოლას, რასაც „ნაც-

ასეთია ამ კაცის მრავალსახოვანი ბუნება.

როგორც გავიგე, ფოფხაძეს და კილაძეს ბოლო ხანებში ურთიერთობები დაეძაბათ — კილაძე მომენტს არ უშვებს თურმე, ხმამაღლა არ განაცხადოს — ფოფხაძე ფულს მიტეხავდაო.

**— იცის ეს ფოფხაძემ?**

— ცხადია, იცის, მაგრამ, დუმს. ხმას არ იღებს. კილაძესა და ფოფხაძეს ერთმანეთზე იმდენი კომპრომატი აქვთ, რა თქმა უნდა, ერთმანეთის ეშინიათ და დუმილს ამჯობინებენ.

**— კარგით, მაგრამ, რაში დასჭირდათ ნინო ჯღარკავას შემოყვანა „თამაშში“?**

— მეტი დამაჯერებლობისთვის.

იციან, რომ ქალბატონი ჯღარკავა, რომელთანაც მე არასდროს მქონია მეგობრული და, ცხადია, არც ახლო ურთიერთობა, როგორც თავად ჯღარკავა აცხადებს, პრემიერის ოჯახის მეგობარია, დანარჩენი თავად განსაჯეთ...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

**რედაქციისგან:** „საერთო გაზეთის“ რედაქცია მზადყოფნას გამოთქვამს ლადო ბედუკაძის ინტერვიუში დასახელებულ ადამიანებს მისცეს საპასუხო მოსაზრებების გამოთქმის საშუალება.

აქვე იმასაც დავძენთ, რომ „საერთო გაზეთი“ ვერ აიღებს პასუხისმგებლობას და ვერ გამოდგება იმის მსაჯულად, ლადო ბედუკაძის მიერ კონკრეტული პირების მისამართით გაკეთებული ბრალდებებიდან რომელია სწორი და რომელი — არა. მაგრამ იმის აღნიშვნა აუცილებლად მიგვაჩნია, რომ ყოვლად მიუღებელია „განსხვავებული აქცენტების“ და „არჩევანის“ აშკარად ტენდენციური მცდელობა „ნაცმოძრაობის“ მიერ ჩადენილი საშინელი დანაშაულობანი ერთ კაცს, ლადო ბედუკაძეს, აჰკიდონ და ამით „ნაცმოძრაობის“ რეაბილიტაცია მოახდინონ.

5 gv.

ლი ვერ ჩამოდის საქართველოში, რაც შეეხება ლელუაშვილს ის გარკვეულწილად ამ ყველაფრის ავტორია, ერთგვარად დაცულია, ის არც ციხეში ჩაუსვამთ და არცერთი მხარე აღარ ახსენებს. იგი მოქმედ ხელისუფლებასაც ჭირდება, ამასთანავე უამრავ ინფორმაციას ფლობს და თუ რაიმე „გაუჩალიჩეს“, ყველაფერი გამჟღავნდება, მას აღარავინ ახსენებს.

ნაცმოძრაობა და მერაბიშვილი რომ სხვადასხვა ბანაკებში არიან ერთი გარემოებაც მოწმობს, წყაროს ინფორმაციით, ცოტა ხნის წინ ერეკლე კოდუას, ანუ „სააკაშვილის კაცს“, სასტიკად უცემია მასსავით „ემიგრაციაში“ მყოფი მესხელი, რომელიც საქართველოში თურმე იმიტომ არ ჩამოდის, რომ ვინმემ შუბლში ტყვია არ დაახალოს.

გადასარჩენი. ცოტა ხანში დაიწყება მათი მხრიდან პირდაპირი საუბარი, რომ ყველა უბედურების „შემოქმედი“, მერაბიშვილი და მისი გუნდი იყო, თუმცა ეს საუბარი უკვე დაწყებულია, მარტო რურუას, უტიაშვილსა და ა.შ. კი არა თურმე სამეგრელოს სამხარეო პოლიციის ყოფილ უფროსს თენგიზ გუნავასაც არ სცოდნია, მის „სამფლობელოში“, რა ხდებოდა, თორემ ამ ვანდალიზმს როგორ დაუშვებდა. სწორედ ამათზეა ნათქვამი უძვლო ენა რას არ იტყვისო, მით უმეტეს თუ შუბლის ძარღვსაც გაიწყვეტ. ერთი სიტყვით, წავა ყველაფრის გადაბრალება და „განტევების ვაცის“ როლში დიდი ალბათობით, მერაბიშვილი და მისი გუნდი აღმოჩნდება.

თუ მართლაც მერაბიშვილის გუნდმა გამოამზეურა თავის დროზე ციხის ამაზრზენი კადრები, ხოლო ახლა უკრაინულ საიტს მიაწოდა ანალოგიური საშინელების ამსახველი ვიდეომასალა, საინტერესოა რამ უბიძგა ნაცების მხრიდან „ქვეყნის ხერხემლად“ შერაცხულ მერაბიშვილს ამ ქმედებებისკენ. წყაროს განცხადებით, ამას ორი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს, პირველი დიდი ფული, ხოლო მეორე, ასე ვთქვათ, შურისძიება და თავის დაცვა. მერაბიშვილის გუნდი მისი შს მინისტრობის დროიდანვე თანდათან კარგავდა გავლენას, ამ ბერკეტებს კი ახალაიები იღებდნენ. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამდეც „მონოპოლია“ ახალაიებს ჰქონდათ აღებული, მერაბიშვილის გუნდი დაჩაგრული იყო მათგან და ბოკერიას გუნდიდანაც, რაც ცხადია, აღიზიანებდა მერაბიშვილს. ბოკერიას ახლა სააკაშვილი-ახალაიებთან გაერთიანების გარდა სხვა გზა არ დარჩენია, თორემ ის ყოველთვის ცდილობდა თავისი თამაში ეთამაშა. ნაცრეჟიმის ერთ-ერთ მაღალჩინოსანს საახლობლოში უთქვამს, ახალაიებს დასაჭერი ხალხის სია ჰქონდათ, სადაც პირველ ნომრად ვანო მერაბიშვილი იყო „განთესილიო“. ცხადია, ეს ინფორმაცია მერაბიშვილამდეც მივიდოდა, ის ხომ ყველაზე კარგად იცნობდა თანაპარტიელებს და იცოდა, რომ თუ დაჭირდებოდათ, არ დაინდობდნენ, ამიტომაც ვაბანკზე წავიდა, რითაც ფაქტობრივად თავი გადაირჩინა. ნაციონალების დროინდელ ციხეში მოხვედრა რასაც ნიშნავდა ვანოს ვინ ასწავლიდა. **ამიტომაც ვფიქრობ, რომ ახლაც მერაბიშვილის გუნდმა გაავრცელა, გაუპატიურებისა და წამების ამსახველი კადრები, რადგან ყველაზე მეტად მათ აწყობთ ნაცმოძრაობისა და მათი ბელადის „ჩაძირვა“,** როგორც მათთვის დიდი საფრთხის მატარებლისო, განგვიცხადა წყარომ.

# „ნაცმოძრაობის“ სხვადასხვა ჯგუფებს შორის კომპრომატების ომი დაიწყო



ერთი სიტყვით, ნაცმოძრაობა ორ ფრონტზე „იბრძვის“, თუ „რუსთვი-2“-ის თემით მანიპულირებით ვერ გამოიწვია სისხლის ღვრა და სამოქალაქო დაპირისპირება, რასაც გულმოდგინედ ცდილობს ტელეკომპანის გენდირექტორიან-ჟურნალისტებიანად თუ სხვა მხარდამჭერებიანად, მაშინ „განწმენდილ“-განახლებული სახით მოგვევლინება იმის იმედად, რომ საზოგადოების გულუბრყვილო ნაწილი მაინც დაიჯერებს მათ „გაკეთილშობილებას“. „რუსთავი-2“-ის თემითაც ამ გულუბრყვილო ადამიანებზე მანიპულირებენ, რომელთაც ჰგონიათ, რომ სიტყვის თავისუფლებას იცავენ. თუ სასამართლომ ტელეკომპანიის წილების წინა მფლობელის სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება და მისი აღსრულების საკითხი დადგა, როგორც „გვარამია და კამპანია“ აცხადებს, ყველანაირად შეეწინააღმდეგებიან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას, რასაც ბუნებრივად მოყვება ფიზიკური დაპირისპირება, სამართალდამცავებსა და „დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების დამცველებს“ შორის, რაც ამ უკანასკნელთ „დაჩაგრულის“ მანტიით შემოსავს. მათ ქართველების ხასიათი კარგად აქვთ შესწავლილი, რომლებიც ყოველთვის დაჩაგრულის მხარეს იკავებენ, ამ შემთხვევაში სრულიად ნეიტრალური ადამიანებიც კი გამოვიდნენ ამ ე.წ. დაჩაგრულების მხარდასაჭერად. ნაციონალებს ძალიან დიდი მატერიალური რესურსი აქვთ, ინტელექტუალურიც, რომელსაც, როგორც წესი, მხოლოდ საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ იყენებენ. ასე რომ, „გასუფთავებაღა“ ჭირდებათ. წყაროს განცხადებით, ნაცები თავიდან ვერც მერაბიშვილის ჯგუფს წირავდნენ, რადგან მოსახლეობის თვალში ერთ, „მონოლითურ“გუნდად აღიქმებოდნენ, მაგრამ ახლა საკუთარი ტყავი აქვთ

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# კოაბიტაცია დამთავრდა! ფსიქიურად ავადმყოფები — ფსიქიატრიულში! კრიმინალები ციხეში!

**„საერთო გაზეთის" სტუმარია პარლამენტარი ლუკა კურტანიძე:**

**— ლუკა, ქვეყანაში საკმაოდ დაძაბული ვითარებაა. „ნაციონალები" უკვე სამოქალაქო შუღლისთვის დაუფარავად ემზადებიან. როგორც აცხადებენ, არალეგიტიმური მთავრობა, რომელიც ჩვენ არ აგვირჩევია, მშვიდობიანად უნდა შევცვალოთო. ამავდროულად, ისინი სამთავრობო შენობების პიკეტირებით იმუქრებიან. ამას ემატება, „რუსთავი-2"-თან დაკავშირებული მოვლენები. კეთდება განცხადებები, რომ ამ ტელევიზიას მისი მუშაკები ფიზიკურად დაიცავენ. რას ნიშნავს ყოველივე, რა მოლოდინები გაქვთ?**

— პირველ რიგში, ხაზგასმით ვამბობ, დღევანდელი ხელისუფლების ინტერესში „რუსთავი-2"-ისა თუ სხვა მედია-საშუალების დახურვა, რაც არ უნდა ამაზრზენ ინფორმაციას გადასცემდნენ ისინი, ნამდვილად არ შედის. საქართველოში „რუსთავი-2"-ის გარდა ბევრი მედია-საშუალებაა — „მაესტრო", „საზოგადოებრივი მაუწყებელი", „იმედი", „კავკასია" და ა.შ., რომლებიც ხელისუფლების კრიტიკით, ერთიმეორისგან, არაფრით განსხვავდებიან. ასე, რომ მინდა ყველამ კარგად გაიგოს, დღევანდელი ხელისუფლების ინტერესი ესკალაცია ან მედია-საშუალებების შეზღუდვა არაა. პირიქით, დღეს, როგორც არასდროს ვისაც რა უნდა, იმას ლაპარაკობს. ხელისუფლებას თითქმის, ყველა ტელე-არხი კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს. ამით იმის თქმა მინდა, რომ მხოლოდ „რუსთავი-2" როდია, კრიტიკის თვალსაზრისით, ხელისუფლებისთვის პრობლემის შემქმნელი. კრიტიკა მსოფლიოს ყველა მედია-საშუალებიდან ისმის, ამ მხრივ, გამონაკლისი ქვეყანა ნამდვილად არ ვართ. სხვა საკითხია, რამდენად სამართლიანი, საფუძვლიანია ეს კრიტიკა. აი, ამაზე, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, საზოგადოებამ ხმა უნდა ამოიღოს და ყველაფერს სათანადო პასუხი გასცეს. „რუსთავი-2"-ის თემა გაბუქებულია. პირდაპირ გეტყვით, იგი ესკალაციის შექმნის ინსტრუმენტია, რომელიც წლების მანძილზე „ნაცმოძრაობის" მიერ ჩადენილ ათას სიბინძურეს ლამაზად ფუთავდა და ისე გვაწვდიდა. დიახ, შესაძლოა აქ მომუშავე ჟურნალისტები პროფესიონალები არიან, მაგრამ ეს სასიკეთოდ უნდა გამოიყენო, სახელმწიფოზე, მის გაძლიერებაზე, საზოგადოების გაერთიანებაზე იყო ორიენტირებული და არა დაპირისპირებასა და შუღლზე. მაგრამ პროფესიონალი რომელიც ქვეყანას ანგრევს და საზოგადოებას აპირისპირებს, რასაც „რუსთავი-2"-ელები აკეთებენ, უკვე კრიმინალია. ამ სიბინძურეს თავად საზოგადოებამ უნდა დაუსვას წერტილი.

სულ არ ვიცნობ ქიბარ ხალვაშს და არავითარი ინტერესი არ მაქვს მაინცდამაინც მან მოიგოს, მაგრამ თუ ეს ადამიანი დაჩაგრულია, წაართვეს, იდაოს და სასამართლო რასაც გამოიტანს იმ გადაწყვეტილებას დავექვემდებარები. ჩვენ ისე ძალისმიერად ვერ მოვიქცევით, როგორც „ნაციონალები" იქცეოდნენ. ჩვენც ასე რომ გვექნა, მაშინ დღეს, საქართველოში, ყველა ის საკითხი რაც ხელისუფლებას არ მოსწონს, აქამდე იქნებოდა გადაწყვეტილი. მაგრამ თუ ჩვენ ვლაპარაკობთ მტკიცებულებებზე, სასამართლო წესით ადამიანების დასჯაზე, სამართლიანი სახელმწიფოს მოწყობაზე, მაშინ ხან ისე და ხან ასე ვერ იქნება, კანონი ყველამ უნდა ვაღიაროთ და იმას მივყვეთ თუ გვინდა, რომ ქაოსი არ შეიქმნას.



ლუკა კურტანიძე

**— ლუკა, მოდით, მიზეზებზეც ვისაუბროთ, რატომ მივედით აქამდე? ხომ არა იმიტომ, რომ თავის დროზე არ დავარქვით დამნაშავეს თავის სახელი და პასუხისმგებლობის დაკისრების ნაცვლად „თბილ ქვეყნებში" გავამგზავრეთ?**

— დიახ, „ნაცმოძრაობის" მიერ ჩადენილმა დანაშაულებებმა, რომლებიც დროულად არ იქნა გამოძიებული, სწორედ იქამდე მიგვიყვანა, რომ თავად დამნაშავენი, სხვის დანაშაულზე საუბრობენ. უდანაშაულობის პრეზუმციას არ დავარღვევ და გეტყვით, დანაშაულში ეჭვმიტანილი ორგანიზაცია — „ნაცმოძრაობა" უკვე აქეთ გვედავება და დანაშაულში ჩვენ გვდებს ბრალს. ცოტა ხნის წინ ინტერნეტით წამების ამაზრზენი კადრები გავრცელდა. ეს „ნაცმოძრაობის" სახეა, პირველ რიგში კი, მათი ავადმყოფი ლიდერის — მიხეილ სააკაშვილის, რომელმაც ქვეყანა თავზე დაგვაქცია. ჯერ ერთი სირცხვილია, პრეზიდენტმა, პირველმა პირმა საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობაზე თქვა უარი, რათა უკრაინაში გუბერნატორი გამხდარიყო. სააკაშვილი ჩემი პრეზიდენტი არასდროს ყოფილა. იგი ავადმყოფია, რომელიც მისნაირებით შემდგარ ჯგუფთან ერთად ქვეყანას მართავდა ისე, როგორც ეს წამების კადრებით დავინახეთ. წარმოიდგინეთ, რამდენი ადამიანი გააუბედურეს და რამდენის შესახებ კიდევ არ ვიცით. მათი მსხვერპლნი ათასობით ადამიანია, რომლებიც ფსიქოლოგიურად დამახინჯებულნი, მორალურად გატეხილნი არიან. სააკაშვილს და მის ბანდას ვეუბნები — იცოდეთ, გახსოვდეთ, ეს ადამიანები, გეშინოდეთ მათი შურისძიების. **თანაარსებობის დრო დამთავრდა. ეს ავადმყოფები, რომელთაც ერის გახლეჩისკენ მიჰყავთ სიტუაცია, ხელის გულზე ჩანან, მათთან ვერც თანაარსებობას განვახორციელებ და ვერც ვერაფერს, რა ფორმულითაც არ უნდა იყოს ეს მოწოდებული გინდაც, კოაბიტაცია ერქვას, გინდაც, სხვა რამ. ამ სიმახინჯესთან ვერ გავერთიანდები და საზოგადოებასაც იგივეს მოვუწოდებ. მათი ადგილი ციხეში და სამკურნალო დაწესებულებებშია.** ადამიანები, რომელთაც ეს კადრები იხილეს და ამის შემდეგ, კიდევ გამოდიან და 9 წლიან რეჟიმს ამართლებენ, ჩემს თვალში, ისეთივე ავადმყოფები არიან, როგორც ისინი, რომლებმაც დაკვეთით ამ დროს, აქ, ევროპული ღირებულებებიდან გამომდინარე, მელაპარაკებიან თითქოს, კოაბიტაციას ევროპა მაძალებს. ევროპა კი არ მაძალებს, მეუბნება, მაღალი ღირებულებებით, ადამიანის უფლებების დაცვით უნდა მოახდინო თანაარსებობაო, მაგრამ ეს ამ ავადმყოფებთან შეუძლებელია. ავადმყოფის ადგილი საავადმყოფოშია, კრიმინალის — ციხეში. თუ იმ რეჟიმის მონაწილე საკუთარ შეცდომას დაინახავს და მოინანიებს, მიუხედავად პოლიტიკური განსხვავებისა, მათთან თანაარსებობას შევძლებ, მაგრამ უტიფრებთან — ვერა. ესაა ჩემი შეხედულებაც, მრწამსიც, ასეთად დავიბადე და გავიზარდე. თუ რამე შემეშალა, ასმაგად ვცდილობ გამოსწორებას.

**— შექმნილი სიტუაციიდან რა გამოსავალს ხედავთ?**

— გამოსავალი ერთია: ყველამ საზღაური უნდა მიიღოს — დამნაშავე უნდა დაისაჯოს. ამ სასჯელით იგი უნდა მიხვდეს, რომ რამდენჯერაც ასეთ უმსგავსობას ჩაიდენს, მას, კანონის შესაბამისად, მკაცრი სასჯელი და საზოგადოებისგან ლიკვიდირება ელოდება ან სამკურნალო დაწესებულებაში ან



ეს სისასტიკე ჩაიდინეს. მათთან ვერც კოლეგიალობა დამაკავშირებს და ვერც ვერაფერი. მათ მოვუწოდებ, უახლოეს დღეებში, გამოვიდნენ და საზოგადოების წინაშე, ამ რეჟიმს, რომელმაც ასე დაამახინჯა ქვეყანა, ერი, გაემიჯნონ და სინანული გამოხატონ, თუ არადა, ვიმეორებ, ისინიც არანაკლები ავადმყოფები იქნებიან, ვიდრე უშუალოდ მწამებლები. ჩემთვის, არავითარი განსხვავება აღარ იქნება ჩიორა თაქთაქიშვილს, გივი თარგამაძესა და იმ სადისტს შორის, რომელმაც ადამიანი გააუპატიურა, დაასახიჩრა, მის ოჯახს, გვარს მომავალი წაართვა. ეს არ იყო მხოლოდ გაუპატიურებულ, ნაწამებ ადამიანებზე შეტევა, არამედ, მთელს ქვეყანაზე. როგორ შეიძლება, ამის ჩამდენ ადამიანებზე, ევროპელმა თუ ამერიკელმა მითხრას, მათთან კოაბიტაციაში იყავი, თანაარსებობა უნდა შეძლოო. ევროპული ღირებულებები სხვაზე ნაკლებად არ ვიცი, 12 წელი იქ ვცხოვრობდი და ვიცი ევროპა რაზეც დგას. იგი ასეთ საშინელებებზე კი არ დგას, არამედ უმაღლეს ღირებულებებზე, ადამიანის უფლებების დაცვაზე, ცხოველის უფლებასაც კი იცავენ. ციხეში. კადრების ნახვამ დიდი ტკივილი მომაყენა, რაზეც თვალს ვერ დავხუჭავ. **აქვე, ერთიც მინდა ვთქვა, ჩიორა თაქთაქიშვილი და გიორგი კანდელაკი დანარჩენ ევროპაში საკუთარი ქვეყნის დასმენით არიან დაკავებული — საქართველოზე ათასგვარ უმსგავსობას თხზავენ და ინფორმაციას დანარჩენ ევროპას აწვდიან. ამიტომ, ეს მასხარები, ავადმყოფები, იმ კვირაში, პარლამენტში, სესიაზე თუ არ გამოვლენ, არ დაგმობენ იმ სიბინძურეს, რაც მთელმა ქვეყანამ იხილა და რეჟიმს არ გაემიჯნებიან, როგორც პოლიტიკოსები, ისეთივე დამნაშავენი იქნებიან, როგორც ის მუწუკიანი, ზედმეტხორცი პიროვნებები, ვინც ამ საქმის უშუალო ჩამდენები იყვნენ.**

**— ახლა აღნიშნეთ, მე კოაბიტაცია დავასრულეო. პარლამენტის თავმჯდომარემ მოგვიწოდა — ჩვენი მიზანი „ნაცმოძრაობის" გადარჩენააო და დღემდე ამ „გადარჩენის" შედეგებს ვიმკით. ხომ არ დავუშვით შეცდომა როცა კოაბიტაციის ნაცვლად, პარლამენტმა რეჟიმის სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასება არ მოახდინა?**

— ჩვენი ქართული მენტალიტეტი დიდი მიმტევებლობა, მოთმინებაა. ბიძინა ივანიშვილმა თავის თანამებრძოლებში სწორედ ეს დაინახა, რასაც დაეყრდნო კიდეც. ამ რეჟიმს ძალიან ბევრი ადამიანი ჰყავდა გასვრილი, თუ ასე მივყვებოდით ნახევარი საქართველო ციხეში იქნებოდა ჩასასმელი. საჯარო უწყებაში მყოფთაგან 50% გასვრილი იყო. თუმცა, ბევრი ამ რეჟიმს, სისასტიკეს განუდგა და ქვეყნის სამსახურში ჩადგა. მაგრამ, დარჩა დამპალი, ბინძური ქაფი, რომელთაც რაც არ უნდა მაღალ მატერიებზე, მორალზე ველაპარაკოთ, მათი გამოსწორება არ არსებობს, ხელის გულზე ჩანს ვინაა საზოგადოებიდან მოსაშორებელი. საზოგადოებამაც ხმა უნდა ამოიღოს, გამოვიდეს და ისინი პოლიტიკურ ველს დემონსტრაციულად მოაშოროს. იმიტომ, რომ ასეთი ჯგუფის ქვეყნის მართვის სადავეებთან ყოფნა, საქართველოსთვის, სახელმწიფოებრიობისთვის უდიდესი რისკია. ამიტომ, რაც უფრო მალე მოშორდებიან ეს ადამიანები ქვეყნის მართვის ნებისმიერ სადავეებს და პირველ რიგში, პარლამენტს, მით მალე ეშველება სამშობლოს. ასეთი სულის პატრონებთან ერთ შენობაში ყოფნა, სუნთქვა ჭირს. კატეგორიულად მოვითხოვ, პარლამენტში მყოფი „ნაციონალური" უმცირესობისგან: იმ სისასტიკეს და სიმახინჯეს რაც ვნახეთ, გაემიჯნონ. თუ არ გაემიჯნებიან, კიდევ ხაზგასმით ვამბობ, იგივე ავადმყოფები, ზედმეტხორცები იქნებიან, რაც კადრებში მყოფი ადამიანები, მათ გვარებს მნიშვნელობა არ აქვს.

**— პრემიერ-მინისტრმა დაუფარავად ისაუბრა იმ პრობლემაზე, რაზეც წესით, კარგა ხნის წინ უნდა ამოეღო ხმა თუნდაც პარლამენტს, საზოგადოებას და ა.შ. თუმცა, ღარიბაშვილი ამის გამო სასტიკად გააკრიტიკეს.**

— არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პრემიერ-მინისტრიც ადამიანია. მან ეს საშინელი კადრები სრულად ნახა და ბევრად მეტი ინფორმაცია აქვს და უკეთ იცის რას წარმოადგენენ „ნაციონალები". სიმართლის თქმისთვის ლამის ჯვარს აცვეს, ასეთი სისასტიკის მნახველმა, ბუ-

8 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# კოაბიტაცია დამთავრდა! ფსიქიურად ავადმყოფები — ფსიქიატრიულში! კრიმინალები ციხეში!



7 gv.

ნებრივია, რომ ემოცია ვერ შეიკავა. მაინტერესებს, სად იყო პრემიერის გამკრიტიკებელი საზოგადოება მაშინ, როცა მთელი 9 წლის მანძილზე ეს სიბინძურე და სიდამპლე ხდებოდა. რატომ არ იღებდნენ ხმას ეს არასამთავრობო ორგანიზაციები და ის ადამიანები, რომლებიც საზოგადოებაში ჩანდნენ? რატომ იბრძოდნენ ერთეულები? სად იყვნენ მაშინ, ახლა რომ გვარიგებენ ჭკუას. პრემიერმა სიტყვა თქვა და ქარ-ცეცხლში გაატარეს. სად იყვნენ მაშინ, როცა სიტყვას კი არა საქმეს, მკვლელობებს, დასახიჩრებებს ჰქონდა ადგილი? ყველაზე მთავარი იცით რა არის? — გამოაცხადეს ეს განცხადება ესკალაციას უწყობს ხელსო. ფიცი მმწამს, ბოლო მაკვირვებს. ამ კადრების ყურების მერე, ჩემი შვილის, ოჯახის წევრის გადმოსახედიდან ვუყურებ მოვლენებს, ვინც დაასახიჩრეს, მოკლეს, მას ჩემად წარმოვიდგენ. ამ ემოციის ფონზე, როგორ უნდათ გამაჩერონ ამ ვითომ ქვეყნიერების გადამრჩენებმა. როდესაც ოჯახის წევრი გამიუპატიურეს, შვილი მომიკლეს, როგორ გინდათ მშვიდად ვიყო? მაშინ აღმიდგინეთ სამართლიანობა! მაშინ ეს ავადმყოფები, რომელბიც კიდევ პარლამენტში სხედან მოახვედრეთ იქ სადაც მათი ადგილია — ჯურღმულებში, სადაც მთელი თავისი ცხოვრება ამ სისასტიკეზე უნდა აგონ პასუხი.

**— „ნაციონალების“ გააქტიურება მოახლოებულ არჩევნებსაც უკავშირდება. ვფიქრობ, მათ შესანიშნავად იციან, რომ არჩევნების ნორმალურ რეჟიმში ჩატარების შემთხვევაში, პარლამენტში მოხვედრის შანსი არ აქვთ. ამიტომაც ხომ არ ცდილობენ დესტაბილიზაციის, ქაოსის გამოწვევას?**

— „ნაციონალებს“ სურთ დაჩაგრულის მანტია მოისხან, რათა შემდეგ კანდელაკებმა და თაქთაქიშვილებმა ევროპას დაჩაგრულად მოაჩვენონ თავი. არადა, სულ არ მაინტერესებს ნიკა გვარამიას, თაქთაქიშვილისა თუ ნასედკა კანდელაკის ცხოვრება. ეს პიროვნებები ისედაც სახეზე მყავს, მათ „რუსთავი-2“ მანახებს და პირიქით, მადლობა მათ ამისთვის, რომ მათი აზრები დაფარული არაა. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ სიმშვიდის შესანარჩუნებლად, მაგრამ „ნაცმოძრაობა“ დესტაბილიზაციისთვის ემზადება. შესაბამისი ორგანოები ყურადღებით არიან. დღეს, ჩვენ, ბიძინა ივანიშვილის თანამებრძოლები, ჩვენი გუნდის წევრის, მინისტრისა და ყველას მიმართ მაქსიმალურად კრიტიკულები ვართ. თუ ვინმე რამეს აშავებს „ნაცმოძრაობაზე“ ადრე ჩვენ ვამბობთ, არ ვერიდებით. ასე, რომ საზოგადოებამ კარგად გაიაზროს — მათ ეს ტკივილი არ უნდა დაავიწყდეთ. კადრები, რასაც ახლა „ნაციონალები“ აქვეყნებენ, მათი სახეა. ეს ადამიანები ავადმყოფები არიან, სხედან პარლამენტში და მორალზე გვესაუბრებიან, საზოგადოებას ჭკუას ასწავლიან. კი ბატონო, ჰქონდეთ თავისი პოლიტიკური მრწამსი, მაგრამ ამ სიბინძურეს გაემიჯნონ.

**— წელან გკითხეთ, თავის დროზე რეჟიმის სამართლებრივი შეფასება ხომ არ იყო ქვეყნის ამ მდგომარეობამდე არ მიყვანის გამოსავალი. ახლა მაინც, ხომ არ დადგა დრო პარლამენტმა შეფასება მისცეს იმას, რაც იმ 9 წლის მანძილზე ხდებოდა?**

— საზოგადოებას ვთხოვდი ხმა აიმაღლოს და ხელისუფლებას ძალა მისცეს. ეს უბედურება თავის შვილებზე, ოჯახის წევრებზე წარმოიდგინონ. ისე ნუ უყურებენ თითქოს, ეს სამეგრელოში მოხდა და დანარჩენ საქართველოს არ ეხება. არა! — ეს მოხდა სამეგრელოშიც, მერვე საპყრობილეშიც და მთელს ქვეყანაში. ამიტომ, გეთანხმებით, სჯობს ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ — დამნაშავე ციხეში უნდა ჩაჯდეს, თანაარსებობა დამთავრებულია. მათ სამი წელი დრო ჰქონდათ, დღეს ეს დრო უკვე ამოწურულია. იმის შიშით, რომ თარგამაძე, თაქთაქიშვილი თუ სხვა დემოკრატიაზე ყვირილს დაიწყებს, სამართლიანობა არ განახორციელო, ეს უკვე დანაშაული იქნება. **როგორც საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენელი, შესაბამის სტრუქტურებს მოვუწოდებ, ყველა ბერკეტი აამოქმედონ იმისათვის, რომ დამნაშავე დაისაჯოს და იქ მოთავსდეს სადაც მისი ადგილია.**

**— მეტის თმენას ნუღარ მოგვთხოვთ, კმარა, ეს წარმოუდგენელიაო — თქვენს „ფეის-ბუქ“ გვერდზე ამ შინაარსის პოსტი ვნახე. დამნაშავეების დასჯასაც ითხოვთ, მაგრამ როგორ წარმოგიდგენიათ ამის რეალობაში განხორციელება?**

— როგორც საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენელს თუ ვინმე ამ მოწოდებაზე ხელს შემიშლის ან კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამს, შევახსენებ, რომ იმ სატკივარს რაზეც ვსაუბრობ, თავისი შვილის მიმართ განხორციელებული ძალადობის კუთხიდან შეხედოს და მერე მელაპარაკოს კოაბიტაციის გაგრძელებაზე. მე და ჩემმა მეგობრებმაც, რომლებიც ღირსეული მებრძოლები არიან კოაბიტაცია უკვე დავასრულეთ. იმიტომ, რომ ავადმყოფებთან, მწამებლებთან კოაბიტირებული ვერ ვიქნები და ამას ვერც ვერავინ ჩამჩრის. ვაპირებ, საკანონმდებლო ხელისუფლებიდან აღმასრულებელ ხელისუფლებას მოვუწოდო, მკაცრად იმოქმედოს. დღეს საქართველოში მკაცრი, სამართლიანი ხელია საჭირო. ამიტომ იმ ჩარჩოში იმოქმედონ, რის უფლებასაც მათ კანონი ანიჭებს.

**— ლუკა, წელან ახსენეთ, საზოგადოებამ ხმა უნდა აღიმაღლოს და ხელისუფლებას ძალა მისცესო. სად არიან, რატომ დუმან „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები?**

— თვითკრიტიკული ვიქნები, ბევრი შეცდომა დავუშვით, ბევრიც გავაკეთეთ, ბევრიც გამოგვრჩა. უკვე, დროა, ყველა ვინც ამ ბრძოლაში იყო ჩართული, ღირსეული თანამებრძოლები, გვერდით დავიყენოთ. იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც ქვეყანას საბოტაჟი მოუწყვეს და დღესაც სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ დაბრუნებაზე სიზმრებს ხედავენ. მათ ვეტყვი: როგორც საუკუნეებით შინმოუსვლეელი ვერ მობრუნდება სახლში, ისე ვერ მობრუნდებიან „ნაციონალები“. აი, სააკაშვილი კი ნამდვილად მობრუნდება და წავა ციხეში, სადაც მისი ადგილია.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# გახდება თუ არა თურქეთი ევროკავშირის წევრი ქვეყანა?



თურქეთი დაჩქარებული წესით ევროკავშირის წევრი ქვეყანა გახდება. ეს გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის ანკარაში ვიზიტის შემდეგ გადაწყდა. სანაცვლოდ თურქეთმა უნდა შეაჩეროს დევნილების ნაკადი ევროპისკენ, ანუ შლაგბაუმის როლი შეასრულოს. დევნილებისთვის ევროკავშირი ჩვენს მეზობელ ქვეყანას ფინანსურადაც დაეხმარება. საუბარია 3 მილიარდ ევროზე. ანკარაშივე გადაწყდა, რომ თურქეთის მოქალაქეები შენგენის ვიზებს გამარტივებული წესით უკვე 2016 წლიდან მიიღებენ. მოლაპარაკებების თანახმად, რომლებიც კვირას გაიმართა, ევროპიდან არალეგალურად შესული დევნილების ნაწილს თურქეთში დააბრუნებენ.

ერთი შეხედვით, რა მოხდა, თუ ჩვენი კარის მეზობელს ევროკავშირში მიიღებენ. თუმცა, როგორც ჩანს, ჩვენთვის საქმე ასე მარტივად როდია. მარტივად კი არა, აშკარა საფრთხეა მოსალოდნელი. დავიწყოთ იმით, რომ თურქეთს ევროკავშირის წევრობაზე ორგანიზაციის შექმნისთანავე უთხრეს უარი და ბოლო 10 წელია, საკითხი არც განუხილავთ. ამის გამო ურთიერთობა ევროპის წამყვან ქვეყნებსა და თურქეთს შორის გაცივდა. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ნატო-ს წევრი ქვეყანაა, საერთაშორისო ასპარეზზე თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, მოქმედებდა და შორსმიმავალი ამბიციებიც გააჩნდა. გავიხსენოთ თუნდაც ერაყის მოვლენები, როდესაც თურქეთმა ნატო-ს კოალიციის ჯარებს საჰაერო სივრცე ჩაუკეტა და საბრძოლო მოქმედებებში არც ცარეულა.

დიახ, თანამედროვე თურქეთის სახელმწიფო ყოველთვის თავისი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. არც ძველი იმპერიის აღდგენის სურვილს მალავს — დღევანდელმა პრემიერ-მინისტრმა დავიდოღლუმ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრობისას, სხვა რეგიონებთან ერთად, ბათუმი თურქეთის იმპერიის ნაწილად მოიხსენია. თუმცა ამ განცხადებას საქართველოს მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია.

ეგვიპტეში ე. წ. რევოლუციის შემდეგ ოფიციალური თურქეთი მხარს „მუსულმან ძმებს“ უჭერდა. ორგანიზაციას, რომელსაც მსოფლიოში რადიკალურ მოძრაობად იცნობენ. ამიტომაც მათი ქვეყნის სათავეში ყოფნა რამდენიმე თვე გაგრძელდა. რაც შეეხება დღეს სირიაში მიმდინარე მოვლენებს, თურქეთი თითქოს ჩაერთო ე. წ. „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში. როგორც შემდგომ გამოირკვა, ისინი, ფაქტობრივად, ქურთებს ებრძოდნენ. გამოაშკარავდა ის გარემოებაც, რომ თურქეთი, ფარულად თუ აშკარად, ქურთების წინააღმდეგ რადიკალურ დაჯგუფებებს ეხმარებოდა. ამის შესახებ უცხოური გამოცემები ბევრს საუბრობდნენ.

დავუბრუნდეთ იმ საკითხს, თუ რა საფრთხის წინაშე შეიძლება დადგეს საქართველო. ვაჭრობის შედეგად თურქეთმა მიიღო ის, რაც უნდოდა — დაპირება ევროკავშირის წევრობაზე და სოლიდური თანხა. სავარაუდოდ, თურქეთი დევნილებს დიდი ხნით არ შეიფარებს თავის ტერიტორიაზე. ამასთან, ევროპა არათუ წყვეტს დევნილების მიღებას, არამედ მათ დეპორტაციასაც აპირებს. სად წავლენ, საით გაუხსნიან გზას დევნილებს, ეს არის საკითხავი.

გამორიცხული არ არის, ერთ-ერთი მარშრუტი საქართველოც იყოს. როგორც უცხოური მედია-საშუალებები იუწყებიან, ევროპაში დევნილებთან ერთად რადიკალური ისლამისტების მებრძოლებმაც შეძლეს შესვლა. ახალი „ხალიფატის“ შემადგენლობაში რადიკალები მთლიან კავკასიის რეგიონსაც განიხილავდნენ. სავარაუდოდ, ისინი უარს არ იტყვიან, აქეთ გადმოინაცვლონ და ვითარების გარკვევამდე თავი კავკასიას შეაფარონ. თურქეთი კი, ტრადიციულად, თავისი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მათ კორიდორს გაუხსნის, რათა ზედმეტი პრობლემები აიცილოს თავიდან.

საქართველო, თუნდაც მშვიდობიანი დევნილების მიღებას რამდენად შეძლებს, ესეც საკითხავია. არადა, თუ ევროჩინოვნიკები ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებენ, ჩვენი პოლიტიკოსები უმალ მხარს აუბამენ დემოკრატიის ნიღაბს ამოფარებულები. ამდენი შინაური დევნილის პატრონები როგორ შევძლებთ დამატებით უცხოელების შეფარებას (რისი საშიშროებაც არსებობს), ძნელი წარმოსადგენია. ამიტომ ახლა ჩვენმა ძალოვანმა სტრუქტურებმა უნდა თქვან თავიანთი სიტყვა, რამდენად შეუძლიათ ქვეყნისთვის მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება.

**გია ბურდული**
551 71 27 07

*გვესაუბრება სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის აპარატის უფროსი, ბატონი* ***ლაშა გვასალია***



# ლაშა გვასალია: სამეგრელომ დიდი ხანია განაჩენი გამოუტანა „ნაცმოძრაობას“, განაჩენი, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება

**— ბატონო ლაშა, მოსახლეობა აღაშფოთა სამეგრელოს ე. წ. სამალავების კადრების ხილვამ. თქვენც საჯაროდ** ნახეთ **ეს კადრები?**

— იმ დღეს, სამწუხაროდ, თბილისში ვიყავი, იქ რომ ვყოფილიყავი, აუცილებლად დავდგებოდი ხალხთან, ჩემს მოსახლეობასთან და მათ წუხილს ისე მივიღებდი, როგორც მიიღო თითოეულმა ღირსეულმა ზუგდიდელმა.

ჩვენება ჩაატარა „საზოგადოებრივი აზრის დარბაზმა“.

მე თბილისში დამირეკეს, როგორც „საზოგადოებრივი აზრის რეგიონული ორგანიზაციის“ ხელმძღვანელს და მითხრეს: მოვიპოვეთ ფირები, რომელშიც „ნაცმოძრაობის“ მიერ სამეგრელოში ჩადენილი სიბინძურეებია აღბეჭდილიო. მე ვუთხარი: დაიცადეთ ჩემს ჩამოსვლამდე, არ იჩქაროთ ჩვენება-მეთქი, რადგან სასტიკი წინააღმდეგი ვარ კონფრონტაციის და დაპირისპირების. ახალგაზრდებმა თქვეს: ყოველივე, რაც გადაღებულია კადრებზე, იმდენად ამაზრზენი და აღმაშფოთებელია, რომ ჩვენ ამის მოთმენა არ შეგვიძლია, თუ წინააღმდეგი იქნებით კადრების ზუგდიდის საზოგადოებისთვის ჩვენებით, ჩვენ დავტოვებთ „საზოგადოებრივი აზრის დარბაზს“ და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ვიმოქმედებთო. მათ თვითონ დაუმონტაჟებიათ მონიტორი და უჩვენებიათ ეს კადრები.

ვიმეორებ: ჩვენება ჩაატარა „საზოგადოებრივი აზრის დარბაზმა“.

ახალგაზრდების ერთი ჯგუფი, რომელსაც, როგორც მითხრეს, სათავეში ედგა ვინმე **გოგილავა,** აპირებდა პროვოკაციის მოწყობას. მე მაშინვე დავუკავშირდი ქალაქის მერს, ბატონ **ირაკლი გოგოხიას,** რომელმაც საერთოდ არ იცოდა, რას აპირებდა **„საზოგადოებრივი აზრის დარბაზი“**. ვუთხარი, რომ მზადდებოდა პროვოკაცია და ვთხოვე ჩასულიყო ხალხთან, რომ არ მომხდარიყო გაუთვალისწინებელი რამ.

იქ რომ დაგინახავენ, პროვოკაციას ვერ გაბედავენ-მეთქი. „საზოგადოებრივი აზრის დარბაზის“ წევრები ირაკლი გოგოხიას ამომრჩევლები არიან და პატივს სცემენ ბატონ ირაკლის. ქალაქის გამგებელს, ბატონ **ედიშერ თოლორაიასაც** დიდი ავტორიტეტი აქვს ზუგდიდში, იმასაც ვთხოვდი, ჩასულიყო ხალხთან, მაგრამ არც ედიშერი იმყოფებოდა მაშინ ზუგდიდში. მევე დავუკავშირდი ამ საკითხზე **მამუკა ციმინტიასაც**.



ლევან შონია

გამგეობამ და „საზოგადოებრივი აზრის დარბაზის“ უსუცესებმაც იმდენი გააკეთეს, რომ კონფრონტაცია თავიდან აიცილეს, კიდევ ერთ უბედურებას აარიდეს ჩვენი საზოგადოება.

**— ეს კადრები „საზოგადოებრივი აზრის დარბაზმა“ როგორ მოიპოვა?**

— ჩვენი ინფორმაციით, თავად ნაციონალები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, ერთმა ჯგუფმა მოინდომა მეორე ჯგუფის ჩაძირვა. იმ ჯგუფმა, რომელიც ნაკლებად აგრესიულია, მოინდომა **ახალაიების, ჭაჭუების** მომხრეთა გამოაშკარავება, მათ გამოიტანეს ეს კადრები.

**— თქვენი აზრით, რატომ ხდებოდა ასეთი საშინელებები განსაკუთრებით სამეგრელოს რეგიონში?**

— სამეგრელო არის ყველაზე თავდადებული, ყველაზე მრავალღონე რეგიონი საქართველოში. სამეგრელოში წყდება საქართველოს ბედიო, თქვა ერთხელ ერთმა პოლიტიკოსმა. ამ ნათქვამში არის სიმართლე. სამეგრელოში სურდათ ყოფილიყო მოსახლეობა დამორჩილებული, დაბეჩავებული, ბოდიშს ვუხდი „საერთო გაზეთის“ მკითხველებს და „დაჩმორებული“ სამეგრელო უნდოდათ მავანთ, ამისთვის იბრძოდნენ. გარკვეულწილად, მიაღწიეს ამას და გამზადებული ხმები მისდიოდათ კიდევაც სამეგრელოდან.

**— როგორი განწყობა შეიქმნა ამის შემდეგ ხალხში?**

— ხალხი აღშფოთებულია. ყველამ მიიღო ეს ფაქტები, როგორც საკუთარი ტკივილი. სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო, რომ არის ნათქვამი, ეს უნდოდათ განეხორციელებინათ ნაციონალებს, მაგრამ ვერ მოახერხეს. ამ საშინელებამ გააერთიანა ხალხი.

ნუ გჯერათ იმ გამოკითხვების, რასაც „ნაცმოძრაობის“ მიერ მოსყიდული ორგანიზაციები ატარებენ. ჩვენ ვიცით, ჩვენ საზოგადოების მაჯისცემაზე გვიდევს ხელი და კარგად ვუწყით, რა სურს ხალხს.

რა თქმა უნდა, ბევრი რამ დაგვრჩა გაუკეთებელი, ბევრი დაპირება შეუსრულებელი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხალხი შეეგუოს გაუპატიურებას, დამცირებას, შიშს, შეურაცხყოფას, ამიტომაც საზოგადოებრივი აზრი არის ცალსახა — უარი „ნაცმოძრაობას“ და მათ ძალადობრივ მმართველობას.

ჩვენი ხელისუფლება თავისუფლებას აძლევს ყველა მოქალაქეს, ყველა თავისუფალია თავის არჩევანში, შეუძლიათ გამოხატონ საკუთარი აზრი და ამისთვის არავინ არავის არ იჭერს და არ აწამებს.

**— „რუსთავი-2“-ის, როგორც თავისუფალი სიტყვის მედროშის მხარდამჭერი აქცია ჩატარებულა ხობში...**

— ძალიან კარგი. გამოხატვის თავისუფლებას მოვესალმებით, მაგრამ მშვიდობიან ზღვარს არ უნდა გადასცდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა მიიღებს იმას, რაც გათვალისწინებულია კონსტიტუციური უფლებამოსილებებით. ყველამ დემოკრატიული ფორმით უნდა გამოხატოს საკუთარი აზრი და შეხედულება.

მე ახლოს ვარ სამეგრელოს რეგიონის ინტელიგენციასთან, შემოქმედ ხალხთან, ვიცნობ ჟურნალისტებს და გეტყვით, რომ მათ უდიდეს პატივს ვცემ. თავისუფალი აზრსა და სიმართლეს მხარს ვუჭერ, მაგრამ გაზვიადება, თითქოს „რუსთავი-2“-ს ვინმე ხურავს, ეს არის ფარსი და ტყუილი. მე არც ქიბარ ხალვაშს ვიცნობ, არც სხვებს, მაგრამ ხალვაში წინა რეჟიმის უსამართლობის მსხვერპლი გახლავთ. იგი აცხადებს, რომ ტელეკომპანია ჩვეულებრივ რეჟიმში იმუშავებს. რა უნდა გვარამიას, ყველა ვხვდებით. ეს ადამიანი გახლავთ ანგაჟირებული, მისი ინტერესია კონფრონტაცია, დეზინფორმაციის გავრცელება. ის ასრულებს „ნაცმოძრაობის“ ბოსების და კერძოდ, მიხეილ სააკაშვილის მითითებებს. მათი მიზანი არის რევოლუცია. დიახ, როგორც გავიგეთ, რევოლუციისა და გადატრიალებისთვის ნიადაგის მომზადება შეუკვეთა სააკაშვილმა. მაგრამ არავითარი რევოლუცია არ იქნება. ჩვენ, „ქართული ოცნება“, ვართ ხალხის არჩევანი და გვაცალონ! ჩვენ ვმუშაობთ, როგორც შეგვიძლია. ამას ხალხი ხედავს. გვაქვს ხარვეზები, მაგრამ ჩვენი მართლაც ღირსეული საზოგადოება არ გაუღებს კარს კვლავ ძალადობას და ბოროტებას.

„ქართულ ოცნებას“ ხშირად ცილს გვწამებენ — უვიცები და უნიათოები ხართო. დასხდნენ ჩვენთან დებატებში „ნაცმოძრაობის“ რეგიონული წარმომადგენლები და ნახავენ, ვინაა უვიცი და უნიათო. ნაციონალებს აინტერესებთ ერთი რამ — ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში, თქვენ წადით. გასაგებია, მაგრამ არავითარი გეგმა, ხალხის სიყვარული, შრომისმოყვარეობა მათში არ არის და როგორ უნდათ, რომ ხელისუფლებაში მოვიდნენ?!

პირდაპირ ვაცხადებ: არავითარ შემთხვევაში „რუსთავი-2“-ს არაფერი არ ემუქრება. საშიშროება ემუქრება ტყუილს, უზრდელობას, არეულობას, საშიშროება ემუქრება ნიკა გვარამიას და არავის სხვას.

**— „ნაცმოძრაობის“ რეგიონული ორგანიზაციების ოფისებს არბევს მოსახლეობაო. „ნაცმოძრაობა“ აცხადებს, რომ ეს ხელისუფლებისგან არის წაქეზებული.**

— ეს არის დამარცხებული ადამიანების ლოგიკა. პროვოკაციებს თვითონვე ახდენენ, თვითონვე არბევენ, მაგრამ გუბერნიის ადმინისტრაცია და მთელი სამხარეო ადმინისტრაცია მივმართავთ ყველას, — არავითარ შემთხვევაში არ ხელჰყოთ ოფისები, მით უფრო, სადაც პოლიტიკური მუშაობა მიდის. კატეგორიულად ვემიჯნები დარბევის ფაქტებს და სამართალდამცავ ორგანოებს ვთხოვ — ყველანაირი ზომები იქნეს მიღებული, რომ ასეთი წინააღმდეგობები იყოს აღკვეთილი.

ამას წინათ გაზეთებში გავრცელდა დეზინფორმაცია, თითქოს ამ კადრების ჩვენების ინიციატორი სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის და მერიის ადმინისტრაცია იყო. ეს არის მტკნარი ტყუილი, რათა ლაფში ამოსვარონ გუბერნია და ჩვენი საქმიანობა. ბატონმა **ლევან შონიამ** შეკრა მთელი სამეგრელო, გადააქცია ერთ ოჯახად. ვაშენებთ რეგიონს, რომ აშენდეს ერთიანი საქართველო. ეს დეზინფორმაციები მიმართულია იქითკენ, რომ დაინგრეს რეგიონი, შეასუსტონ ჩვენი ძალები და ამ მწარე დისკრედიტაციით რეგიონს გამოაცალონ წინმავალი კაცი — ლევან შონია.

ამ კადრებთან დაკავშირებით მანაც მოგვიანებით შეიტყო. შეხვედრებს მართავდა რეგიონულ პროექტებთან დაკავშირებით.

სამეგრელომ დიდი ხანია განაჩენი გამოუტანა „ნაცმოძრაობას“, განაჩენი, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება.





ირაკლი გოგოხია

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ტოტალური სექტა, სახელად „ნაცმოძრაობა“ და „წმინდა“ მიხეილის „მოწმეები“



თუმცა „ნაციონალები“ თვლიან, რომ ეს შედარება შეურაცხმყოფელია, არადა, მას საკმაოდ სერიოზული საფუძველი აქვს... უცხოელმა მეცნიერებმა და სამართალდამცავებმა ტოტალიტარული სექტების შესწავლისას საკმაოდ ბევრი დრო და ენერგია დაახარჯეს და შესაძლებლობა მოგვცეს, კიდევ ერთხელ ჩამოვთვალოთ 13 პუნქტი, რომელიც ამ ფართოდ გავრცელებულ მეტაფორას ნამდვილად ამყარებს.

1. ჯგუფის წევრები მორჩილად ემსახურებიან ლიდერებს და მის სიტყვებსა და ქმედებებს ეჭვქვეშ არ აყენებენ;

2. ისინი მიიჩნევენ, რომ მათ ჯგუფს და ლიდერს აქვთ განსაკუთრებული სტატუსი, რომელიც სხვებისგან გამოყოფს და მათზე მაღლა აყენებს;

3. ჯგუფის წევრები საკუთარ თავს ჭეშმარიტებას ნაზიარები ელიტის წარმომადგენლებად თვლიან (ისინი ყველა სფეროს აკონტროლებენ, რეკლამირებას უკეთებენ თავიანთ „მეცნიერებს“, „ექსპერტებს“, „მუსიკოსებს“, „მსახიობებს“ და ა.შ.), დანარჩენებს კი შემცდარ ბრბოს, რომელიც ჯიუტად ეწინააღმდეგება იმას, რომ ჯგუფის წევრებმა გადაარჩინონ (იხსნან);

4. ჯგუფის ლიდერი არავითარ შემთხვევაში არ განიხილება როგორც წარუმატებლობის პირველწყარო;

5. პრობლემების მიზეზად არასაკმარისი რწმენა და საზოგადოების ზოგადი „სიბნელე“ განიხილება;

6. ლიდერს, ზებუნებრივი ძალების რჩეულად მიიჩნევენ (ჩვენს რეალობაში და პოლიტიკურ მითოლოგიაში ამ როლს აშშ-ს ხელისუფლება და აბსტრაქტული „დასავლეთი“ ასრულებს);

7. შიდა დისციპლინა ჯგუფის წევრების კონტაქტები გარესამყაროსთან მკაცრად კონტროლდება, მუშაობს თვალთვალის და დასმენის მანქანა, მიზანმიმართულად ინერგება აზრი, რომ ლიდერმა — ყველაფერი იცის;

8. ახალი წევრების მოზიდვისა და ძველების შენარჩუნებისთვის გამოიყენება ფსიქოლოგიური ზემოქმედების სპეციალური ტექნოლოგიები (ის, რასაც პროპაგანდასთან მიმართებაში „ტვინის გამორეცხვას“ უწოდებენ) და დამორჩილების სხვა საშუალებები;

9. ჯგუფის წევრები გამუდმებით ცდილობენ გაამარტივონ სამყაროს სურათი და ურთულესი პრობლემები მარტივი სქემების ფარგლებში მოაქციონ;

10. ჯგუფის წევრებს ახასიათებთ მუდმივი მიზანმიმართული სწრაფვა შემოსავლის ნებისმიერი წყარო-ჯგუფის (და ამავე დროს, პირად) ინტერესებს დაუქვემდებარონ;

11. განდგომილები განიხილებიან, როგორც დამნაშავეები (ცოდვილები), რომელთა დასჯა ჯგუფის ნებისმიერი წევრის „წმინდა მოვალეობაა“;

12. ჯგუფის წევრები რეგულარულად, ხშირ შემთხვევაში სრულიად უადგილოდ იმეორებენ მოკლე, იოლად დასამახსოვრებელ ტექსტებს, ერთგვარ მანტრებს, რომელიც მედიტაციის საშუალებას წარმოადგენს და იმავდროულად სიხარულსაც ანიჭებთ (მაგ., „მიშა მაგარია“ და ა.შ.). განხილულ შემთხვევაში, ყურადღება ალბათ იმაზეც უნდა გამახვილდეს, რომ არსებობს სიძულვილის მობილიზაციაზე ორიენტირებული ფორმულებიც, მაგალითად, „ჰაკიმ-ფაშა“, „რუსეთი, რუსეთი, რუსეთი“, „პუტინ ხუილო“, „პუტინის ოლიგარქი“ და სხვ.);

13. ლიდერის ბრძანება ჯგუფის წევრებისათვის კანონზე და ნებისმიერ სხვა შემზღუდავ ნორმაზე მაღლა დგას.



ვარდების რევოლუცია

ძვირფასო მკითხველო, როგორც თავში მოგახსენეთ, სექტების შემსწავლელმა უცხოელმა მეცნიერებმა და სამართალდამცავებმა ტოტალიტარული სექტების ზოგადი მიდრეკილებანი ასე ჩამოგვიყალიბეს და ასე რომ, გვაქვს სრული უფლება იმისა, „ნაცმოძრაობა“ ტოტალიტარულ სექტას შევადაროთ!

2012 წლის არჩევნების შემდეგ, სააკაშვილი ამბობდა: „ივანიშვილის საქართველო მარტოა, ჩვენ საქართველოს მეგობართა დიდი არმია გვყავს, ივანიშვილის საქართველო არის დაჩმორებული და გაბანძებული, ჩვენი საქართველო კი არის ის, რაც ყოველთვის იყო — ამაყი, ღირსეული და განსაკუთრებული ქვეყანა“...

თუ პოლიტიკაზე ვისაუბრებთ, ალბათ, შეიძლება თქმა იმისა, რომ ეს საზოგადოების გახლეჩისა და სამოქალაქო ომის რიტორიკაა, მაგრამ ვინაიდან ისეთ კვაზი-რელიგიაზე ვმსჯელობთ, როგორიცაა „ნაცმოძრაობა“, ყველაზე საინტერესო ალბათ, აქ ის პარალელია, ის წარმოსახვითი საქართველოა, რომელშიც სააკაშვილის მიმდევრები ცხოვრობენ! როგორც ჩანს, იმ საქართველოში მიწაზე ხოხვა ჰალსტუხით კბილებში სიამაყის და ღირსების უტყუარი ნიშანია, ხოლო პატიმრების გაუპატიურება, სავარაუდოდ, განსაკუთრებულობის უმაღლესი გამოვლინება!.. ეს „ნაცმოძრაობის“ სხვა სამყაროა, სხვა განზომილება და სააკაშვილის მოწმეთა „სხვა საქართველო“, რომლის შესწავლისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ მის ბინადრებს განსხვავებული ლოგიკა, მოტივები თუ ეთიკის კოდექსი აქვთ!!!..

სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, მოდით, იმ განსხვავებულ საქართველოში, სხვა საქართველოში და განსაკუთრებულობის უმაღლეს გამოვლინებებში ვიმოგზაუროთ, 2003 წლიდან, ვიდრე დღემდე...

„მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდული ფრთა — ჟვანია-სააკაშვილი-ბურჯანაძე, მამა-მარჩენალს განუდგნენ და ის, რაც მან ვერ დაასრულა, იმის დასრულებას შეუდგნენ (საქართველოს კიდევ ჰქონდა დარჩენილი გასასხვისებელი მიწები, გასაღატაკებელი ხალხი, ქვეყნიდან გასაქცევად გამზადებული ადამიანები და ა.შ.)... მოკლედ, 2003 წლის ე.წ. „ვარდების რევოლუცია“ მოვიდა ისე, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა ვერც კი გააცნობიერა, ვინ მოჰყავდა ხელისუფლებაში... ეს ის პერიოდია, როცა მე და ჩემი კოლეგა ჟურნალისტები მდინარის გაღმა-გამოღმა ნაპირზე ვიდექით და ყველა ჩვენ-ჩვენ საქმეს ვაკეთებდით... გაღმა ნაპირს სჯეროდა, რომ საქართველოში იმ ძალის შემოსვლას უწყობდა ხელს, რომელიც საქართველოს გააერთიანებდა, დაუბრუნებდა აფხაზეთს და სამაჩაბლოს, ააშენებდა და ხვავით აავსებდა ქვეყანას, სულ მალე საქართველოს ნატო-ში შეიყვანდა და ბედნიერი ქართველი ერი ერთხელ და სამუდამოდ გადაიგდებდა იმ უღელს, რომელიც ასე მძიმე ტვირთად ექცა. გამოღმა ნაპირზე მდგომთ კი გვეგონა, რომ მოდიოდა ზუსტად ის ძალა, რომელიც საქართველოში არათუ ააშენებდა, არამედ დაანგრევდა ყველაფერს, მათ შორის, ადამიანების ფსიქიკას, გააღატაკებდა მოსახლეობას, ციხეებს აავსებდა პატიმრებით და, რაც ყველაზე მთავარია, საქართველოში დანერგავდა იმ ადამიანების მიმართ სიძულვილს, ვინც მათ შეეწინააღმდეგობოდა, ანუ ლენინის ცნობილი ფრაზით იმოქმედებდა: „ვინც ჩვენთან არ არის, იგი ჩვენი მტერია“... სხვათა შორის, გამოღმა ნაპირზე მდგომებმა ისიც კი ვიეჭვეთ, რომ თავიანთი მასწავლებლის მოსწავლეები არც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მეხოტბეები იქნებოდნენ და ერთ უბედურ დღეს საქართველოში სისხლის კალოს კვლავაც გალეწავდნენ... 2003 წლის ე.წ. რევოლუცია, ეს იყო წმინდა წყლის სახელმწიფო გადატრიალება, მაგრამ ამ გადატრიალების ავტორებისა და ორგანიზატორების წყალობით, იგი მაინც მოინათლა როგორც „ვარდების რევოლუცია“, რომელმაც, როგორც კი ვარდი დაჭკნა, ეკლები მაშინვე გამოაჩინა... რასაკვირველია არ ვუთანაგრძნობდი „ვარდების რევოლუციას“ თუნდაც იმიტომ, რომ მისი ლიდერები, ყოფილი კომკავშირელ-ნაკომუნისტარ არსებებს წარმოადგენდნენ. არც ის მხიბლავდა, რომ მათი წინაპრები პირდაპირი მნიშვნელობით კაგებეს დამსმენები იყვნენ და არც ის, რასაც თითოეული მათგანი თავის საჯარო გამოსვლებში ასე უტიფრად აცხადებდა. ყველაზე ამაზრზენი კი ის იყო, რომ წლების განმავლობაში თავიანთ მარჩენალ კაგებეს აგენტებს სხვებს ეძახდნენ და ავიწყდებოდათ გენიალური ნათქვამი, — ჭირმა თავი მალა, მაგრამ ვერ დამალაო... დიახ, ჭირი შემოვიდა საქართველოში 2003 წელს და დღეს საქართველოში ვითარება წკიპზე რომ ჰკიდია, ზუსტად ამ ყველაფრის ბრალია. შეხედეთ, რა ხდება მედიასივრცეში, სოციალურ ქსელებში და შემდეგ შეხედეთ ადამიანებს, რომლებიც ამ ყველაფერს უყურებენ. საქართველოში გულიანად თითო-ოროლა კაცი თუ იცინის, მხოლოდ ერთეულები თუ არიან ბედნიერები და რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ უმრავლესობას 9-წლიანმა ტირანიამ, 25-წლიანმა უკუნმა მათი ცხოვრების აზრი ეჭვქვეშ დააყენა?!.. როგორ მოვიდა „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში, რატომ დაავიწყდა საქართველოს?.. განა პირველივე დღეს არ იყო, რომ აეროპორტის გზაზე კახეთიდან მომავალ ოჯახს ბეტეერით გადაუარეს... დაგავიწყდათ?!.. ან ის ხომ არ დაგავიწყდათ, ამის შემდეგ რა პროცესები განვითარდა ქვეყანაში, ვინც არ მოსწონდათ, ისიც ხომ გახსოვთ, ბავშვების ფეხსაცმელებში ხელყუმბარებს რომ ულაგებდნენ?.. სახლებში რომ უვარდებოდნენ ადამიანებს და იქედან ტიტველ-შიშვლები გამოჰყავდათ? მანიაკების ხელი-



შეიარაღებული შევარდნა აჭარაში

სუფლებაში მოსვლა ერთ-ერთმა პირველმა დავაანონსე, მაგრამ ვინ მოგისმინა?!.. რაღა შორს წავიდე, მე მათთვის მტრის ბანაკში ვიყავი და ყველა საშუალება ამართლებდა მათ მიზანს.

არასოდეს დამავიწყდება 2004 წლის 26 აპრილი, ფოთის ხიდთან თბილისიდან მომავალ სამხედრო ეშელონებს ვიღებდი აჭარის ტელევიზიისათვის. აი, იქ, იმ ხიდზე „ნაცმოძრაობის" ხელისუფლებაში მომყვანმა ტელევიზიის თანამშრომელმა „ჩამიშვა" და რამდენიმე წუთში ასევე „ნაცმოძრაობის" ტელევიზიის თანამშრომელის „დონჩიკა" (გურამ დონაძე) გახარებული სახე იხილა მაყურებელმა შემდეგი ტექსტით: „ფოთის ხიდზე სპეცსამსახურმა დააკავა ჟურნალისტი, რომელიც ჯაშუშობდა"... ამის შემდეგ უფრო გახარებული ორი რესპონდენტი გამოჩნდა, ერთ-ერთი გივია თარგამაძე, რომელმაც უფრო მეტი სიხარულით აუწყა საქართველოს ჯაშუში ქალბატონის დაპატიმრება „ნაცმოძრაობის" მიერ და სულ ბოლოს, გამობრძანდა მიხეილ სააკაშვილი და ასეთი სიტყვებით შემამკო, — „ჩვენ დავაპატიმრებთ ყველას, ვინც ჩვენი ჯარის გადაადგილებას აჭარისაკენ ხელს შეუშლისო..." რომ არა „რუსთავი-2"—ის მაშინდელი სამეგრელოს ზონის კორესპონდენტი ემა გოგოხია, რომელიც კორესპონდენტობასთან ერთად ჩამშვების როლს საუკეთესოდ ასრულებდა, ჯერ ფოთში და შემდეგ აქ, მოდულის შენობაში, 4 დღე არ გავატარებდი. ამით იმის თქმა მინდა, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას იმთავითვე ფეხებზე ეკიდა ჟურნალისტს მოვალეობის შესრულების დროს დააკავებდა, თუ სახლიდან გაიყვანდნენ... მაგრამ აქ შეცდა „ნაცმოძრაობა" რამდენიმე უფლებადამცველმა შეახსენა, ამის უფლება არ გქონდაოთ, საერთაშორისო ორგანიზაცია „ჰიუმან რაის ვოჩ"-მა დაუქნია თითი... არადა, როცა გამომძიებელს ვკითხე ვისი ჯაშუში ვარმეთქი, მიპასუხა, — ვისი და აჭარისო... — როგორ, აჭარა საქართველო უკვე აღარ არის?!.. — შევეკითხე კვლავ. — კი, როგორ არა, მაგრამ ეგ რა შუაშიაო?!.. ანუ სააკაშვილის „ნაცმოძრაობა" აჭარას იმთავითვე სხვა ქვეყნად მოიაზრებდა და აკი ამიტომაც გაავსეს უცხო ტომელებით ასე მსუყედ ანდრია პირველწოდებულის ნაბიჯდადგმული ეს მადლიანი კუთხე...

2003 წლის 23 ნოემბრიდან 2004 წლის 6 მაისამდე რამდენიმე თვეღა იყო დარჩენილი. ჩართავდი ტელევიზორს და „რადადა, რადადა..." ასე იწყებოდა... ის დაიჭირეს, ეს დაიჭირეს... იმას ეს ჩამოერთვა, ამას ეს ჩამოერთვა... ის მოკვდა, ეს მოკვდა... ის გააუპატიურეს, ეს გააუპატიურეს... წყალდიდობა, ხანძარი და ვინ მოსთვლის კიდევ?.. საინფორმაციო გამოშვება „კურიერის" პირველივე ნიუსი ისეთი ნეგატივით იწყებოდა, მოსახლეობა პირველივე წუთიდანვე პანიკაში ვარდებოდა და დღეს ასეთი დანევროზებული და ასეთი ფსიქიკაშერყეული რომ არის ერი, როგორ გგონით თქვენ, ეს რისი ბრალია?!.. „რუსთავი-2" მართლაც მაღალპროფესიული ტელევიზიაა, დიახ, ამას ხმამაღლა ვამბობ და ამის თქმის არ მრცხვენია... არ მრცხვენია იმიტომ, რომ პროფესიონალიზმს პატივს ვცემ, მაგრამ პროფესიონალიზმი ტყუილით, რბილად რომ ვთქვა, არა თუ სასაცილოა, არამედ, სატირალი და ტყუილი იყო ის, რომ რაც ქვეყანაში რეალურად ხდებოდა, „რუსთავი-2"-ის ეკრანზე ეს ყველაფერი არ ჩანდა და ჩანდა ილუზიებით შეფუთული საქართველო, რომელსაც მართლა სხვა განზომილებაში გადაჰყავდა საზოგადოება. ჩემი მეგობრები მირეკავდნენ უცხოეთიდან, — რა ლამაზი გამხდარა თბილისი, მალე უნდა ჩამოვიდეთ მანდ... არადა, არავის უთქვამს, — კი მაგრამ, ღამის და განათებული თბილისის კადრებს რომ აჩვენებენ, დღისით თბილისი კვლავ ასეთი ლამაზიაო?!.. ანეკდოტიც კი დადიოდა: ქართველმა კაცმა ღმერთს სთხოვა, ისე ნუ მომკლავ, საქართველო ისეთი გაბრწყინებული არ ვნახო, როგორსაც „რუსთავი-2"-ზე გვიჩვენებენო...

„ნაცმოძრაობასთან" მიმართებაში ალბათ არა უბრალოდ პოლიტიკაზე, არამედ ძნელადგასაშიფრი კვაზირელიგიური „რუსთავი-2"-ით უნდა ვიმსჯელოთ. „რუსთავი-2"-არასდროს აჩვენებდა იმას, რაც ხდებოდა ციხეებში, რაც ხდებოდა ქალაქსა თუ სოფელში რეალურად და ორიენტირებული იყო მხოლოდ იმაზე, რომ სააკაშვილი და სააკაშვილის ხელისუფლება გაეფეტიშებინა და მესიად წარმოეჩინა! არადა, საზოგადოებას ჰქონდა უფლება, თუნდაც კონსტიტუციის 24-ე მუხლით (ინფორმაციის თავისუფალი მიღება და სხვა", სცოდნოდა „ნაცმოძრაობის" გისოსებს მიღმა როგორ იტანჯებოდნენ მათი თანამემამულეები. ასევე უფლება ჰქონდა სცოდნოდა რა ხდებოდა 2004 წლის ივლისის ბოლოს ცხინვალში კეზერაშვილის მიერ ჯარის შეყვანისას და 2008 წლის 8 აგვისტოს ომის დროსაც, როცა „ნაცმოძრაობის" ხელისუფლება და „რუსთავი-2" ერთხმად გაჰყვიროდნენ, ომი მოვიგეთო! რეალურად კი, ორი-სამი საათის შემდეგ ომი წაგებული ჰქონდათ, ისევე როგორც წაგებული ჰქონდა მთელ საქართველოს!..

ქართველ საზოგადოებას, იგივე „რუსთავი-2"—ის მიერ ობიექტური ინფორმაცია უნდა მიეღო იმის შესახებაც, რომ ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიები გავსებული იყო ქართველი ჯარისკაცების ცხედრებით და რომ „ნაცმოძრაობას" სათითაოდ უნდა აეკრიფა ისინი, ჩამოეტანა აქ და პატივით უნდა დაეკრძალათ. ქართველ საზოგადოებას იმავე კონსტიტუციის 24-ე მუხლით უფლება ჰქონდა ეხილა ის გაუბედურებული მოქალაქეები, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლებამ გამოხიზნა და ისე შეატოვა მტერს, როგორც საზარბაზნე ხორცი. რაღა შორს წავიდე, განა, ჩემს თვალწინ არ მოხდა 2008 წლის ომი, ისევე როგორც 2004 წლის 6 მაისი?!.. „ასლანი გაიქცა, აჭარა თავისუფალია!!!" — აი, ლოზუნგი, რომლსაც „რუსთავი-2" და „ნაცმოძრაობა" უნისონში იმეორებდა... არადა, რაც „რუსთავი-2"-ის ხელმძღვანელობამ თავის ჟურნალისტებიანად აჭარაში ჩაიდინა, სამარცხვინოზე სამარცხვინო ამბავი იყო. ნათქვამია, — მიცვალებულზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერსო, მაგრამ როგორ არ ვთქვა... ენაგადმოგდებული დარბოდა ჯაყოსავით გაბურძგნული ეროსი კიწმარიშვილი და გაიძახოდა: „აჭარის ტელევიზიის გოიმებს ეს აპარატურა რად უნდათ, ასეთი ჩვენ არა გვაქვს, დავაი, დატვირთეთ და თბილისში წამოიღეთო!.." კიდეც დატვირთეს და კიდეც წამოიღეს... და პირდაპირ „რუსთავი-2"-შიც მიიტანეს, მაგრამ გამარჯვებული ხალხის ტელევიზიას ვინმე ზედმეტს როგორ შეჰკადრებდა?!.. ამ დროს, ალმოკიდებული ჩემი სახლისთვის უნდა მიმეხედა წესით, მაგრამ ვიცოდი რა ამათი მადა, ქუჩა-ქუჩა დავდევდი და სადაც არ მელოდნენ, იქ გავჩნდებოდი ხოლმე... აჭარის ტელევიზიასთანაც ვიყავი, უზენაესი საბჭოს შენობასთანაც, სადაც გაძარცვული მოქალაქეების რიგი იდგა. დაწიოკებული ათობით ოჯახის გაცილებაც მოვასწარი და ისიც მოვასწარი, რომ ეროსი კიწმარიშვილისათვის სახეში მიმეფურთხებინა.

პროფესიონალებიო... გააჩნია პროფესიონალიზმში ვინ რას გულისხმობს და შენი პროფესიონალიზმით როგორ ემსახურები შენ სამშობლოს!.. დღევანდელი გადასახედიდან, მათი პროფესიონალიზმი ეჭვქვეშ დგება, რადგან საქართველოს მოსახლეობას არ უნახავს ის სიმართლე, რასაც რეალურად სჩადიოდა „ნაცმოძრაობა" და ვის სიმართლესაც „რუსთავი-2" აჟღერებდა... გამოდის, რომ „რუსთავი-2" ერთი პარტიის ერთი ტელევიზია გახდა, რაც რასაკვირველია არათუ დასაგმობი, პირიქით, სასწრაფოდ გამოსაძიებელი ამბავია, ანუ სიმართლის დაფარვაში ამოდენა ხელფასები, ამოდენა პრემიები, ამოდენა მივლინებები და ა.შ. რისთვის იხარჯებოდა, რა ინტერესებს ემსახურებოდა და ბოლოს, ვის სასარგებლოდ?!..

დღე არ გავა „რუსთავი-2"-იდან მოწოდება არ გაისმას, — კოლეგებო, შემოგვიერთდით და ერთად დავიცვათ თავისუფალი სიტყვა!.. კი, ბატონო, მოვალ, მაგრამ მე რომ მოვიდე, არ შეგრცხვებათ?!.. რასაკვირველია, თქვენთანაც მუშაობენ ერთი-ორი ჩემი ნაცნობი და მოდით, ძალიანაც ნუ იყელყელავებთ, რადგან ეგ თქვენი ნიკა გვარმია სულ პირველად ტელეეკრანზე სწორედ ჩემს მიერ გადაღებული სიუჟეტით გამოჩნდა, რომელიც სოხუმში გადავიღე და იქ, ნიკა სულ პატარა, მე-9 კლასის მოსწავლე იყო... უფრო მეტსაც გეტყვით, ნიკა გვარამიას მამა, ანზორ გვარამია, რომელიც აფხაზეთში გამომავალი გაზეთის „სოვეტსკაია აფხაზია" მთავარი რედაქტორი იყო (იმედია, მიმიხვდით, რასაც ვგულისხმობ), მიტინგებსა თუ მანიფესტაციებზე ერთად მინახავს და გადამიღია კიდეც. ოღონდაც ერთი კი უნდა ვთქვა, ნიკამ ვალი ცუდად დამიბრუნა, ვგულისხმობ იმას, რომ ამ ორიოდე თვის წინ, თბილისში ფინანსურ პოლიციასთან სააკაშვილის ყოფილი ჩინოვნიკის კახნიაურის მიერ დაზარალებული „ამხანაგობა-2008" მოქალაქეები მანიფესტაციას მართავდნენ, ნიკას დავურეკე ჟურნალისტი გამოემგზავნა. კი უარი ვერ მითხრა, გამომიგზავნა, გადაიღო სიუჟეტი „რუსთავი-2"-მა, მაგრამ ვერცერთ საინფორმაციოში ვერ მოხვდა...

მეგობრებო და კოლეგებო „რუსთავი-2"-დან, ეგ არის თქვენი სიტყვის თავისუფლება?!.. და მე ასეთი „თავისუფალი სიტყვის" დასაცავად მეძახით?!.. ვერ მოვალ, ვერა!.. ვერ და არ მოვალ კიდევ იმიტომ, რომ თქვენმა მესიამ ბრძანა, — მანდ ერთი ქალი უნდა მოიკლას და მერე მთელ საქართველოს ავაბუნტებთო... კიდევ იმიტომ არ მოვალ, რომ მიყვარს, მეცოდება და მტკივა ჩემი ქვეყანა, რომელსაც თქვენ დაწყებული ტერიტორიებით, დამთავრებული ციხეში გაუპატიურებით, ძალიან დიდი ტკივილი მიაყენეთ! საქართველოში ადგილი აღარ დატოვეთ, სადაც ახალგაზრდები არ არიან დაკრძალული, სოფლები დაცალეთ, 142 სოფელი ქვის გროვად მოიხსენიეთ და დასცინეთ და ციხეში გაუშვით ის ხალხი, ვინც ამ ტერიტორიებს კბილებით იცავდა და სიცოცხლესაც ულაპარაკოდ შესწირავდა! ეს ყველაფერი თქვენი ტელევიზიით მე რატომ ვერ ვნახე?!.. რატომ არ იყო თქვენს ტელევიზიაში პროპაგანდა იმისა, რომ პატრიოტობა სამშობლოსათვის თვითშეწირვასაც ნიშნავს... რატომ არ აჩვენეთ მაგალითი თქვენ, დღევანდელო ე.წ. მაგარო ჟურნალისტებო, თუნდაც ერთი მაგალითი მომავალ თაობას იმისა, რომ პროტესტის გრძნობა გაგაჩნიათ?!.. რომ აღარ შეგიძლიათ ემსახუროთ იმას, ვინც ჩვენი ქვეყანა ასეთ დღეში ჩააგდო?!.. სააკაშვილის ვირტუალურ ქვეყანაში გერჩივნათ ცხოვრება, რადგან ასე უფრო კომფორტული და ასე უფრო მომგებიანი იყო?!.. მე არ მაქვს იმის ილუზია, რომ რომელიმე თქვენთაგანი თქვენს ბელადს, გურუს და მესიას ოდესმე ზიზღით დაშორდებით, მაგრამ ბევრ თქვენ მხარდამჭერს უკვე თვალები რომ აეხილა და ირწმუნა საქართველოში სადისტური, არსებითად ფაშისტური რეჟიმის არსებობა, ამას რა ვუყოთ? ვინც წავიდა და გაასწრო, აი, იმ „ნაციონალს" თუ კოლეგას ხელსაც ჩამოვართმევ და თანავუგრძნობ კიდეც. ხოლო თქვენ, ვისაც გჯერათ, რომ საქართველოს კიდევ არევთ მაგ თქვენი ბოროტების მანქანით, მოგიწოდებთ დამშვიდდეთ და ისე დაელოდოთ სასამართლო განაჩენს, რადგან თქვენ საქართველოს ვერ არევთ!!! და, თუ გინდათ, რომ საქართველომ აგირიოთ, მაშინ ჩვენვე მოვთხოვთ ხელისუფლებას უკლებლივ გაასაჯაროვოს ყველა ფირი, რომელიც სააკაშვილის მმართველობის წლებში სხვადასხვა სამალავებშია ნაპოვნი და თქვენ მერე ნახეთ არაადამიანური წამება როგორია! თქვენ შემდეგ ნახეთ, როგორ გაიმარჯვებს ხალხი თქვენზე და რა მწარე პასუხს მოგთხოვთ ჩადენილი ავკაცობების გამო.


2008 წლის აგვისტოს ომი



**ირინე გოგოსაშვილი**
555 25 43 35

# შოთა აფხაიძე: მიხეილ სააკაშვილი საქართველოში ომის გაჩაღებას ისლამისტი ტერორისტების დახმარებით აპირებს



**გვესაუბრება ევრაზიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ექსპერტი კავკასიის საკითხებში შოთა აფხაიძე.**

**— შოთა, რამდენიმე დღის წინ გავრცელდა დავით კეზერაშვილისა და მიხეილ სააკაშვილის საუბრის სტენოგრაფიული ჩანაწერი. ჩანაწერში საუბარია ტერაქტების გზით გადატრიალების მცდელობაზე საქართველოში, რომელშიც მუსულმანური ტერორისტული გაერთიანებების ხელმძღვანელების ამ საქმეში დახმარებაზე მნიშვნელოვანი ყურადღებაა გამახვილებული. რამდენად სანდო შეიძლება იყოს ეს ჩანაწერი და მოსალოდნელია თუ არა მსგავსი რამ?**

— ეს ინფორმაცია უტყუარია და რა მაძლევს ამის თქმის საშუალებას, ახლავე მოგახსენებთ. მიხეილ სააკაშვილი ოდესაში სპეციალურად იქნა დანიშნული ოდესის პორტის კონტროლის განსახორციელებლად. მოგეხსენებათ, ოდესიდან ხდება ნარკოტიკების ტრანზიტი ევროპისკენ. აქედან მიედინება დიდი რაოდენობის იარაღიც. იარაღი, დიდი რაოდენობით, შემოდიოდა აშშ-დან და მარაგდებოდა ულტრანაციონალური დაჯგუფება ე. წ. უკრაინული გვარდია და სხვა ქვედანაყოფები, როგორიც იყო „ჰაიდარი“, „აზოვი“ და ა.შ. საყოველთაოდ ცნობილია, როგორ სისასტიკეს ჩადიოდნენ ეს ორგანიზაციები. მარაგდებოდა აგრეთვე, ქართული ქვედანაყოფი **მამუკა მამულაშვილის** ხელმძღვანელობით.

**— ვინ არის მამუკა მამულაშვილი?**

— ის საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა. მამუკა მამულაშვილი სააკაშვილის პროტექციით უკრაინაში გადავიდა და დაახლოებით 300-მდე ყოფილი ძალოვანი სტრუქტურის, თავდაცვის სამინისტროს სპეცდანაყოფების მებრძოლები გაიყოლია — მოქმედი ოფიცრები და ვეტერანები, გაუწია მათ ორგანიზება და დღეს ისინი უკრაინის სხვადასხვა ქვედანაყოფებში იბრძვიან.

მას შემდეგ, რაც, სექტემბრის თვეში, მამულაშვილი იმყოფებოდა აშშ-ში, ვაშინგტონში შეხვდა სენატის წარმომადგენლებს და სხვადასხვა პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებს, მიიღო ფინანსური დახმარება და ქართველი მებრძოლების ლეგალიზაციის გარანტიები, მოითხოვა მათი შეიარაღება, ქართული ლეგიონის მებრძოლებისთვის სტატუსის მინიჭება, რომ ისინი გამხდარიყვნენ უკრაინის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები. ინტეგრაციის პროცესი განხორციელდა და დღეს ოდესაში უკვე არის ქართული სპეცდანიშნულების რაზმები. ეს დაქირავებული თანამშრომლები 1000-დან 3000 დოლარამდე ხელფასებს იღებენ. უფრო მაღალი რანგის თანამშრომლები, ცხადია, მეტს იღებენ, მაგალითად, **მამულაშვილი** თვეში მილიონ, მილიონნახევარ დოლარს იღებს ხელფასის სახით. ეს თანხები, კონკრეტულად, მაკკეინისგან მისდით, ასევე ფინანსდებიან დავით კეზერაშვილის მიწოდებული თანხებითაც. ამ უკანასკნელს აქვს ე. წ. შავი ფული, რომლითაც იარაღის ბიზნესი კეთდება. უკრაინაში დღეს ძალიან კარგი ნიადაგია იმისთვის, რომ შავი ფული აკეთონ. ყველაფერ ამას სათავეში უდგას **სააკაშვილი კეზერაშვილთან** ერთად. თან ფულს აკეთებენ, თან ცხელი წერტილების პროვოცირებას ახდენენ.

ოდესის პორტში კომპანია „ავანგარდი“ შექმნა **მიხეილ სააკაშვილმა**, რომელიც გადაზიდვებს აწარმოებს და რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ოდესის პორტში კომპანია „ავანგარდის“ ტვირთები არ კონტროლდება. ყოველივე ეს შეთანხმებულია უკრაინის ხელისუფლებასთან. ამ პორტიდან იარაღი, ძირითადად, გაედინება სირიაში, საიდანაც შემდეგ იარაღდება აგრესიული დაჯგუფებები.

აშშ-ი აცხადებს, რომ სირიაში ალ შამი და ალ ნუსრა ასადის წინააღმდეგ მებრძოლები არიან. სინამდვილეში მათ არაფერი აქვთ საერთო ისლამურ სახელმწიფოსთან ალ შამს, ალ ნუსრას., სირიის თავისუფალ არმიას. ისინი არიან ჩვეულებრივი ტერორისტები, რომლებიც ხოცავენ ადამიანებს, სირიის კანონიერი ხელისუფლების მომხრეებს, ჯარს, სამართალდამცავებს. აწიოკებენ მათ ოჯახებს. მათი შეიარაღება ხდება ოდესის პორტიდან. ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ლოგიკური ჯაჭვი გავაბათ და დავრწმუნდებით, რომ ეს სტენოგრაფიული ჩანაწერი ნამდვილია.

როგორც ვნახეთ, ჩანაწერში საუბარია თურქეთის სპეცსამსახურის და აშშ-ის დაზვერვის თანამშრომელზე, ვინმე **სტივზე**. ეს ადამიანი არაერთხელ არის მოხსენიებული იმ პირების მიერ, რომლებიც ტყვედ ჩაიგდო სირიის არმიამ. ისინი დაკითხვების დროს ამბობდნენ, რომ ვინმე სტივი დახვდათ და მიაცილათ ლატაკიის საზღვრამდე და ასევე თურქეთის მომიჯნავე ტერიტორიებზე. ამაში მას თურქეთის დაზვერვაც ეხმარებოდა. ერთი კვირის წინ გამოვაქვეყნე ამაზე ვრცელი ანალიტიკური წერილი.

ეს სტივი გახლავთ კოორდინატორი სატრანზიტო მიმოსვლების და ბოევიკების გადაადგილების.

ამ ჩანაწერის უტყუარობაში კიდევ ერთხელ რომ დავრწმუნდეთ, სააკაშვილის გეგმაზე უნდა ვისაუბროთ. ის საქართველოში არის სრული პოლიტიკური ბანკროტი. მას აღარ შეუძლია მოახდინოს გავლენები პოლიტიკურ მოვლენებზე და სამოქალაქო გზით დაბრუნდეს ხელისუფლებაში. სამაგიეროდ მას ჰყავს ყოფილი თუ მოქმედი ოფიცრების საკმაოდ დიდი რაოდენობა.

ეს ადამიანები დღემდე კოორდინაციაში არიან ტერორისტებთან და ნებისმიერ დროს შეუძლიათ მოახდინონ დესტაბილიზაცია. მე შენიძლია სათანადო ორგანოებს ამ ადამიანების საკამოდ გრძელი სია მივაწოდო. მათი მომზადებული ხალხი დღეს სირიაში იბრძვის. ლოგიკურია, რომ სააკაშვილი, მისი სპეცსამსახურები და ის ბოევიკები, რომლებიც დღეს სირიაში იმყოფებიან, გახლავან ერთი სხეული და რადგან სააკაშვილი არის პოლიტიკური ბანკროტი, მასთან ერთად „თავისუფალი ზონა“ ექსტრემისტული და ტერორისტული ორგანიზაცია, წევრების: **ონისე გერგედავას, ლაშა რუხაიას, ავთანდილ კეშელარიას** მეშვეობით (ესენი ყოფილი სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომლები არიან) ქვეყნის უსაფრთხოებას სერიოზულ პრობლემებს უქმნიან. არსებობს საშიშროება, რომ თურქეთის გავლით, თურქეთის სპეცსამსახურების დახმარებით ტერორისტები შემოვიდნენ საქართველოში.

**— შემოსვლის მიზანზე საუბარი არ იქნება?**

— შემოიყვანენ იმ მიზნით, თითქოს უნდა მოხდეს ამათი კონსერვაცია. ტერორისტებს დააბინავებენ აჭარაში და პანკისში.

აჭარაში მათ მხარდამჭერი ჰყავთ **ტარიელ ნაკაიძის** სახით, რომელიც ვითომ არის მუსლიმთა ასოციაციის თავმჯდომარე, სინამდვილეში კი ის გახლავთ სააკაშვილის მიერ მართული და მისგან ფინანსდება.

გადატრიალება, რომელზეც საუბარია სტენოგრაფიულ ჩანაწერში, მოხდება კოორდინაციულად, მუსლიმების მეშვეობით, აჭარაში პანკისელი ბოევიკების დახმარებით **თარხან ბათირაშვილის, რამზან მაჩალიკაშვილის, აბუ ალ შიშანის, შეიხ ალ შიშანის** და სხვათა მიერ ამ პირების მობილიზება მოხდება საქართველოში.

**— ჩანაწერში მაჩალიკაშვილი ამბობს — გავანადგურებთ საქართველოსო. რა ჯავრი სჭირთ ასეთი?**

— პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ ეს ადამიანები არავითარ იდეოლოგიას არ ემსახურებიან, ერთადერთი, რაც მათ აინტერესებთ, ეს არის ფინანსური მოგება.

ლოპოტის სპეცოპერაცია მილიონნახევარი დოლარით იქნა დაფინანსებული. ეს თანხა გადაეცა **ახმედ უმაროვს** და შემდეგ მოხდა ამ საქმის ორგანიზება.

მოკლედ აგიხსნით სქემას. ტერორისტები რომ შემოვლენ, დაუკავშირდებიან თავიანთ ხალხს, მოხდება კოორდინირება და შეიარაღებული გზით გამოიწვევენ დესტაბილიზაციას. დაიწყება სამოქალაქო ომი.

როგორც გითხარით და გარემოებებიც ცხადყოფს, სხვა გზა ნაციონალებს უკვე აღარ დარჩათ.

პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ძალიან კარგი კანდიდატია **სააკაშვილი**, რომ მან გახსნას ახალი ფრონტი კავკასიიდან — რადიკალი ისლამისტების საქართველოში გადმობარგებით დაიწყოს ახალი წინააღმდეგობა.

ფინანსები უკვე გამოყოფილია ამისთვის. 9 მლრდ-მდე აქვთ მოპოვებული კეზერაშვილს და სააკაშვილს იარაღის ბიზნესით, ხალხის ძარცვით, ნარკოტრანზიტით. მთელი ის ლეგიონი, რომელიც დღეს უკრაინაში იბრძვის, მათი გადმოსროლაც მოხდება. ადგილზე, აქ, საქართველოში, ახლაც მომუშავე სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომლებიც ამათ დაუჭერენ მხარს, უმუშევრად დარჩენილი ზონდერებიც ამათ შეუერთდებიან. დამერწმუნეთ, ეს ძალიან დიდი ძალაა. 3-4000 შეიარაღებული, მკვლელობაზე მოტივირებული მებრძოლი მანიაკალური აზროვნებით პატარა ძალა არაა.

მინდა გითხრათ, რომ **ომარ ალ შიშანის** დაჯგუფება, კავკასიის ჯამაათისა და კავკასიის ემირატებიდან წასული მებრძოლები იმდენად ძლიერები არიან, რომ 10 მებრძოლს თავისუფლად შეუძლია მწყობრიდან გამოიყვანოს ერთი ქვეითი ბრიგადა.

სასწრაფოდ უნდა მოხდეს სპეცსამსახურების გაწმენდა ძველი, არასაიმედო კადრებისგან.

თუ საქართველოს ხელისუფლებამ ძირიანად არ ამოძირკვა ნაცმოძრაობის ნაშთები საქართველოში, არ შეაჩერა „რუსთავი-2“, „თავისუფალი ზონა“, ეს სეგმენტი ძალიან ცუდ შედეგებს მოუტანს ჩვენს ქვეყანას.






**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

**გთავაზობთ ინტერვიუს ოზურგეთის გამგებელთან, მერაბ ჭანუყვაძესთან.**




მერაბ ჭანუყვაძე დაიბადა 1982 წლის 17 ნოემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედში.

1999 წელს დაამთავრა ამავე სოფლის საჯარო სკოლა.

2000-2004 წლებში სწავლობდა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის პედაგოგიურ ფაკულტეტზე.

2007-2011 წლებში მუშაობდა „GT MOTORS"-ის სერვისის ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

2013-2014 წლებში იყო გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის (გუბერნატორის) პირველი მოადგილე.

ფლობს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებს.

2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებში „ქართული ოცნების" პარტიული სიით კენჭი იყარა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის პოსტზე და ამომრჩეველთა ხმების 70%-ით დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.

გამგებლის უფლებამოსილების განხორციელებას 2014 წლის 2 აგვისტოდან შეუდგა. ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს გამგეობის სტრუქტურული დანაყოფების საქმიანობას.

ოზურგეთი მუნიციპალიტეტთა შორის სიდიდით მეორე მუნიციპალიტეტია, რომელსაც 43 კაციანი საკრებულო ჰყავს. მის შემადგენლობაშია 28 თემი და 74 განსახლების ადგილი.

# ერთი ნაბიჯი ზღვიდან მთამდე

**-მოგესალმებით ბატონო მერაბ. როგორც ჩემთვის ცნობილია, თქვენ ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა გამგებელი ხართ. რითი დაიწყო თქვენი მუშაობა აღნიშნულ თანამდებობაზე, რა იყო პირველი, თქვენს მიერ გადადგმული, მნიშვნელოვანი ნაბიჯი?**

-მინდა გითხრათ, რომ ძალიან რთული პერიოდიდან დავიწყეთ, რადგან ქალაქი ოზურგეთისა და ოზურგეთის თემთა გაერთიანების გაყოფის შედეგად მთელი რიგი პრობლემები დაგვხვდა. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ფაქტობრივად არ არსებობდა და შესაბამისად, თავიდან, ნულიდან დავიწყეთ. ძლიან ბევრ ისეთ ინოვაციურ გადაწყვეტილებამდეც მივედით, რომელიც დღეს საამაყოა ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის. ჩემი ინიციატივით გაუქმდა საშვთა ბიურო. მოიხსნა ყველა ხელისშემშლელი ბარიერი ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის უკეთესი კომუნიკაციის დამყარების მიზნით. აღმოიფხვრა ტაბუდადებული ბიუროკირატია და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო გადაიქცა ხალხთან დაახლოებულ, გამჭირვალე ორანიზაციად. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად მიღების დღე პარასკევია, ყოველდღიურად დაახლოებით 20-25 ადამიანს ვხვდები.

**-რა არის მუნიციპალიტეტში მთავარი პრობლემა?**

-მუნიციპალიტეტში მთავარი პრობლემა მოსახლეობის მძიმე სოციალური მდგომარეობაა.მუნიციპალიტეტის ადგილობრივი შემოსულობები სწორედ ამ სფეროზეა ორიენტირებული. გარდა ე.წ. ერთჯერადი ფული დახმარებისა, ჩემი სარეზერვო ფონდი მთლიანად მიმართულია ამ მიმართულებით.

სამედიცინო მომსახურების პროგრამიდან დახმარება გაეწია 1053 მოქალაქეს , მათ შორის სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობა დაუფინანსდა 41-ს, ხოლო მკურნალობისა და მედიკამენტების შეძენისთვის ფინანსური დახმარება გაეწია 1012 მოქალაქეს.

> **მერაბ ჭანუყვაძე: „ურეკი-გომისმთა ერთი ნაბიჯი ზღვიდან მთამდე" უპრეცენდენტო პროექტია, რომელიც ტურისტს საშუალებას მისცემს ერთდროულად დაისვენოს ზღვაზეც და მთაშიც."**



იმ ადამიანებს, რომელთაც სამედიცინო მომსახურების 70%-ს უფინანსებს სახელმწიფო, დანარჩენი 30%-ის გადახდაში მუნიციპალიტეტი იღებს მონაწილეობას. ჩემი სარეზერვო ფონდიდან ამ კუთხით 135 000 ლარი დაიხარჯა.

ძალიან რთული სიტუაციაა უსახლკაროებთან დაკავშირებით. მთელი მუნიციპალიტეტის 60-70 % მეწყერსაშიშ ზონაში ცხოვრობს და ძალიან ბევრ ადამიანს დაუზიანდა საცხოვრებელი სახლი. აქედან ძალიან ბევრ ოჯახს მუნიციპალიტეტი უხდის ქირას. ჩემი გამგებლობის პერიოდში უკვე 200-ზე მეტ ოჯახს დავეხმარეთ სამშენებლო მასალებით.

**-გურიის გუბერნატორმა ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტის შესახებ, რომელიც წლის ბოლოსთვის უნდა დაასრულოთ და როგორც გავიგეთ, საჩუქარს უმზადებთ გაუსაძლის პირობებში მყოფ 90 ოჯახს. გვიამბეთ ამ პროექტის შესახებ.**

-ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დაახლოებით 300-მდე ოჯახი ცხოვრობს უკიდურესად გაუსაძლის პირობებში, რაც განპირობებულია მეწყრის, წყალმოვარდნების თუ სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად. ამ ოჯახებს აქვთ მინიჭებული შესაბამისი კატეორიები, ისინი ფაქტობრივად, უსახლკაროები არიან. ამიტომ გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადენდა მათი პრობლემის გადაწყვეტა და შესაბამისი კონსულტაციების შემდე მივიღე გადაწყვეტილება მოგვეხდინა მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში ე.წ. „სამხედრო ქალაქის" ტერიტორიაზე არსებული ხუთსართულიანი მრავალბინიანი სახლის რეაბილიტაცია. კვალიფიციური ექსპერტების დასკვნის შესაბამისად, შენობა საკმაოდ მდგრადი აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, გამოვაცხადეთ ტენდერი ჯერ დაპროექტებაზე და შემდეგ სამშენებლო სამუშაოების ანსახორციელებლად. პროექტის ღირებულება 738 000 ლარს შეადგენს და ბინის რეაბილიტაცია მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება. ახალი წლისთვის 90 ოჯახი ბინის გასაღებს მიიღებს, რაც ვფიქრობ, მუნუციპალიტეტის მხრიდან მათთვის კარგი საჩუქარი იქნება.

**-გვესაუბრეთ მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებზე.**

-საქართველო სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი ქვეყანაა, მასთან დაკავშირებული გადამამუშავებელი მრეწველობით. მუნიციპალიტეტისთვისაც მთავარი პრიორიტეტი სოფლის მეურნეობა და ეკონომიკაა. მუნიციპალიტეტს სოფლის მეურნეობის კუთხით საკმარისი რესურსი და პოტენციალი გააჩნია. ჩვენ გვაქვს რამდენიმე სერიოზული პროექტი,რომელიც ძალიან მალე შედეგს გამოიღებს. ჩემი ინიციატივით მუნიციპალიტეტის გამგეობაში შეიქმნა ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამსახური, დაფუძნდა „ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრი", რომელსაც ლიხაური-ჭანიეთის საზღვარზე მუნიციპალიტეტმა სარგებლობაში არსებული 4.5ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, უკვე აშენებულია ლაბორატორია, სადაც „კავკასიის გენეტიკა" მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშებს გამოიყვანს. იქვე გვინდა მოვაწყოთ სადემონსტრაციო ნაკვეთი, სადაც ძველი ენდემური ჯიშის ვაზის ჯიშებს და ასევე სხვადასხვა ხილის სანერგეებს მოვაშენებთ.

ჩვენი მუნიციპალიტეტის ძირითადი შემოსავალი ციტრუსი, თხილი და სხვადასხვა კულტურებია, ასევე მოცვი, რომლის სადემონსტრაციო ნაკვეთიც უკვე რამდენიმე წელია არსებობს. ასე რომ, მონდომებასა და სწორ მიმართულებას შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მუნიციპალიტეტის ეკონომიკის განვითარებაზე. ეს იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი მოსახლეობისთვის, იმიტომ რომ რეალურად მათი დასაქმების ძირითადი პროცენტი მოდის საჯარო სამსახურზე და, ალბათ დამეთანხმებით, რომ ეს ძალიან რთულია. მუნიციპალიტეტში განვითარებული და გაძლიერებული უნდა იყოს კერძო სექტორი, ბიზნესი და დამსაქმებელი უნდა იყოს სწორეს კერძო სტრუქტურა და არა საჯარო სამსახური.

ასევე ძალიან კარგია, რომ მოხდა ხილის გადამამუშავებელი ქარხნების გახსნა, რომელიც დაფინანსებულია პროექტების მართვის სააგენტოს მიერ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს დახმარებით და ვფიქრობ, ძალიან მალე დაიწყება გლეხის უშუალო ჩართვა ამ პროცესებში.

**-ბატონო მერაბ, ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელ პირობას ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება წარმოადენს. ამჟამად რა პროექტები მიმდინარეობს მუნიციპალიტეტში?**

-მოგახსენებთ. დაიწყო რამდენიმე გარდამავალი ინფრასტრუქტურული პროექტი:

1)მერია-კონჭკათის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია -924 593ლარი.

2)მერია-თხინვალის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი - 913 587ლარი.

3)ოზურგეთი-მელექედური-დვაბზუს საავტომობილო ზის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი -260 000ლარი.

4)შემოქმედი-ცხემლისხიდი-დვაბზუს შემაერთებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი - 277 400ლარი.

საერთო ჯამში 14 პროექტს განვახორციელებთ რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან. ეს დაახლოებით შეადენს 5 000 000 ლარს.

**-გურიის რეგიონში დიდი ყურადღება ექცევა სკოლამდელ აღზრდას. სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში, ბატონი გია სალუქვაძე საბავშვო ბაღების მშენებლობასა და სრულ რეაბილიტაციაზე საუბრობდა...**

-ჩვენს დაქვემდებარებაშია 34 საბავშვო ბაღი, სადაც ზრუნავენ მომავალი თაობის აღზრდაზე. წელს დავიწყეთ ახალი ბაღების მშენებლობა,სადაც გათვალისწინებული იქნება სურსათის უვნებლობის სააგენტოს მიერ მიცემული რეკომენდაციები, ასევე აბსოლუტურად ყველა ბაღი იქნება ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის. მართალია, ერთდროულად ყველა ბაღი ვერ რეაბილიტირდება, მაგრამ ნელ-ნელა მოვახერხებთ ამას. ზოგან ისეთი მდომარეობაა, შეუძლებელია იქ ბავშვის გაჩერება,ზოგან შედარებით ნაკლები პრობლემაა. ამიტომ დავიწყეთ ისეთი სოფლებიდან, სადაც ყველაზე რთული მდომარეობაა. წელს დავიწყეთ სოფელ ჭანიეთის, ბახვისა და ცხემლისხიდის საბავშვო ბაღების მშენებლობით, რომელთა ღირებულება დაახლოებით 500 000 ლარს შეადგენს.

**-როგორც მოსახლეობა ამბობს, წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მდომარეობა გარემოს დაცვისა და დასუფთავების კუთხით. მოგვარებულია ნაგავსაყრელის, ნაგვის მანქანებისა და ბუნკერების პრობლემა.**

-დიახ, გაყოფის შედეგად ჩვენ არ დაგვრჩა არანაირი ტექნიკა და 2014 წლის აგვისტოდან 2015 წლის იანვრამდე მუნიციპალიტეტი ფულს იხდიდა დასუფთავებისთვის საჭირო ტექნიკის გამოყენებაში. 2015 წელს ფინანსთა სამინისტროს დახმარებით შეძენილი იქნა ორი მანქანა. კიდევ ორი, 60 ბუნკერთან ერთად მუნიციპალიტეტმა თავად შეიძინა. ამის შემდეგ კიდევ 5 ერთეული ტექნიკა 250 ბუნკერთან ერთად მყარი ნარჩენების კომპანიისა და მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გადმოგვეცა. ასე რომ, ეს პრობლემაც სამუდამოდ მოგვარებულია.

ასევე მნიშვნელოვანია ურეკის სანაპიროს დასუფთავების პრობლემა, რომელიც ათეული წლებია დგას. წელს ეს პრობლემა ნაწილობრივ მოგვარდა, რაც სერვის-ცენტრის დამსახურებაა. სამომავლოდ მათი მუშაობა კიდევ უფრო გაუმჯობესდება, რადან შევიძინეთ 3 ერთეული ისეთი ტექნიკა, რომელიც ქვიშაში 25 სმ-ზე ჩადის და სიგარეტის ნამწვავსაც კი იღებს, ცრის და ვარცხნის ქვიშას. ურეკის მთელ 18 კილომეტრიან პლაჟს ეს ტექნიკა საფუძვლიანად დაასუფთავებს.

**-რადგან ურეკი ახსენეთ, ჩვენს მკითხველს მოუყევით პროექტის შესახებ, რომელიც პრემიერ-მინისტრმა ძალიან მოიწონა.**

-სიამოვნებით. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ფლობს უნიკალურ კურორტებს როგორც ზღვისპირეთში, ასევე ალპურ ზონაში. მუნიციპალიტეტის კურორტები საშუალებას იძლევიან ზამთარ-ზაფხულ უმასპინძლონ დამსვენებლებს საქართველოდან თუ საზღვარგარეთიდან, რაც ბიუჯეტის ზრდისა და მოსახლეობის დასაქმების ერთ-ერთი მთავარი საწინდარია.ზღვისპირეთის კურორტებიდან დღეისთვის მოქმედებს ურეკი და შეკვეთილი, სამთო კურორტებიდან კი მოქმედია გომისმთა. არცერთ მუნიციპალიტეტში არ არის ზღვისა და მთის ასეთი სიახლოვე და ამის დაკარვა არ შეიძლება. ჩვენ გადავწყვიტეთ შეგვექმნა პროექტი „ურეკი-გომისმთა ერთი ნაბიჯი ზღვიდან მთამდე", რომელიც პრემიერ-მინისტრმა ძალიან მოიწონა. აღნიშნული პროექტი „მუნიციპალური განვითარების ფონდისა" და „აზიის განვითარების ბანკის" მიერ 850 000 ლარით ფინანსდება. მის ფარლებში უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები „ენერგო-პრო ჯორჯიასთან", რომელიც გომისმთაზე შუქის აყვანის სამუშაოებს შეასრულებს. მალე დაიწყება უპრეცენდენტო სამუშოები ურეკშეკვეთილში, სადაც კანალიზაციის, წყლისა და გაზიფიკაციის პრობლემები უკვე თითქმის მოგვარებულია.

ზემოთაღნიშნული პროექტი 2017 წლის ბოლოსთვის დასრულდება და ტურისტებს შეეძლებათ ზღვაზე და მთაში ერთდროულად დაისვენოს.

**პ.შ.ინტერვიუს ჩაწერის დასრულების შემდეგ ბატონმა მერაბმა სოფელ ლიხაურში ექვთიმე ღვთისკაცის (თაყაიშვილის) ხსენების დღისადმი მიძღვნილ საზეიმო დღესასწაულზე „ექვთიმეობაზე" მიმიწვია. სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიების შემდეგ საღამო დაგვირგვინდა შესანიშნავი საზეიმო კონცერტით, რომელშიც ადგილობრივ ფოლკლორულ და ქორეორაფიულ ანსამბლებთან ერთად „ქართული ხმები" და მაკა ზამბახიძეც მონაწილეობდნენ.**

**გურულებს „ექვთიმეობა" მიულოცა მსახიობმა რეზო ჩხიკვიშვილმა. იგი ექვთიმე თაყაიშვილის როლს ასრულებს მხატვრულ ფილმში, რომელიც მალე გამოჩნდება ეკრანებზე.**

**ღონისძიების დასასრულს გურიის მხარის გუბერნატორმა გია სალუქვაძემ და ოზურგეთის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ საპატიო ლიხაურელები საზეიმოდ დააჯილდოვეს.**

**როგორც სოფლის მოსახლეობამ აღნიშნა, ასეთი მასშტაბური დღესასწაული ჯერ ლიხაურს არ ახსოვს.**

**ელენე გურგენაძე**

557 71 55 68

# გენმოდიფიცირებული გენოციდი



## მიმდინარე კვირას პარლამენტი ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ საკანონმდებლო ინიციატივას განიხილავს, რომელიც საქართველოს გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების გავრცელებისთვის აკრძალულ ზონად გამოცხადებას ეხება

**გენმოდიფიცირების თემაზე ჩვენს წინა ნომრებში ვრცელი მასალა გამოქვეყნდა, სადაც კანონპროექტის ინიციატორმა, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარემ გოგი თოფაძემ განაცხადა, რომ არც ერთმა პასუხისმგებლობის მქონე ხელისუფლებამ თავისი მოსახლეობა გმო პროდუქციისგან მომდინარე საფრთხეების წინაშე დაუცველი არ უნდა დატოვოს. საკანონმდებლო ორგანოში წარსადგენ დოკუმენტზე და გმო ტექნოლოგიებისგან მომდინარე საფრთხეებზე სასაუბროდ 21 ოქტომბერს ფრაქციის ოფისში პოლიტიკოსების, მეცნიერების, სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებისა და მედიის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრა ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარემ გოგი თოფაძემ გახსნა:**

— მოგესალმებით, მივესალმები ჩვენს გამოჩენილ მეცნიერებს, რომლებმაც ძალიან დიდი სამსახური გაგვიწიეს კანონპროექტზე მუშაობისას, სურსათის უვნებლობის სააგენტოს წარმომადგენლებს, პოლიტიკოსებს და მედიის წარმომადგენლებს. საკითხი, რომლის გამოც შევიკრიბეთ, მთელი მსოფლიოსთვის აქტუალურ პრობლემას— სურსათის უვნებლობას ეხება. მოგეხსენებათ, რომ საქართველოში უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე ის სამსახური, რომელსაც სურსათის კონტროლი ევალებოდა, პრაქტიკულად, გაუქმებული იყო. ამან ქვეყანაში სურსათის უვნებლობის კუთხით უმძიმესი მდგომარეობა შექმნა. მავნე დანამატებით გაჯერებული პროდუქციის უკონტროლოდ შემოდინების პირობებში, გაორმაგდა ავთვისებიანი სიმსივნეების, ალერგენული და სხვა მძიმე დაავადებების შემთხვევები. სოფლის მეურნეობის სამინისტროში ორიოდე წლის წინ შექმნილი სურსათის უვნებლობის სააგენტო მდგომარეობის გამოსწორებას ცდილობს, მაგრამ შემოსულ პროდუქციაზე მკაცრი კონტროლის არარსებობის პირობებში, სასურველი შედეგის მიღწევა ძნელია. საკანონმდებლო ინიციატივის აუცილებლობა ქვეყანაში არსებულმა სავალალო მდგომარეობამ შექმნა და ჩვენმა ფრაქციამ დარგობრივი ეკონიმიკის კომიტეტთან ერთად მოამზადა კანონპროექტი, რომელიც კრძალავს საქართველოში ცოცხალი, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების შემოტანას. ჩვენ არ ვამბობთ, რომ სურსათის უვნებლობის მიმართულებით არაფერი კეთდება, მაგრამ მეტის გაკეთებაა საჭირო. ხშირად, შესაბამისი ლაბორატორიების დეფიციტის გამო, სურსათის უვნებლობის სააგენტო იძულებულია, სურსათის ნიმუშები ლიცენზირებულ ლაბორატორიებში გააგზავნოს და პასუხს ელოდოს. ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ სამინისტროს ისეთი ლაბორატორიებით აღჭურვაში, რომლითაც სრულყოფილი ანალიზის ჩატარება იქნება შესაძლებელი. გენმოდიფიცირებული პროდუქტებზე ნაკლები უბედურება არც ტრანსცხიმები გახლავთ. ამას ემატება სხვადასხვა ქიმიური დანამატები, სალებავები, ემულგატორები და შედეგი სახეზეა: მსოფლიოში ძალიან გაიზარდა ალერგიული დაავადებებისგან დაღუპულთა რაოდენობა. ოფიციალური მონაცემებით, შარშან ევროპაში ალერგიისგან 50 000 ადამიანი დაიღუპა, ამიტომ 23 მაისს მსოფლიოს 50 ქვეყნის 400 ქალაქში სურსათში მავნე დანამატების აკრძალვის მოთხოვნით, მრავალმილიონიანი დემონსტრაციები გაიმართა. მოგეხსენებათ, რომ როცა სურსათში ქიმიური დანამატების ოდენობა დასაშვები 0,1 %-ის ნაცვლად, 5% და 6% შეადგენს, ის რეაქციაში შევა ორგანიკასთან და შეიქმნება საშიში ალერგენები. აუცილებელია, რომ ქვეყანაში გემოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების შემოტანისა და ინტროდუქციის აკრძალვაზე ჩამოვყალიბდეთ და კანონი მივიღოთ. ყველას გვახსოვს, რომ გარემოს დაცვის ერთ-ერთი ყოფილი მინისტრის დროს, ქვეყანაში 800 ტონა გენმოდიფიცირებული სათესლე მასალა შემოვიდა. გადაწყვეტილების მიღების არგუმენტი იყო, რომ თესლი საცდელად და ანალიზებისთვის ჭირდებოდათ. პროფესორის ხარისხი არ ჭირდება იმის მიხვედრას, რომ ანალიზისთვის 10 კილო სათესლე მასალაც საკმარისია და არა 800 ტონა. მომავალში მსგავსი ექსცესებისგან დაზღვეული რომ ვიყოთ, ასეთი რამ საკანონმდებლო დონეზე უნდა აიკრძალოს და მსოფლიოს ცივილური ქვეყნების მსგავსად, კონტროლი გამკაცრდეს. ევროპის 28 ქვეყნიდან ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შემოტანა 18 ქვეყანამ სრულად, ხუთმა კი სანახევროდ აკრძალა. მოსალოდნელია, რომ ამ ქვეყნების რიცხვს კიდევ სამი-ოთხი ქვეყანა შეუერთდება. თუ გეზი ევროკავშირისკენ გვაქვს, უნდა ვიცოდეთ, რომ იქ სურსათში გმო დასაშვები ნორმა 0,9 მეათედია. მე კი შემიძლია მოგიყვანოთ მაგალითები, როცა სურსათში გმო-ს შემცველობა 50%-ზე მეტია.



**გოგი თოფაძე პოზიტიურად აფასებს იმ ფაქტს, რომ მიმდინარე წლის 1 ივლისიდან საქართველო 65-ე ქვეყანა გახდა, სადაც პროდუქტზე გმო-ს შემცველობის მარკირება სავალდებულო გახდა, თუმცა, იქვე განმარტავს, რომ არსებული რისკებისა და საფრთხეების გათვალისწინებით, ეს მოსახლეობის დაცვისთვის საკმარისი არაა.**

ჩვენ მივიღეთ კანონი მარკირების შესახებ, რომლის თანახმად, 1 ივლისიდან სავაჭრო ქსელში არსებული, გმო შემცველობის მქონე პროდუქტი მკაფიოდ მარკირებული უნდა იყოს. თქვენს წინაშე წარმოვადგინეთ პროდუქცია, სადაც მკაფიოდ კი არა, ასეთ მარკირებას გამადიდებელი ლუპითაც კი ვერ აღმოაჩენთ. აქედანაც ჩანს, რომ დიდი სამუშაოა ჩასატარებელი და სურსათის უვნებლობის მაკონტროლებელი სამსახურები მყარად უნდა დადგნენ ფეხზე, როგორც ჩვენს მეზობლად მდებარე რამდენიმე ქვეყანაშია. ამის გარდა, უნდა შევქმნათ მძლავრი ლაბორატორიები ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში, რომ სააგენტოს ჰქონდეს მყარი დასკვნის გამოტანის საშუალება.

**ჩვენს ერთგულ მკითხველს ემახსოვრება, რომ „საერთო გაზეთის“ წინა ნომრებში შემოგთავაზეთ ეკოლოგიური ორგანიზაცია „გრინფისის“ მიერ შედგენილი სია, რომელშიც გენმოდიფიცირებული პროდუქციის**

**„ქუჩაში, ტრანსპორტში, ოჯახში, ნათესაობაში, სამსახურებში ადამიანებს ავუხსნათ, რამხელა უბედურების მომტანია გენმოდიფიცირებული ორგანიზმები და ერთიანი ძალით ვიბრძოლოთ ამის წინააღმდეგ, თორემ ქართული გენოფონდი ძალიან მცირეა და მის მოსპობას არაფერი არ უნდა.“**

არაკეთილსინდისიერი მწარმოებლები არიან შეყვანილი. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ მათ შორის ბევრია იმ საბავშვო კვების პროდუქტების მწარმოებელი, რომლებიც საქართველოს სუპერმარკეტებში თავისუფლად იყიდება და არანაირიმინიშნება, რომ მათ შემადგენლობაში გენმოდიფიცირებული ინგრედიენტებია, არ აქვს. სწორედ, „გრინფისის“ მიერ შედგენილ სიაზე გამახვილა ყურადღება შეხვედრაზე მყოფმა პარლამენტის უმრავლესობის წევრმა, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ **ზურაბ ტყემალაძემ**:



– ჩვენი დღევანდელი შეკრების მიზანია, ფართო საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია, შევაფასოთ რისკი და მავნებლობა, რასაც გმო-ს და მავნე მინარევების შემცველი პროდუქციის მოხმარება იწვევს, მოვუწოდოთ, რომ გაუფრთხილდნენ საკუთარი და ოჯახის წევრთა ჯანმრთელობას, დაიცვათ ის პირობები და მოთხოვნები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობით არის განსაზღვრული. საზოგადოება კარგად უნდა იყოს გათვითცნობიერებული მავნე საკვები დანამატებისგან მომდინარე საფრთხის შესახებ. აქედან გამომდინარე, გათვითცნობიერებულმა მყიდველმა სავაჭრო ქსელში შესვლისას, მარკირებული პროდუქცია უნდა მოითხოვოს, ყურადღებით წაიკითხოს და გაეცნოს პროდუქტის შემადგენლობას. ჟურნალისტებიც იმიტომ მოგიწვიეთ, რომ თქვენს კოლეგებს გადასცეთ, რომ ყველამ ერთად მივხედოთ ამ პრობლემას. მოგეხსენებათ, რომ ყველასთვის ცნობილმა საერთაშორისო ორგანიზაცია „გრინფისმა“ გენმოდიფიცირებული პროდუქტის მწარმოებელთა საკმაოდ გრძელი სია წარმოადგინა, რაც გვაძლევს საფუძველს, რომ ამ საკითხს მეტი ყურადღებით მოვეკიდოთ და არსებული საფრთხეების შესახებ მოსახლეობას ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდოთ. თქვენთვის წარმოდგენილი სურსათის ნიმუშებიდან, ზოგიერთზე მკაფიოდ არის მითითებული, რომ დამზადებულია მაგალითად, გენმოდიფიცირებული სოიოსგან. მეორე პირდაპირ მიუთითებს, რომ გმო-ს გარეშეა. ჩვენი კანონმდებლობაც ზუსტად ამას ითხოვს, რომ პროდუქციაზე იყოს მკაფიოდ დატანილი, რომ პროდუქტი გმო-ს შემცველობით ან მის გარეშეა. ჩვენს კოლეგებს სოფლის მეურნეობის სამინისტროდან ვთხოვ, შეიძინონ საქართველოში შემოტანილი ვაშლი „გოლდენი“, რომელიც ყველას ძალიან გვიყვარს, დადონ ოთახში და დააკვირდნენ რამდენი ხნის განმავლობაში იქნება შეუცვლელი. შეუძლებელია, ნატურალური და არაგენმოდიფიცირებული ვაშლი უსასრულოდ დიდი ხნის განმავლობაში ინახებოდეს. იმის გათვალისწინებით, რომ ასეთ პროდუქტებს ბავშვებიც მიირთმევენ, მოსახლეობას მაქსიმალურად უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია იმ საფრთხეების შესახებ, რომელსაც მათი მოხმარება იწვევს და ამაში ჩვენი ღვაწლმოსილი მეცნიერები დაგვეხმარებიან.

**გენმოდიფიცირებული პროდუქციის მწარმოებელთა რეალურ მიზნებზე საუბრისას, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მზევინარ ღოღობერიძე ყურადღებას 2008 წელს ნორვეგიის კუნძულ სვალბარდზე ოფიციალურად გახსნილ გიგანტურ საცავზე ამახვილებს. ამ გრანდიოზული პროექტის ავტორთა თქმით, „განკითხვის დღის საცავი“, რომელსაც 4-6 მილიონი სახეობის თესლის დატევა შეუძლია, გლობალური კატასტროფების შემთხვევაში, მცენარეთა თესლების გარემო ზემოქმედებისგან დაცვის მიზნით შეიქმნა. გლობალურ კატასტროფებში ბირთვული ომები, გლობალური დათბობა ან სტეროიდთან შეჯახება მოიაზრება. ყველაზე საინტერესოა, რომ ამ გრანდიოზული პროექტის სპონსორები გმო-ს შემქმნელები „მონსანტო“, „დიუ პონტი“, „სინგენტა“ და „დოუ ქემიკალი“ არიან. მთის სიღრმეში განთავსებულ საცავამდე მისასვლელად, გაყვანილია სპეციალური ტიხრებითა და ჰერმეტული კარებით აღჭურვილი 120 მეტრიანი გვირაბი. რა არის პროექტის შექმნის რეალური მიზანი უცნობია, თუმცა ამის შესახებ უამრავი ვერსია არსებობს. ერთ-ერთის თანახმად, პროექტის სპონსორები გმო-ს გავრცელებისგან გამოწვეულ კატასტროფას ელოდებიან, რომ იმ დროისთვის ბუნებრივი თესლების ერთადერთი მეპატრონეები გახდნენ. მზევინარ ღოღობერიძისთვის ბევრი მისი კოლეგის მსგავსად, ყველაზე დამაჯერებელი ეს ვერსიაა.**

– სანამ ძირითად საკითხზე გადავიდოდე, პატარა შესავალს გავაკეთებ და გეტყვით, რატომ მიმაჩნია, რომ ამ საკითხში კომპეტენტური ვარ და უფლება მაქვს, რომ ვილაპარაკო. დავიწყებ იმით, რომ ჩემი ლაბორატორია 40 წელიწადი მუშაობდა ზუსტად იმ მეთოდოლოგიით, რომლითაც გენმოდიფიცირებული მცენარეები მიიღება. ვერ გეტყვით, რომ ადამიანის ან ცხოველის უჯრედზე ვმუშაობდით, მაგრამ ამ 40 წლის მანძილზე საშუალება მქონდა მცენარის უჯრედზე ბიოქიმიური, გენეტიკური და ფიზიოლოგიური დაკვირვებები მეწარმოებინა. ჩემს მოვალეობებში შედიოდა ბიოქიმიური, გენეტიკური და ფიზიოლოგიური მიმართულებით დავკვირვებოდი მეტაბოლიზმის შეცვლის პროცესს. ეს საშუალებას მაძლევდა შემესწავლა, რა ემართება მცენარის უჯრედს სხვადასხვა მომენტში. იცით, რა კავშირშია ეს გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებთან? იმ კავშირშია, რომ დღეს მეცნიერები იმის მიხედვით, თუ რა მიზანი აქვთ, მცენარის უჯრედში ჩასვამენ თევზის, მარწყვის და ა.შ. აბსოლუტურად უცხო გენს. შემდეგ შეისწავლიან ამ გენის შედეგად მიღებული ცილა არის თუ არა ადამიანისთვის ტოქსიური და მორჩა. ყველა ის ორგანიზაცია, რომელიც გენმოდიფიცირებულ იორგანიზმებს იღებს, მხოლოდ ამ სახის კვლევას აწარმოებს. ამ მონაცემებს აწვდიან ჯანდაცვის სამინისტროს და მთავრობას, რომელიც სავარაუდოდ, მოსყიდული ჰყავთ და ამით ყველაფერი მთავრდება. სინამდვილეში, უცხო გენის ჩანერგვის შემდეგ, ის სხვა გენებთან შედის ურთიერთქმედებაში და იმის შესწავლას, თუ შედეგად რა წარმოიქმნა, არა ერთი და ორი წელი ჭირდება. ალბათ გაგიგიათ, რომ ჩრდილო პოლუსთან არის კუნძული, სადაც „მონსანტომ“ არაჩვეულებრივად რეგულირებადი საცავი შექმნა. ყინულოვან კლდეში ერთი პატარა კარი ჩანს და ძნელი დასაჯერებელია, რომ მის უკან მილიონობით სახეობის ნატურალური თესლის უზარმაზარი საწყობი მდებარეობს. ყოველთვის, როცა სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებს ვხვდები, აუცილებლად ვეკითხები რაში დაჭირდათ ნატურალური თესლეულის გიგანტური საცავის შექმნა, როცა ამტკიცებენ, რომ გენმოდიფიცირებული თესლი გაცილებით უკეთესი, კარგად შენახვადი და ამტანია, თუმცა ლოგიკურ პასუხს ვერ ვიღებ. ყველამ იცის, რომ კომპანია „მონსანტო“, რომელიც დღეს გმო პროდუქციას აწარმოებს, თავის დროზე ქიმიური ინდუსტრია გახლდათ, რომელსაც შხამქიმიკატების წარმოებისთვის ხოტბა-დიდებას ასხამდნენ. წინა საუკუნის 80-იან წლებში თავად კომპანიამ აღიარა, რომ მისმა შხამქიმიკატებმა მსოფლიოს ეკოლოგია გაანადგურა. აღიარებიდან უმოკლეს დროში, კომპანიამ სახე და სახელი იცვალა და გენმოდიფიცირებული მცენარეების წარმოებაზე გადავიდა. სავარაუდოდ, ახალ აღიარებამდე ელოდებიან იმ კოშმარულ სიტუაციას, როცა მათი გენმოდიფიცირებული თესლები დედამიწაზე ჯვარედინი დამტვერვით გავრცელდება და სუფთა პროდუქტი სანთლის საძებნელი გახდება. აი, მაშინ მხოლოდ თვითონ იქნებიან სუფთა პროდუქციის ერთადერთი მფლობელები და დაიწყებენ კატასტროფულ ფასად მის გაყიდვას. ყველამ ვიცით, რომ „მონსანტო“ გმო თესლებს გარკვეული პირობებით ყიდის. კერძოდ, თესლის შემძენმა მიღებული მოსავალი სათესლე მასალად არ უნდა გამოიყენოს და კომპანიისგან თესლი თავიდან უნდა იყიდოს. ეს იმიტომ ხდება, რომ მეორედ სასქესო უჯრედების წარმოქმნის პროცესი ვერ წავა. ამ ვითარებაში არც თუ სასიამოვნო დასკვნა დადეს ინგლისელმა ინგლისელმა მეცნიერებმა, რომლებმაც დაადგინეს, რომ ბაქტერიიდან კუჭ-ნაწლავში ჰორიზონტალური გადასვლა ხდება. ასეთ შემთხვევაში, რატომ არ შეიძლება, რომ გენი, რომელიც



სასქესო უჯრედების ჩამოყალიბების პროცესს ანელებს, ადამიანში გადავიდეს? წარმოგიდგენიათ, ასეთ შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ თაობები, რომლებსაც რეპროდუქციის უნარი არ ექნება. ბატონმა გოგიმ ახსენა, რომ 1996 წელს საქართველოში გენმოდიფიცირებული კარტოფილის ჩამოსატანად 2 მილიონიანი კრედიტი აიღეს. იმ კვლევითი ინსტიტუტის დირექტორებს, სადაც კარტოფილი მიიტანეს, გრანტებს და დაფინანსებას დაპირდნენ. ერთ-ერთი ინსტიტუტის დირექტორი, რომელიც გენმოდიფიცირების საქტიური მხარდამჭერი გახლდათ, მეუბნებოდა, რა გენაღვლება, ამ უხელფასობაში და გაჭირვებაში დაგვაფინანსებენ, გრანტებსმ მოგვცემენ და თესლებს გამოგვიგზავნიან. ხელსაწყოების ყიდვის საშუალება გვექნება და გაჩუმდიო. ერთადერთი ძალა, რომელმაც მაშინ ჩვენს პროტესტს მხარი დაუჭირა, მეწარმეები იყვნენ. საბოლოოდ, მთავრობა



16 gv.

15 gv.

იძულებული გახდა, ეს კარტოფილი მოესპო, მაგრამ ამით ბრძოლა არ დასრულებულა. ცხოველებზე არაფორმალურად ჩატარებული უამრავი ცდა ადასტურებს რა საშინელი სიმსივნეები ემართებათ გმო პროდუქტების მოხმარებისას. არსებობს დაავადება მარგელონი, რომელსაც იწვევს გენების გადასატანად გამოყენებადი ბაქტერია, რომელიც მცენარის ფესვებზე ძაფების წარმოქმნას იწვევს. ეტყობა, ჰოტრიზონტალური გადასვლის წყალობით, ადამიანსაც იგივე ემართება. დაავადებულს კანზე ჯერ წყლულები და შემდეგ ჭრილობები უჩნდება. ამ ჭრილობებიდან კი სხვადასხვა ფერის „ძაფები“ გამოსდის. მსოფლიოში ამ საშინელი დაავადების სულ უფრო მეტი შემთხვევა ფიქსირდება. მოსალოდნელი რისკების გათვალისწინებით, წლების წინ სოფლებში დავდიოდი და მოსახლეობას მოვუწოდებდი, რომ არ ეყიდათ გენმოდიფიცირებული სათესლე მასალა. ვფიქრობ, თოთოეულმა ჩვენგანმა ქართველების ერთი ბეწო გენოფონდის გადარჩენა სიცოცხლის მიზნად უნდა გაიხადოს. ქუჩაში, ტრანსპორტში, ოჯახში, ნათესაობაში, სამსახურებში ავუხსნათ, რამხელა უბედურების მომტანია გენმოდიფიცირებული ორგანიზმები და ერთიანი ძალით ვიბრძოლოთ ამის წინააღმდეგ, თორემ ქართული გენოფონდი ძალიან მცირეა და მის მოსპობას არაფერი არ უნდა.

**გმო ტექნოლოგიების მოწინააღმდეგეები მთელ მსოფლიოში აცხადებენ, რომ ბუნებრივი რესურსების დეფიციტზე შიშის უკან ამერიკელი მაგნატების სურვილი დგას, რომელიც პლანეტის მზარდი მოსახლეობის შემცირების ხარჯზე მილიარდების კეთებას წარმოადგენს. ასეთი ვარაუდებისა და რისკების ფონზე, საშიში დანამატების შემცველი პროდუქციისგან მოსახლეობის დაცვის საქმეში მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლებაზე ისაუბრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა და ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა დიანა ძიძიგურმა:**

–პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ გოგის, რომ საშუალება მოგვეცა ქართული აუდიტორიისთვის კიდევ ერთხელ მიგვეწვდინა ხმა.



რასაც მრავალწლიანი, მარათონული ბრძოლით მივაღწიეთ, ისაა, რომ გენმოდიფიცირებული ორგანიზმები გარემოში ინტროდუქცია აიკრძალა და ეს ძალიან კარგია, მაგრამ დარჩა გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სურსათში შემოტანის საკითხი. ჩვენ რაც შეგვეძლო თუ არ შეგვეძლო, მივაღწიეთ ამ აკრძალვას და ახლა ხმამაღლა მოგიწოდებთ ყველას, სრულიად საქართველოს, რომ ნებისმიერი ქართველის, რომელიც საბაზრო ქსელში შევა, მოქალაქეობრივი ვალია პროდუქტზე ეტიკეტირება შეამოწმოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, რაც მოვიპოვეთ, იმასაც დავკარგავთ. კი ბატონო, გარემოში დათესვა აიკრძალა, მაგრამ საშიშროება არ გამქრალა. გმ ცოცხალ ორგანიზმების ანუ თესლების დახლზე მოხვედრის შემთხვევაში, იმის გარანტია, რომ ფერმერი შეგნებითი თუ შეუგნებლად არ დათესავს, არ არსებობს. როგორც ბატონმა გოგიმ აღნიშნა, ქვეყანაში შემოსული გმ თესლი ჩვენი მცდელობის მიუხედავად, მაინც გავიდა საბაზრო ქსელში, ამიტომ ოფიციალურად უნდა მოხდეს ამის აკრძალვა. ამის შემდეგ, ერთადერთი, რაც რჩება, არის თითოეული ადამიანის წმინდა მოქალაქეობრივი ვალი. საბაზრო ქსელში შესვლისას, ვნახოთ არის თუ არა პროდუქციაზე ეტიკეტირება. თუ არ არის, დემონსტრაციულად დავტოვოთ და ვთქვათ, რომ პროდუქტს არ ვყიდულობთ, იმიტომ, რომ შემადგენლობა არ აწერია. გეხვეწებით, გემუდარებით და არ ვიცი კიდევ როგორ მოგმართოთ, რომ ეტიკეტირება წაიკითხოთ და საკუთარი თავი ერთიანი ძალით გადავარჩინოთ. ამ აკრძალვების მოწინააღმდეგეები (ასეთი რამდენიმე სამინისტროა), სულ გვეუბნებოდნენ, რომ გმ პროდუქტების აკრძალვით ევროპასთან ურთიერთობა გაგვიფუჭდება. ახლა ეს არგუმენტიც აღარ არსებობს, რადგან ევროკავშირმა გამოსცა კანონი, რომელიც სრულ უფლებას გვაძლევს თავად ავირჩიოთ, გვინდა თუ არა. რჩება მხოლოდ ჩვენი მოქალაქეობრივი ვალი. თუ ჩვენ მაინც ვიყიდით, ეს პროდუქცია სულ გვექნება დახლზე, ხოლო თუ ეს პროდუქცია „ჩაწვება“,იძულებულები გახდებიან ეტიკეტირებაზე იზრუნონ. ბატონმა გოგიმ თქვა და სრულიად ვეთანხმები, რომ ტრასცხიმები ისეთივე „ბომბია“, როგორც გენმოდიფიცირება, მაგრამ ეტიკეტირებაზე საერთოდ არ არის მითითებული. მაგალითად, პროდუქტში, რომელიც 53% ცხიმს შეიცავს, არ აწერია, რომელიც ცხიმია. გასაგებია, რომ მცენარეულია, მაგრამ მით უმეტეს მცენარეულში, ტრანსცხიმების შემცველობის ალბათობა ძალიან მაღალია. ნამდვილ კარაქშია ტანსცხიმი საერთოდ არ უნდა იყოს, მაგრამ დღეს არავინ არ ვიცით, კარაქი რომ აწერია, ნამდვილად კარაქია თუ არა. კი ბატონო, რძისა და რძის ნაწარმის შემადგენლობაში მცენარეული ცხიმების დამატების შემთხვევაში, შეფუთვაზე აწერია „კარაქისებრი“ , „არაჟნისებრი“ და ა.შ. მაგრამ საერთოდ არ აწერია ტრანსცხიმს შეიცავს თუ არა. სამწუხაროდ, ესეც არარეგულირებადია. ჩვენს მოთხოვნაზე მეწარმეები პასუხობენ, რომ ასეთი ანალიზის ჩატარებას კანონი არ ავალდებულებთ. შესაბამისად, მიდის თავგანწირული ბრძოლა იმისთვის, რომ კანონი მივიღოთ. როგორც გენმოდიფიცირების საკითხში გვებრძოდნენ და ამდენი ხანი გაჭიანურდა, ზუსტად ასეთივე ბრძოლა მიდის ტრანსცხიმებზე. რამდენადაც ვიცი, შედგა სხდომა, რომელზეც მეწარმეებმა ტრანსცხიმის ნორმირებაზე თანხმობა განაცხადეს. ჩვენი მოწინააღმდეგეების არგუმენტია, რომ წარმოების გადაიარაღებას დრო ჭირდება, თორემ ჩემი პირველი წინადადება ნორმირება კი არა, სრული აკრძალვა იყო.. ჯანდაცვის სამინისტროში ხმამაღლა ვთქვი, რომ როცა „დაჩას“ ტრანსცხიმების რაოდენობა 0,5% უწერია, ქართულ პროდუქციას 2%-იანი შემცველობით რომ დადებთ, ხელს იმაზე აწერთ, რომ ქართული პროდუქცია არ გაიყიდება.

**ტრანსცხიმების ნორმირების წინააღმდეგია და სრულად აკრძალვას ითხოვს პარლამენტის უმრავლესობის წევრი ზურაბ ტყემალაძე. მისი თქმით, ეს თვალის ახვევა და მოსახლეობის მოტყუება იქნება. ტრანსცხიმების მავნეობიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს მისი სრულად აკრძალვა და არა ნორმირება – აცხადებს უმრავლესობის წევრი.**



– მე წინააღმდეგი ვარ, რომ ნორმირება მოხდეს. ნახევარი გრამი, ორი გრამი და ეს ყველაფერი არის ტყუილი და თვალის ახვევა. თუ საუბარია იმაზე, რომ ტრანსცხიმები უსარგებლოა და რისკის შემცველია, მაშინ რას შევაპაროთ? პირველ ეტაპზე ნორმირება, მერე აკრძალვა კი არა, ასაკრძალია და უნდა აიკრძალოს.

**სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის უფროსი პაატა სოხაძე:**

– დიახ, გეთანხმებით. უბრალოდ, მინიმალური ლიმიტი რაც იყო, იქიდან იქნა აღებული, თუმცა არის ერთი აუცილებელი მოთხოვნა, რომ ბავშვთა კვების პროდუქტებში, მათ შორის, საბავშვო დაწესებულებებში ბანაკებში, სკოლებში საბავშვო ბაღებში სრულად აიკრძალოს. იქ ასეთი ნივთიერების შემცველობა უნდა იყოს ნოლი. ეს კონკრეტულად არის განსაზღვრული.

**დიანა ძიძიგური:**

– გამოდის, რომ ჩვენ უნდა გვქონდეს პროდუქცია, რომელშიც ტრანსცხიმების შემცველობა ნულია, მაშინ მის გვერდით დადებულ სხვა პროდუქციას, რომელსაც 2% ეწერება, რა დატვირთვა აქვს? რეალურად, ის აღარ უნდა გაიყიდოს არა? ჩემთვის მიუღებელია არგუმენტი, რომ ევროპა ამას 10 წელი მოუნდა და ჩვენ 6 თვეში ვერ გავაკეთებთ. ევროპა მოუნდა იმიტომ, რომ იქ ნამდვილად იწარმოება ცხიმი და საწარმოების გადაიარაღება უნდა მომხდარიყო. ჩვენთან კი ცხიმი გარედან შემოდის და ან წყლით ათქვეფა ანუ ჰომოგენიზაცია ხდება ან სპრედებში ერევა. ამას კი გადაიარაღება ნამდვილად არ ჭირდება. ტრანსცხიმების კრძალვის მოწინააღმდეგეთა ერთ ერთი არგუმენტია, რომ აკრძალვის შემთხვევაში, პროდუქციაზე ფასი მოიმატებს და სოციალური აფეთქება გვექნება. მე კი მგონია, რომ სოციალურ აფეთქებას სხვა მიზეზით მივიღებთ. ჯანდაცვის სამინისტროს ვერც ერთმა სპეციალისტმა ვერ მითხრა, რომ ჩემი სტატისტიკა, რომლის თანახმად, ბავშვებში სამი წლის ასაკიდან მასობრივად დაწყებულია ღვიძლის გაცხიმოვნება, არასწორია. ისიც ფაქტია, რომ უკვე ძალიან ახალგაზრდებსაც კი ჭირდებათ გულის სტენტირების ოპერაციები. ამ ბოლო დროს, ჩემს გარშემო შვიდმა ახალგაზრდამ გაიკეთა სტანტირება. ზოგი სტენტირებასაც არ ექვემდებარება, კაპილარებსა და სისხლძარღვებში ქოლესტერინის ისეთი ჩაწყობა აქვს და შუნტირებას იკეთებს. ამის მიზეზი კი ზუსტად ის ტრანსცხიმებია, რომელიც სისხლძარღვებში ჩალაგებულ დაბალი სიმკვრივის ქოლესტერინს აძლევს დასაბამს. გამიჭირდება ინვალიდი ვუწოდო, მაგრამ შუნტირებული ახალგაზრდა კაცი, პრაქტიკულად ჯანმრთელი








აღარ არის. სულ პრეპარატებზე და ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოს. ეს პრეპარატები კი ძალიან ძვირადღირებულია. როცა სოციალურ აფეთქებაზე საუბრობენ, უნდა გაითვალისწინონ, რომ მოსახლეობაში ამდენი უსიამოვნება და სტრესი იმიტომ არსებობს, რომ ხალხის შემოსავალი უძვირეს წამლებში, ექიმებში და სადიაგნოსტიკო კვლევებში მიდის. სწორედ ეს გამოიწვევს სოციალურ აფეთქებას და არა ტრანსცხიმების აკრძალვა.

**გოგი თოფაძე ყურადღებას გმო კულტურების მოყვანით მიღებულ ეკონომიკური სარგებელზე ამახვილებს, რომელზეც გმო ტექნოლოგიების დამცველები აპელირებენ. კვლევებმა დაადასტურა, რომ გენმოდიფიცირებული კულტურების მოყვანა მხოლოდ თესლის მწარმოებლებისთვის არის მომგებიანი. არსებობს სტატისტიკური მონაცემები, რომლის თანახმად, 2004 წელს ამერიკელმა ფერმერებმა გმ თესლებში 2,2 მილიარდი დოლარი გადაიხადეს, (რაც 2001 წელთან შედარებით, 1 მილიარდით მეტია), თუმცა იმედგაცრუებულები დარჩნენ. აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, 2000 წელს შტატების ტერიტორიაზე მოყვანილი ჩვეულებრივი და გმ სოიოს მოსავლიანობაში უმნიშვნელო განსხვავებაა, რაც თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს:**

**ილინოისი—ჩვეულებრივი სოიო 3,9 (ტ/ჰა) . გმ სოიო 4,04 (ტ/ჰა),**

**აიოვა—ჩვეულებრივი სოიო 4,10(ტ/ჰა). გმ სოიო 3.83(ტ/ჰა),**

**მიჩიგანი—ჩვეულებრივი სოიო 4,44(ტ/ჰა). გმ სოიო 4.30(ტ/ჰა)**

**მინნესოტა—ჩვეულებრივი სოიო(ტ/ჰა) 4.44. გმ.სოიო 4.10(ტ/ჰა)**

**ნებრასკა—ჩვეულებრივი სოიო(ტ/ჰა) 3, 90. გმ.სოიო 3. 43(ტ/ჰა)**

**ოჰაიო— ჩვეულებრივი სოიო 4.04. (ტ/ჰა) გმ.სოიო 3.90 (ტ/ჰა)**

**სამხრეთ დაკოტა — ჩვეულებრივი სოიო 3.30. (ტ/ჰა) გმ.სოიო 2,96(ტ/ჰა)**

**ვისკონსინი — ჩვეულებრივი სოიო (ტ/ჰა) 4.77. გმ სოიო 4.64 (ტ/ჰა)**

**ანალიგიური შედეგები იქნა მიღებული, გენმოდიფიცირებული სიმინდის მოსავლიანობისა და ხარჯების განსაზღვრისას.**

**გოგი თოფაძე:**

— მთელი მსოფლიოს მეცნიერები ხმამაღლა აცხადებენ, რომ გმო პროდუქცია სიცოცხლისთვის საშიში და ჯანმრთელობისთვის საზიანოა, პირდაპირ ასაბუთებენ, რომ გაყინული ქათმის ბარკლები მამაკაცის იმპოტენციის გამომწვევია. ამასთან, არსებობს იმ ფირმების ჩამონათვალი, რომლებიც არც მალავენ, რომ გმო-ს შემცველ პროდუქციას აწარმოებენ. ამიტომ უნდა ვიზრუნოთ, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სხვა შესაბამის უწყებებს სრული კონტროლის განხორციელებაში დავეხმაროთ. როგორც უკვე ითქვა, ტრანსცხიმები და საკვებში ქიმიური დანამატები გმო-თან ერთად, ადამიანს ჯანმრთელობის სერიოზულ პრობლემებს უქმნის. მოვითხოვოთ, რომ საქართველომ, როგორც სხვა ცივილურმა ქვეყნებმა, შეიძინოს ლაბორატორიები, რომლებიც არც ისე ძვირი ღირს, შექმნას მკაცრი სურსათის კონტროლის სამსახური და საკუთარი მოქალაქეები დაიცვას უამრავი დაავადებისგან. ზოგიერთი ქართველი ეკონომისტის გასაგონად, რომელიც გმო ცოცხალი ორგანიზმების შემოტანას ეკონომიკური ფაქტორით ამართლებს, ვიტყვი, რომ თითქმის არავითარი განსხვავება არაა გმო და ჩვეულებრივი სოიოს მოსავალს შორის. თუმცა, კიდეც რომ იყოს, რომელი ეკონომიკური სარგებლისთვის შეიძლება ამხელა რისკზე წასვლა?

**სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის უფროსი პაატა სოხაძე:**

— გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი ლაბორატორიების არსებობას, სხვაგვარად შეუძლებელია. მეორე წელია, ეროვნული სააგენტო არსებული შესაძლებლობების ფარგლებში კონტროლს ახორციელებს. სურსათის სახეობების შერჩევა ხდება საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე.

**საქართველოში სასურსათო კალათის 70-80% იმპორტირებულია. ასეთ პირობებში, მოსახლეობას არა აქვს საშუალება, არჩევანი ხარისხებს და არა ფასს შორის გააკეთოს. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი იძულებულია, რაც შეიძლება იაფი პროდუქტი შეიძინოს, რაც ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქტების იმპორტირების წინაპირობას ქმნის, თუმცა გმ და ქიმიური დანამატებით გაჯერებული პროდუქტების მოხმარებით მიღებული ზიანის გამოსწორება ხშირად ძვირადღირებული სამედიცინო პრეპარატებითა და ხანგრძლივი მკურნალობითაც შეუძლებელია. რა დამოკიდებულებაა გენმოდიფიცირებული პროდუქციის მიმართ ამერიკაში? მიირთმევენ თუ არა ამერიკელები ისეთივე სიამოვნებით საკუთარ ქვეყანაში გმ ტექნოლოგიების შედეგად მიღებულ პროდუქციას, როგორც სხვებს თავაზობენ? დაძაბული და საინტერესო შეხვედრის დასრულების შემდეგ, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მზევინარ ლოლობერიძე** გვესაუბრა:




— როგორც ხედავთ, ამ ეტაპზე გენმოდიფიცირებული პროდუქტების შემოტანის აკრძალვაზეა საუბარი. აქამდე მისვლისთვის ჩვენი 18 წლიანი ბრძოლის გარდა, ძალიან დაგვეხმარა, რომ ევროკავშირმა ქვეყნებს გენმოდიფიცირებულ პროდუქციასთან მიმართებაში თავისუფალი არჩევანის უფლება მისცა. მანამდე მთავრობა გამუდმებით ევროკავშირის ფაქტორით გვეწინააღმდეგებოდა, თუმცა ვვარაუდობ, რომ ამის გარდა, რაღაც მატერიალური ინტერესიც არსებობდა. წარმოიდგინეთ, რომ ამ ინიციატივას მოწინააღმდეგეები ახლაც ჰყავს, როცა ევროკავშირის მიერ მიღებული რეგულაციების შემდეგ, ქვეყნები ერთმანეთის მიყოლებით კრძალავენ გმ პროდუქციას. ჩემთან სამსაათიანი საუბრისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრის შემდეგ, საქართველოში გენმოდიფიკაციის პროპაგანდისათვის ჩამოსული ატლანტის უნივერსიტეტის პროფესორმაც კი აღიარა, რომ ისეთი მცირე გენოფონდისა და ტერიტორიის მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, არ არის საჭირო ამ მიმართულების განვითარება.

**— ევროპასა და ამერიკაში როგორი დამოკიდებულებაა გენმოდიფიცირებული პროდუქციის მიმართ? თავად ისეთივე სიამოვნებით მიირთმევენ, როგორც ჩვენ გვთავაზობენ?**

— ამერიკაში ყოფნის დროს, ჩემმა იქაურმა კოლეგებმა რამდენჯერმე სადილზე დამპატიჟეს და ყოველთვის ისეთი რესტორანში შეარჩიეს, სადაც გამოკრულია ,,ჩვენთან გენმოდიფიცირებული პროდუქცია არ შემოდის“. ამერიკის პრესტიჟულ რესტორანში ეს აუცილებლად უნდა იყოს გამოკრული. აქედან გამომდინარე, ჩემმა ამერიკელმა კოლეგებმა მშვენივრად იციან რა არის კარგი და რა არა. ამერიკის ნებისმიერი ქალაქის ქუჩაში დაინახავთ გასქელებულ, ნივთიერებათა ცვლადარღვეულ, უზარმაზარ ადამიანებს, როცა უამრავი უნივერსიტეტი და კვლევითი ინსტიტუტი მოვიარე და არც ერთი გადასუქებული პროფესორი არ მინახავს. დავინტერესდი და გავარკვიე, რომ ყველა მეცნიერი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას მიირთმევს და ახლოს არ ეკარება სწრაფი კვების ობიექტებს. აქედან დასკვნა თავად გამოიტანეთ. საუბრის ბოლოს საკანონმდებლო ინიციატივასაც შევეხები და გეტყვით, რომ სულ მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ გენმოდიფიცირების საკითხებს საქართველოში ყველა მთავრობის დროს ვიღაც ლობირებდა. ზუსტად ვიცი ვინ და რა შეთავაზების გამო უჭერდა ამას მხარს.



**სურსათის უვნებლობის მკაცრი კონტროლისთვის განვითარებულ ქვეყანებში შექმნილია რამდენიმე დამოუკიდებელი, ლიცენზირებული ლაბორატორია. დამატებით, რომელიმე წამყვან ინსტიტუტში არის რეფერალური ლაბორატორია, რომელიც აკონტროლებს ყველა სხვა ლიცენზიას. წამყვანი ევროპული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, არსებული რისკების პირობებში, ლაბორატორიული სისტემების სრულყოფა და მოდერნიზაცია ჯანმრთელობისთვის საზიანო და სახიფათო საკვებისგან მოსახლეობის დასაცავად, სასიცოცხლოდ აუცილებელია. არის თუ არა მზად ამისთვის სოფლის მეურნეობის სამინისტროში არსებული სურსათის ეროვნული სააგენტო? ,,საერთო გაზეთის“ სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის უფროსი პაატა სოხაძე** ესაუბრა:

— რა თქმა უნდა, კონტროლი ძალიან მნიშვნელოვანია, მით უფრო, რომ არსებობს საკანონმდებლო მოთხოვნები გმო პროდუქციის კონტროლთან დაკავშირებით. ჩვენი გენმოდიფიცირებულ ცოცხალ ორგანიზმებზე და გარემოში მათ ინტროდუქციაზე კონტროლი სურსათის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციაში შედის. თავისი ლაბორატორიული შესაძლებლობების გათვალისწინებით, სააგენტო უკვე მეორე წელია, ასეთ კვლევებს ახორციელებს, ვინაიდან აქამდე საქართველოში ლაბორატორიული სიმძლავრეები არ არსებობდა. სურსათის ეროვნულმა სააგენტომ შესაბამისი საერთაშორისო გამოცდილებით შერჩეული სურსათის სახეობების მიხედვით აიღო ნიმუშები და უკვე კონტროლი განახორციელა. უკვე გამოკვლეულია დაახლოებით ასი ნიმუში. ჩვენ გამოვავლინეთ გმო შემცველი სურსათის რეალიზაციის ფაქტები. ბიზნეს- ოპერატორი 5000 ლარით დაჯარიმდა და დაევალა პროდუქციის ბაზრიდან გამოთხოვა და ეტიკეტირების მოწესრიგება. ასე, რომ ეროვნული სააგენტო ამ მიმართულებით საკმაოდ ეფექტურად მუშაობს, თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანია საკითხები, რომლებზეც დღეს იყო საუბარი. მიმაჩნია, რომ ქვეყანაში კარგი სიმძლავრეების, მაღალი კომპეტენციის და მაღალი ტექნიკური შესაძლებლობების ლაბორატორიის შექმნა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა.

18 gv.

17 gv.

**– იმის გათვალისწინებით, რომ გმო შემცველი სურსათის მნიშვნელოვანი ნაწილი იმპორტირებულია, აპირებთ თუ არა საზღვარზე კონტროლის გაძლიერებას?**

– ძალიან მნიშვნელოვანია ლაბორატორიული საშუალებების გაძლიერება, რომელიც ჩვენ მოგვცემს საშუალებას, რომ განვახორციელოთ ადექვატური კონტროლი მათ შორის საზღვრებზეც. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საზღვრებზე არსებობდეს სრულფასოვანი აქტიური იარაღი ასეთი კონტროლის განხორციელებისათვის.




**2000 წელს შემუშავდა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი–ბიოუსაფრთხოების კარტახენას ოქმი, რომელიც ძალაში 2003 წელს შევიდა. ოქმის ძირითადი მიზანი თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მეთოდით მიღებული გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენებისას, უსაფრთხოების სათანადო დაცვაა. ოქმი ქვეყნებს საშუალებას აძლევს, დაიცვან თავიანთი ეკოსისტემა და ითვალისწინებს მხარეების ვალდებულებას საზოგადოების სათანადო ინფორმირებისა და კონსულტირების შესახებ. სწორედ კარტახენას ოქმის ჩანაწერით მანიპულირებენ საქართველოში გმ ტექნოლოგიების მხარდამჭერები– აცხადებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ᲓᲘᲐᲜᲐ ᲫᲘᲫᲘᲒᲣᲠᲘ:**

– წლების მანძილზე გრძელდებოდა დავა გენმოდიფიცირების სარგებელზე თუ მავნეობაზე. უკვე თითქმის ველარავინ უარყოფს, რომ ეს მავნეა. საქართველოში გმო ტექნოლოგიების მხარდამჭერებიც აღიარებენ, რომ სერიოზული რისკები არსებობს, მაგრამ მათი ახალი არგუმენტია, რომ რადგან ევროკავშირის წევრობა გვსურს, კარტახენას ოქმის ჩანაწერს, (რომელიც გმო პროდუქციის გადაადგილებაზე ხელშეწყობას ითვალისწინებს), ანგარიში უნდა გავუწიოთ. ანუ საუბარია მხოლოდ გადაადგილებისთვის ხელის შეწყობაზე. მე ვსვამ კითხვას, რატომ უნდა შეგვხვდეს წინააღმდეგობა პარლამენტში ამ კანონის მიღებისას, როცა ჩვენი ოპონენტების ყველა არგუმენტი გაქარწყლდა? თუ მაინც გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც ამ კანონის მიღებას შეეწინააღმდეგებიან, მაშინ შემეძლება ვთქვა, რომ თუ ამ ქვეყანას მტერი ჰყავს, ეს კონკრეტული ადამიანებია. ჩემი შეფასება ეს არის. როცა გაქვს უფლება და შესაძლებლობა, შენს ქვეყანას და თანამოქალააქეებს რისკი და საფრთხე აარიდო და ამას არ აკეთებ, გამოდის, რომ პირადი ინტერესები გამოძრავებს. მარტივი მისახვედრია რა სიტყვა შეესაბამება ადამიანს, რომელიც პირად ინტერესებს ქვეყნის ინტერესებზე მაღლა აყენებს.

**– როგორც ვიცი საკანონმდებლო ორგანოში წარსადგენი შემდეგი ინიციატივა ტრანსცხიმების აკრძალვა იქნება.**

– აუცილებლად და უკვე დაწყებულია ამაზე მუშაობა. ტრანსცხიმები ისეთივე მავნეა თუ მეტად არა. ბავშვი როგორც კი ძუძუთი კვებას ანებებს თავს, მაშინვე გადადის ჩვეულებრივ საკვებზე ხომ ასეა? ტრანსცხიმების 2% ხაჭოში, 2% არაჟანში, 2% კარაქში, მარგარინში და ა.შ. დათვალეთ რამდენი პროცენტი გამოვა და რა გავლენას მოახდენს ეს ბავშვის ორგანიზმზე.

**სანამ დავემშვიდობებოდით, შეხვედრის ინიციატორს ᲒᲝᲒᲘ ᲗᲝᲤᲐᲫᲔᲡᲐᲪ გავესაუბრეთ:**

– ყველამ იცის, რომ გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში ინტროდუქცია დამღუპველია. თუ ვინმე საზოგადოების ხარჯზე ფულის მოგებას აპირებს, აუცილებლად დასასჯელია. წლების წინ ვინ იცოდა საქართველოში სოიოს შესახებ? ახლა კი ლამის ყველაზე მთავარ კულტურად გამოაცხადონ. ფინანსური ინტერესის გარდა, ადამიანებს მორალური ვალდებულებებიც უნდა ჰქონდეთ. მას შემდეგ, რაც მოსპეს სურსათის ხარისხის შემოწმება, საქართველო გახდა უხარისხო პროდუქციის ნაგავსაყრელი. შესაბამისად, სურსათის უვნებლობა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე პრობლემაა, რომელსაც ყველა ერთად უნდა შევებრძოლოთ. მოსახლეობას უნდა ახსოვდეს, რომ ყველაფერი, რაც ლამაზადაა შეფუთული, სასარგებლო არ არის. როცა ათასი საზიზღრობით გაჯერებული ნაგავი მოცილდება ჩვენს მარკეტებს, ქართული შუშა კიტრი, ჭოპორტის პომიდორი თუ გორის ხილი უფრო მეტი გაიყიდება. გლეხიც ამოისუნთქებს და ქვეყანაც. ჩვენ აუცილებლად მოვთხოვთ სამინისტროს, დიდი ბროლით მიღებული მარკირების კანონის აღსრულებას. მსოფლიოს 30 ლაბორატორია გიწერს, რომ ესა თუ ის კომპანია გენმოდიფიცირებულ პროდუქტს აწარმოებს და შენ შენს ქვეყანაში შემოგაქვს. მკაცრი ზომები იქნება მიღებული სისხლის სამართლის კუთხითაც. ვიმეორებ, ყველამ ერთად უნდა შევძლოთ ჩვენი ქვეყნის ბიომრავალფეროვნების და ჯანსაღი მომავალი თაობის შენარჩუნება. ეს ყველა ჩვენგანის და თითოეულის მოქალაქეობრივი ვალია.






**მკითხველს შევახსენებთ, რომ ბევრმა ევროპულმა სახელმწიფომ უკვე ისარგებლა ახალი რეგულაციებით და სრულად აკრძალა თავის ტერიტორიაზე გმ ცოცხალი ორგანიზმების (სათესლე მასალა) ინტროდუქცია. დანია, ლუქსემბურგი და მალტა შეუერთდნენ ევროპის იმ ქვეყნების სიას, რომლებმაც ზურგი შეაქციეს გმო მარცვლოვან კულტურებს. გმო კულტურებისგან თავისუფალ ზონად გამოცხადდა ავსტრია, ბულგარეთი, ხორვატია კვიპროსი, საბერძნეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ნიდერლანდები, პოლონეთი, სლოვენია, უელსი, შოტლანდია და ჩრდ ირლნალდია. ამ ქვეყნებმა კატეგორიული უარი უთხრეს გმო-ოს ყველა კულტურას, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქვეყნებმა რომლებსაც გმო პროდუქციის წარმოებაში მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ, ვერ აღმოაჩინეს მისი უპირატესობა. ევროსაბჭოს დეპუტატმა კარენ ლეპაჟმა აღიარა „დიდი სისულელე ჩავიდინეთ, როცა ევროპაში გენმოდიფიცირებული საკვების შემოტანა დავუშვით. დროა გამოვაცხადოთ მორატორიუმი საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით.“**

**საქართველოს მეზობელმა აზერბაიჯანმა ქვეყანაში გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შეტანა, გაყიდვა და გამოყენება ლამის ნარკოდანაშაულს გაუტოლა. გენმოდიფიცირებული ორგანიზმების საკვებ პროდუქტებში განზრახ გამოყენებისთვის აზერბაიჯანში 4-6 000 მანათიანი ფულადი ჯარიმა ან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთითაა გათვალისწინებული. აღნიშნული ორგანიზმების დიდი რაოდენობით შეტანაზე, გაყიდვაზე და მოხმარებაზე 5 წლამდე პატიმრობაა გათვალისწინებული. დანაშაულის განმეორების შემთხვევაში, დანაშაულის ჩამდენ პირს 7 წლამდე პატიმრობა ემუქრება.**

**რა გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს პარლამენტი ამ მიმართულებით, უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.**

**ᲜᲔᲚᲘ ᲗᲝᲠᲓᲘᲐ**
571 35 36 88





# მიხეილ ჯიბუტი: როდესაც დოლარის კურსის ცვლილებაზე ვსაუბრობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ მედალს ორი მხარე აქვს

**ვესაუბრებით ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს პროფესორ მიხეილ ჯიბუტს**

**— ბატონო მიხეილ, როგორც ირკვევა, ქვეყანაში სოციალური ფონი კვლავ უარესდება, როდემდე შეიძლება ასე გაგრძელდეს?**

— პირველ რიგში აღვნიშნავ ეროვნული ბანკის საზედამხედველო სამსახურის როლს, ის ზოგ ქვეყანაში არის ეროვნულ ბანკთან ერთად, ზოგან კი მის გარეთ, ის ვალუტის კურსს მაინც არ განსაზღვრავს, ეს მისი ფუნქცია არ არის. ჩვენთან ეს საკითხი ჯერ არ დამთავრებულა, რადგან ეს საქმე საკონსტიტუციო სასამართლომ შეაჩერა ჯერჯერობით და ის გადაუწყვეტელია. თუმცა, არის ერთი კამათი, რომელიც დოლარის სტაბილიზაციის ირგვლივ მიმდინარეობს, არ უწყობს ხელს სიტუაციის დამშვიდებას. აქვე ვიტყვი, რომ არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ სად იქნება საზედამხედველო სამსახური, მთავარია, რომ ის უნდა აკმაყოფილებდეს სტანდარტებს და მუშაობდეს გამართულად. რაც შეეხება ვალუტის კურსს, ჩვენ გვაქვს თავისუფალი მცურავი კურსი; წარმოიდგინეთ, რომ ეს არის თერმომეტრი, რომელიც ზომავს სხეულის ტემპერატურას, ვალუტის კურსის მერყეობა დამოკიდებულია იმ სხეულზე, რომელსაც ის ზომავს, ანუ ეკონომიკას მოცემული ქვეყნისას — ეს გახლავთ მთავარი. ქვეყნის ეკონომიკას კი განსაზღვრავს ორი რამ, გარე და შიდა ფაქტორი. ის თუ რა მოხდება ამ სფეროში, უნდა განსაზღვროს ქვეყნის ხელისუფლებამ, ჩვენს შემთხვევაში საქართველოს მთავრობამ. აუცილებელია დაჯდნენ და მისხალ-მისხალ დათვალონ ის ფაქტორები, როგორ მოქმედებენ ჩვენს ქვეყანაზე და როგორ გააუმჯობესონ მდგომარეობა. გარეშე ადამიანებს, მეცნიერი იქნება ის თუ ჩვეულებრივი მოქალაქე ამის განსაზღვრა არ შეუძლია, რადგანაც ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე სრული ინფორმაცია აქვს მხოლოდ ხელისუფლებას.

სამწუხაროა ის, რომ უკვე ამდენი ხანია დოლარის კურსის აწევასთან დაკავშირებით დრო გავიდა, და ზუსტად ვერავინ ვერაფერს ამბობს, ფაქტობრივად, მიზეზებს ვერ ხსნიან. აქედან ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება მხოლოდ, რომ ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში არის რთული.

დღეს ჩვენი ქვეყანა სამჯერ მეტ პროდუქციას ყიდულობს უცხოეთიდან ვიდრე ყიდის. ეს სხვაობა კი რითი იფარება? ცხადია, ვალით! აქვე ვიტყვი, რომ უცხოეთიდან შემოსული ფულის ნაკადები ქვეყანაში შემცირდა იმ ოჯახებისათვის, ვისაც ისინი ამას უგზავნიან. ჩვენთან უფრო დიდი კრიზისი იქნებოდა, რომ არ შემცირებულიყო უცხოეთში გარკვეულ პროდუქციაზე ფასები. მათ შორის ნავთობზე, თორემ ჩვენთან ინფლაცია იქნებოდა არა ხუთი, არამედ ორმოცი პროცენტი!

როდესაც დოლარის კურსის ცვლილებაზე ვსაუბრობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ მედალს ორი მხარე აქვს, ჩვენ რომ რაიმეს ვაწარმოებდეთ და დოლარზე ვყიდდეთ, ეს დოლარის ფასი ხომ გაიზრდებოდა? ამით ხომ მოგებას ვნახავდით? ვისაც ბინა აქვს გაქირავებული დოლარზე, ის ხომ უფრო მეტ მოგებას ნახულობს? — აი, ეს არის ორი მხარე. ჩვენ არაფერს არ ვაწარმოებთ და ამიტომ დოლარის ცვლილება სრულიად წამგებიანია ჩვენი ქვეყნისათვის!

უკვე **ერთი წელია გამოაცხადეს, რომ გავყიდით შენობა-ნაგებობებს და ვალუტის კურსის ცვლილებას აღარ ავწევთო, მაგრამ სინამდვილეში რა მოხდა? ვერაფერი ვერ გაყიდეს ეკონომიკის სამინისტროს შენობის გარდა.** აქედან გამომდინარე ეს მათი გეგმები აღმოჩნდა არასისტემური, არაადეკვატური და მეტი არაფერი. ვალუტის კურსის ცვლილებამ მოახდინა ზეწოლა ეკონომიკაზე და ამ უკანასკნელმა კი გამოიწვია ინფლაცია, დაიწყო ფასების ზრდა. ამჟამად მოხდა დენის ტარიფის შეცვლა, რაც ცხადია შემდგომში უფრო გაზრდის ფასებს და გააღმავებს ინფლაციას.

**დღეს სახელმწიფოსთვის მთავარ პრობლემას უკვე აღარ წარმოადგენს დოლარის კურსის მაღლა აწევა, მთავარია ინფლაცია არ გაიზარდოს და სოციალურ და პოლიტიკურ კრიზისში არ გადაიზარდოს.**

**— რატომ ვერ აჩერებს ამ პროცესს ხელისუფლება?**

— ძალიან მსუბუქად თუ ვიტყვი, ეს გახლავთ მათი არაკომპეტენტურობის ბრალი. ერთ მაგალითს გეტყვით, 2014 წელს ჩატარდა ქვეყანაში მოსახლეობის აღწერა, ჯერ კიდევ ამის მასალები არ არსებობს, რატომ? ამისათვის ხომ მილიონები დაიხარჯა? როგორ უნდა დაიგეგმოს ქვეყნის ეკონომიკა ან ბიუჯეტი, თუ არ იცი შენი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა? ამბობენ, რომ აღწერის მერე საქართველოში მოსახლეობის რაოდენობა 700 000-ით შემცირდა, რატომ არავინ არ აფიქსირებს ამას?

ქვეყანაში მიმდინარე შიდა ეკონომიკურ საკითხებში ჩართული უნდა იყვნენ როგორც მეცნიერები, ისე მოსახლეობის დიდი ნაწილი. რატომ არავინ არ გეგმავს იმ სტანდარტებს, რომელიც აუცილებელია გარკვეული დარგების განვითარებისათვის?

როდესაც ამერიკაში წინასწარ გამოდის მაგალითად სოფლის მეურნეობის მინისტრი და აცხადებს, რომ გარკვეულ პროდუქციაზე იქნება მიღებული ამდენი მოსავალი, ფერმერები ითვალისწინებენ ამას და გეგმავენ თავის ფერმერულ მეურნეობას ისე, რომ მოგება ნახონ კონკრეტულ პროდუქტზე და არა სტიქიურად აწარმოონ. ჩვენთან ეს არ ხდება.

ინფლაციის საწინააღმდეგოდ თუ რას გააკეთებს ხელისუფლება, უნდა გამოჩნდეს ბიუჯეტის პროექტში და სავალუტო პოლიტიკაში, რომლის პროექტებიც შეტანილი უნდა იყოს პარლამენტში. ჯერჯერობით ეს საქმეები არ კეთდება.

**— 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი დეკემბრის ბოლოს ალბათ დამტკიცდება, რამდენად იცნობთ მას და ემხრობით?**

— ჩემი აზრით, ეს პროექტი დღეის გადასახედიდან საკამათოა, სერიოზულ დახვეწას მოითხოვს. არასერიოზულად მიმაჩნია ის, რომ მომავალი წლისთვის გაზრდილია ხელისუფლების შესანახი ხარჯები და ბევრი სხვა. საკამათოდ მიმაჩნია ისიც, რომ ბრჭყალების გარეშე წერია მასში სამხრეთ ოსეთის ადმინიატრაციის დასაფინანსებელი ხარჯები, რატომ უნდა დაფინანსდეს, არ მესმის, მაგრამ ამ ტერმინს რატომ იყენებენ, ეს მთლად გაუგებარია.

**— ინფლაციის ზრდა ზამთრის პირობებში რას მოუტანს ქვეყანას?**



— ეკონომიკა რომ პოლიტიკასთან მჭიდრო კავშირშია, ეს ცხადია, ამიტომ სასწრაფოდ უნდა მოიძებნოს გზა ინფლაციისგან თავის დასაღწევად, თორემ იმპულსური პოლიტიკური ქცევები სავალალო შედეგებს მოგვიტანს. ვიმეორებ, **ხელისუფლება უნდა იყოს ერთიანი ძალით ერთ საქმეზე ორიენტირებული,** რომელსაც ქვეყნის მომავალზე ზრუნვა ევალება და ხალხთან იქნება ანგარიშვალდებული.

**ეთერ კასრელიშვილი**
599 110 200




2015 წლის 10 ნოემბერს, 16 საათზე, ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში (საჯარო ბიბლიოთეკის ადმინისტრაციული კორპუსი, ლადო გუდიაშვილის ქ. №4) ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქ-ნი **დენიზა სუმბაძე** შეხვედრას მართავს გამოკვლევის („საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიპსის კარიბჭესთან, ანუ ინფორმაციული ომი საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ჭრილში“) თაობაზე. შეხვედრა იმართება გამოკვლევაში წარმოდგენილი მეცნიერული თვალსაზრისების განხილვისა და საზოგადოებრივი აზრის სწორად ჩამოყალიბების მიზნით.

შეხვედრაზე ვიწვევთ სახალხო მოძრაობა „საქართველოს სამეფო ტახტის“ წევრებს. დასწრება თავისუფალია. გთხოვთ მობრძანდეთ.

# წინასწარმეტყველები გვაფრთხილებენ



**მამა პიო, რომელიც კაპუცინების ორდენს მიეკუთვნებოდა, ამტკიცებდა, რომ 1957 წლის 15 იანვარს იხილა უფალი იესო ქრისტე, შიშისმომგვრელი გზავნილით:**

– მე მოვალ ამ ცოდვებით გადატვირთულ დედამიწაზე გუგუნით და ელვით. მოვალ ზამთარში, ყინვიან ღამეს. სწრაფად მზარდი ქარები დიდი შეცბუნების მაუწყებელნი იქნებიან დედამიწაზე, რომელიც კანკალს დაიწყებს ძლიერი რყევისაგან. ცეცხლოვან ღრუბელთაგან ელვები და ჭექა ქუხილი დასწვავენ, ცეცხლს გაუჩენენ და დაფერფლიან ყოველივეს, რასაც კავშირი ჰქონდა ცოდვასთან და ყველაფერს, რაც მასთან შეხებაში მოსულა ოდესმე. ეს ყველაფერი განადგურდება. ჰაერი გადაჯერებული იქნება მბოლავი გაზებით. მახრჩობელა ბოლი და მქროლავი ქარი ყველაფრის განადგურებას დაიწყებს საკუთარ გზაზე. შენობები ნანგრევებად იქცევა.

ჩემი მოსვლის საათი ახლოა. მოსვლის წინ იქნება გულმოწყალება და ამავდროულად მტკიცე და საშინელი დასჯა. ამ დავალების შესასრულებლად მიმართული ჩემი ანგელოზები, შეიარაღებულნი იქნებიან ხმლებით. პირველ რიგში, მათი ყურადღება მიპყრობილი იქნება მათ წინააღმდეგ, ვისაც არ სჯერა და დასცინის ღვთის გზავნილებს. ციდან გამოჩნდება უამრავი დედამიწისკენ მომავალი ცეცხლის ნაკადი. მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში იქნება ქარიშხლები, წყალდიდობები, მიწისძვრები, ჭექა-ქუხილი. შეუჩერებლივ იდენს ცეცხლის წვიმა. ეს დაიწყება ზამთრის სუსხიან ღამეს. ეს, პირველ რიგში, ღმერთის არსებობის დადასტურება იქნება. იმისათვის, რომ შეძლოთ მომზადება, მოგცემთ ნიშნებს: ღამე ძალიან სუსხიანი იქნება, იქროლებს ხმაურიანი ქარი, ხოლო რამდენიმე ხანში გაიგონებთ ჭექას. მაშინ დახურეთ კარებები და ფანჯრები, არავის არ დაელაპარაკოთ, გარდა იმისა, ვინც თქვენს სახლშია. იმ დროს, როდესაც დაიწყება მიწისძვრა, არ გაიხედოთ ფანჯარაში, რამეთუ ჩემი მამის განრისხება პატივისცემის ღირსია. ვინც არ შეისმენს ამ რჩევას, ის დაუყოვნებლივ მოკვდება, იმიტომ რომ მისი გული ვერ გადაიტანს ამ სანახაობას.

მესამე ღამეს წვიმა შეწყდება, მიწისძვრაც შეწყდება, ხოლო შემდეგ დღეს მზეც გამოანათებს. ადამიანური იერით მიწაზე ანგელოზები ჩამოვლენ და თან მშვიდობის სულს მოიტანენ.

დაიღუპება ნიუ-იორკი და მარსელი. პარიზის ორი მესამედი განადგურდება. რაისტენი, აუგსბურგი, ბენნა გადარჩება. აუგსბურგი და დუნაის სამხრეთით მდებარე ქვეყნები ვერ იგრძნობენ ომის შედეგებს. ვინც განადგურების მხარეს გაიხედავს, დაიღუპება, მისი გული ვერ გაუძლებს ამ საშინელ სანახაობას. ერთ ღამეს უფრო მეტი ადამიანი დაიღუპება, ვიდრე ორ მსოფლიო ომში. შემდეგ რწმენა გახდება ძლიერი. ამ საშინელებიდან ორ წელიწადში მოვა ოქროს ხანა.



**ალოის ირმაიერი, წარმოშობით ბავარიის ფრაილასინგიდან იყო. მისი წინასწარმეტყველებები ძირითადად ეხება მესამე მსოფლიო ომის დაწყებასა და მიმდინარეობას. აი მისი ხილვა:**

გაერთიანებული ჯარი მარშით გაივლის აღმოსავლეთიდან ბელგრადამდე, შემდეგ იტალიისაკენ დაიძრებიან. მერე სამი ჯარი ელვის სისწრაფით, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე დაიძვრება ჩრდილო დუნაის მიმართულებით, მდინარე რაინისაკენ. პირველი ბავარიის ტყესთან გამოჩნდება, ჩრდილო მიმართულებით, დუნაის გასწვრივ. მეორე არმია მოვა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, საქსონიის ზემოთ, რურის აუზთან. მესამე, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და გაივლის ბერლინზე. რუსები არსად არ გაჩერდებიან, დღე და ღამე ისინი შეუჩერებლად იმოძრავებენ მიზნისაკენ, რურის აუზისაკენ. მოსახლეობა პანიკაში გაიქცევა დასავლეთისაკენ. მანქანები ჩახერგავენ გზას და დაბრკოლებას შექმნიან ტანკებისათვის. ვერ ვხედავ ვერანაირ ხიდს დუნაიზე რატიზბონას ჩრდილოეთით. განადგურებული ფრანკფურტი უკვე აღარ ჰგავს დიდ ქალაქს. რაინის დაბლობი დაცარიელებულ იქნება, ძირითადად, ჰაერიდან. ვხედავ დედამიწას, როგორც ბურთს და მასზე თვითმფრინავების საჰაერო გზებს, რომლებიც ზემოთ მიფრინავენ. როგორც მტრედების ჯგფი "დიდი წყლიდან" დაუყოვნებლივ მოვა შურისძიება. ამავე დროს „ყვითელი ბოლი" მიაღწევს ალიასკასა და კანადას, მაგრამ შორს არ წავა..

ომის დროს სიბნელე ჩამოწვება, რომელიც 72 საათი გაგრძელდება. დღისით სიბნელე იქნება, სეტყვა მოვა, ელვა და ჭექა-ქუხილი იქნება, მიწისძვრები შეარყევენ მიწას. ამ დროს არ გამოხვიდეთ სახლიდან, მხოლოდ სანთლები აანთეთ. ჩამოაფარეთ ფარდები და არ გააღოთ ისინი. წყალი და პროდუქტები, რომლებიც მჭიდროდ დახურულ ჭურჭელში არ იქნება მოიწამლება, და ასევე ის სურსათი, რომელიც მინის ჭურჭელში იქნება. ყველაგან სიკვდილია, მტვრით გამოწვეული, ბევრი ადამიანი მოკვდება. 72 საათში ყველაფერი მორჩება, მაგრამ ვიმეორებ, არ გახვიდეთ გარეთ, დაწვით მხოლოდ სანთლები და ილოცეთ. იმ ღამით მოკვდება უფრო მეტი ხალხი ვიდრე, ორივე მსოფლიო ომში.



ამ მოვლენების შემდეგ მოვა ხანგრძლივი და ბედნიერი დროის მონაკვეთი. ისინი, ვინც ცოცხლები დარჩებიან, ძალიან ბედნიერები იქნებიან. ადამიანები დაიწყებენ ახალ ცხოვრებას იქ, სადაც იწყებდნენ მათი წინაპრები. საინტერესოა ათონელი ბერის წინასწარმეტყველება მესამე მსოფლიო ომის შესახებ, საოცარია სასულიერო პირების „ხილვების" მომავალი კატასტროფული მოვლენების დამთხვევა.

თურქეთს დაიკავებს რუსეთი, თურქეთი გაქრება რუკიდან, იმიტომ, რომ მათი ერთი მესამედი გაქრისტიანდება. 1/3 დაიღუპება და 1/3 გაემართება მესოპოტამიისაკენ. შუა აღმოსავლეთი ომის სცენად იქცევა, რომელშიც რუსები მიიღებენ მონაწილეობას. ბევრი სისხლი დაიღვრება, ჩინელებიც კი გადმოლახავენ ევფრატის მდინარეს, ეყოლებათ რა 200 000 000 მილიონიანი არმია და იერუსალიმამდე მივლენ. ამ მოვლენების მოახლოების ნიშანი იქნება ომარის მეჩეთის დანგრევა, რადგან მისი დანგრევა ნიშნავს სოლომონის ტაძრის აღდგენის დასაწყისს, რომელიც ზუსტად იმ ადგილზე იყო აშენებული.

კონსტანტინოპოლში დიდი ომი მოხდება რუსებსა და ევროპელებს შორის და ბევრი სისხლი დაიღვრება. საბერძნეთი არ ითამაშებს პირველხარისხოვან როლს ამ ომში, მაგრამ მას კონსტანტინოპოლს მისცემენ, იმიტომ კი არა, რომ საბერძნეთს ეთაყვანებიან რუსები, არამედ იმიტომ, რომ არ მოიძებნება უკეთესი გამოსავალი და მოელაპარაკებიან ბერძნებს, მათზე დიდი ზეწოლა იქნება გარემოებათა მხრიდან. ბერძნული არმია ვერ მოასწრებს იქ მისვლას, რომ კონსტანტინოპოლი მას გადაეცემა. ებრაელებს ევროპელების მხარდაჭერა ექნებათ და იმდენად გაამაყდებიან, რომ შეეცდებიან ევროპის მართვას, მაშინ 1/3 ებრაელი გაქრისტიანდება.

**რანო ნერომ კი მეთხუთმეტე საუკუნეში ასე იწინასწარმეტყველა ჩვენს ეპოქაზე:**

დედამიწაზე შემცირდება მოსახლეობა. ძალიან შემცირდება საფრანგეთისა და ესპანეთის მოსახლეობა. გაქრება ტარქია (თურქეთი). სკანდინავია და ტარტარია (რუსეთი) არ გაქრება.

ჩრდილოეთით და სამხრეთით დადნება თოვლი და ყინული – იქ ყვავილები აყვავდებიან. წყალი წალეკავს ხმელეთის ნახევარს. ბევრი ქალაქი წყლის ქვეშ აღმოჩნდება. ადამიანებს კანზე ლაქები გაუჩნდებათ, ეს იქნება მზის შუქის გამო გაჩენილი ავადმყოფობა. მოკლედ, ზამთარი, 72 საათი, სრული სიბნელე,ჯოჯოხეთი დედამიწაზე და „ზეციური ადამიანების გადარჩევა" თითქმის ყველა ძველ წინასწარმეტყველებაშია, რჩევას – დედამიწას სიყვარული გადაარჩენს, ვერ ვითვალისწინებთ, ისლა დაგვრჩენია, დაველოდოთ როგორ განვითარდება მოვლენები და შეძლებისდაგვარად გარდავიქმნათ სამყაროს საკეთილდღეოდ. თანამედროვე წინასწარმეტყველების პროგნოზებიც, რომელსაც მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ, არცთუ დამამშვიდებელია. ვნახოთ, შევძლებთ სამყაროსთან ჰარმონიულად თანაცხოვრებას თუ ვაიძულებთ ომი გამოგვიცხადოს, რომელშიც უპირობოდ დავმარცხდებით.



**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30